

დანაშაული და გადამეტებული სასჯელი:
საქართველოს საპატიმროებში ადამიანის
უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები



გავინ სლეიდი
იაგო კაჭკაჭიშვილი
ლელა ცისკარიშვილი
ნიკა ჯეირანაშვილი
ნინო გობრონიძე

მრჩევლები: ბარონესა ვივიენ სტერნი, პროფესორი ენდრიუ ქოილი



დანაშაული და გადამეტებული სასჯელი:
საქართველოს საპატიმროებში ადამიანის
უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები

თბილისი, 2014 წ.

მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი ექსპერტების და ორგანიზაციების გულუხვი დახმარებით, რომლებმაც საკუთარი ექსპერტიზით დიდი წვლილი შეიტანეს.

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის ანგარიშის ავტორებსა და მრჩეველებს; დამხმარე ექსპერტებს: გიორგი ბურჯანაძეს, ემილ ადელხანოვს, ცირა ჭანტურიას, მარიანა კიკუს და ორგანიზაციებს: ადამიანის უფლებათა ცენტრს, ახალგაზრდებს სამართლიანობისთვის, კონსტიტუციის 42-ე მუხლს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს, საზოგადოებრივ დამცველს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს, ციხის საერთაშორისო რეფორმას, ციხის სწავლებების საერთაშორისო ცენტრს, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრს.

ფონდი მადლიერებას გამოხატავს საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიმართ, რომლებმაც ინტერვიუერებს მსჯავრდებულთა გამოკითხვის საშუალება მისცეს.

ფონდი, ასევე, მადლობას უხდის ასობით რესპონდენტს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში.



სამხრეთ კავკასიის პატარა ქვეყანა, საქართველო ბოლო ათწლეულის მანძილზე რადიკალური სისხლის სამართლის პოლიტიკის პოლიგონად იქცა. 2003-2012 წლებში პატიმართა რაოდენობამ ქვეყნის საპატიმრო დაწესებულებებში მოულოდნელად 300%-ით იმატა. ასეთი მკვეთრი მატების წყალობით, 2010 წელს საქართველო პატიმართა რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა მსოფლიოში. მოგვიანებით, მთავრობის ცვლილების კვალდაკვალ, სულ რაღაც სამ თვეში, 2012 წლის მიწურულს სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან ამნისტიით დაახლოებით 24 000 პატიმარი გათავისუფლდა. პატიმრების პროცენტული მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე, საქართველო დღეს 63-ე ადგილზეა მსოფლიოში. საპატიმრო დაწესებულებების პოლიტიკის ამ წარმოუდგენელ, 180 გრადუსით შემობრუნებას ბიძგი მისცა სასჯელალსრულებით დაწესებულებებში გამოვლენილმა მსჯავრდებულთა მძიმე წამების შემთხვევებმა. წინამდებარე მოხსენების მთავარი თემა სწორედ წამების ეს შემთხვევებია.

წამების ამსახველი ვიდეორჩანაწერების გაქონვა - ვიდეორჩანაწერებში ასახული იყო ციხის თანამშრომელთა მხრიდან პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები - დაემთხვა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდს. როგორც ამბობენ, სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში სასჯელალსრულებით დაწესებულებებში წესრიგის დამყარებას საფუძვლად დაედო პატიმართა ღირსების შელახვა და ძალადობა. წინამდებარე კვლევის მიზანია სწორედ იმის დადგენა, თუ როდის დაიწყო, რამდენად გავრცელებული იყო და რამდენად სისტემური და ხშირი ხასიათი ჰქონდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აღმოჩენილი იყო ახალი ვიდეომასალა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საგანგებოდ შერჩეულ წევრებს უჩვენეს. მსგავსი ჩანაწერების რაოდენობა აძლიერებს ვარაუდს, რომ წამება ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ჩვენი კვლევა ცდილობს დაადგინოს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა წამების ფაქტების ფირზე ალბეჭდვა და უპირველყოვლისა, რა გახდა მათი გადაღების მიზეზი.

წინასწორი შემდეგ, პირველ თავში საუბარი იქნება საქართველოს სასჯელალსრულების სისტემის საბჭოთა მემკვიდრეობაზე. მეორე თავში შემოგთავაზებთ სახელმწიფო სისხლის სამართლისა და სასჯელალსრულების პოლიტიკის ყოვლისმომცველ ანალიზს და მის კავშირს ადამიანის უფლებების დარღვევებთან 2003-2012 წლებში. მესამე თავი ასახავს სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ უკვე გამოვლენილ პრობლემებს, რომელიც უკავშირდება საქართველოში სისხლის სამართლის სისტემაში წამების ფაქტებს 2006-2012 წლებში. ხოლო მეოთხე თავი პატიმრებთან და ყოფილ პატიმრებთან ჩატარებული გამოკითხვის სრულიად ახალი, ემპირიული გამოკითხვის მონაცემებს აანალიზებს, რომელიც ფონდება

“ღია საზოგადოება საქართველო” და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა განახორციელეს. მეხუთე თავში მოცემულია რეკომენდაციები. დეტალური ანალიზის მიუხედავად, ამ მოხსენების მიზანი არ არის 2012 წლის შემდეგ სასჯელაღსრულებით სისტემაში განხორციელებული ცვლილებების განხილვა. ეს დამოუკიდებელი შესწავლის საგანია.

წინამდებარე მოხსენება სხვადასხვა აუდიტორიაზეა გათვლილი. საქართველოს ფართო საზოგადოების ინფორმირების გარდა, ის მიზნად ისახავს პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებას. თავისუფლებააღკვეთილ და მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ პატიმართა წინააღმდეგ საპატიმროების „ვესტერნიზაციის” სახელით ჩადენილი ბარბაროსული ძალადობის ფაქტების გამოვლენით, ჩვენი კვლევა უფრო დიდ მნიშვნელობას და სიმძაფრეს იძენს. ის ყურადსაღებია საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ასევე განვითარებაზე მომუშავე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მთავრობებისთვისაც.



მაღლიერების გამოხატვა	iii
წინასიტყვაობა	iv
თავი 1. წინაპირობები	1
1.1 საქართველო, როგორც „ნორმალური“ ქვეყანა	1
1.2 საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობა სასჯელაღსრულებით სისტემაში	3
1.3 საერთაშორისო მხარდაჭერა ადამიანის უფლებების მართვის გასაუმჯობესებლად	7
1.4 მოხსენების სტრუქტურა	9
თავი 2. სისხლის სამართლის პოლიტიკა და პრაქტიკა 2003-2012	10
შესავალი	10
2.1 დასაწყისი (2003-2005)	11
2.2 2006-2009: დასჯადობის გამკაცრება – ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა	15
2.2.1 ნულოვანი ტოლერანტობის ძირითადი პრაქტიკა: საპროცესო შეთანხმება	16
2.2.2 ნულოვანი ტოლერანტობის ძირითადი პრაქტიკა: საგამოძიებო ინსტრუმენტები	19
2.2.3 ნულოვანი ტოლერანტობის ძირითადი პრაქტიკა: წინასწარი პატიმრობის გადამეტებული გამოყენება	21
2.2.4 ნულოვანი ტოლერანტობის ეფექტი: ციხის ცხოვრება	22
2.2.5 ნულოვანი ტოლერანტობის ეფექტი: ნარკოტიკების მომხმარებლები	24
2.2.6 ნულოვანი ტოლერანტობის ეფექტი: ქალები სისხლის სამართლის სისტემაში	26
2.2.7 ნულოვანი ტოლერანტობის ეფექტი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	29
2.3 ლიბერალიზაცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	32
შემაჯამებელი დასკვნა: ნულოვანი ტოლერანტობა და ადამიანის უფლებები	33
თავი 3. ადამიანის უფლებები ნულოვანი ტოლერანტობის დროს: საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მიზნები 2006-2012	36
შესავალი	36
3.1 წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ანგარიშები: 2005-2006	36
3.2 გარდამტეხი მომენტი: 2006 წლის მარტის ორთაჯალის ციხის ბუნტი	40
3.3 ციხეებში არასათანადო მოპყრობაზე ანგარიშების მომატება: 2007-2010	42
3.4 არასათანადო მოპყრობა, როგორც სტანდარტული პრაქტიკა? 2010-2012	44
3.5 სკანდალის შემდეგ: მიგნებები 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ	47
3.6 ზედამხედველობის მექანიზმები და წამების პრობლემის აღიარება სახელმწიფოს მიერ	49
შემაჯამებელი დასკვნა	52

თავი 4. ადამიანის უფლებები 2003 წლიდან 2013 წლამდე: ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრების გამოკითხვის შედეგები	54
4.1 შესავალი	54
4.2 მეთოდოლოგია	54
4.3 რამდენად გავრცელებული იყო წამება?	56
4.4 რა იყო წამების მიზანი?	60
4.5 წამების რა ფორმა გამოიყენებოდა?	63
4.6 მიაღწია თუ არა წამებამ თავის მიზანს?	65
4.7 როგორ იცავდნენ პატიმრები თავს წამებისაგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში?	68
4.8 თავისუფლების აღკვეთის შედეგები შემაჯამებელი დასკვნა	70 71
თავი 5. მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	81
5.1 მიღებული გამოცდილება	81
5.2 რეკომენდაციები	83
საქოლიო	87

შესავალი

ეს მოხსენება ძირითადად მოიცავს პერიოდს 2003 წლიდან 2012 წლამდე ანუ დროის იმ მონაკვეთს, რომელიც მოჰყვა “ვარდების რევოლუციას”. რევოლუციის საფუძვლად იქცა გაყალბებული არჩევნები, რის გამოც ხალხის უზარმაზარი რაოდენობა თბილისის ქუჩებში გამოვიდა. ახალმა არჩევნებმა ხელისუფლებაში მოიყვანა პარტია, რომელიც ცნობილი იყო “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” (ენმ) სახელით, ხოლო მისი ხელმძღვანელი, მიხეილ სააკაშვილი, ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ენმ-ს ხელისუფლებაში ყოფნის ხანა ელვისებურად სწრაფი და ძირეული რეფორმებით ხასიათდებოდა, რაც შეეხო სისხლის სამართლის სფეროსაც – ალბათ, ყველაზე თვალშესაცემად, ვიდრე რომელიმე სხვა სექტორს. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ორი ვადის განმავლობაში, 2012 წლამდე დაჰყო, როცა მან ძალაუფლება დაკარგა არჩევნებში, რომლის ბედი, ნაწილობრივ, ციხის სკანდალმა განაპირობა. მოხსენების პირველ თავში, ჩვენ ვცდილობთ არ უგულვებელყოთ ის მნიშვნელოვანი ცვლილებების ეტაპები, რაც საქართველომ განიცადა 2003-2012 წლების განმავლობაში. ქვემოთ შემოგთავაზებთ მოკლე მიმოხილვას, თუ როგორ განვითარდა მოვლენები ედუარდ შევარდნაძის (1992-2003) ხელისუფლებაში ყოფნისას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხრივ, რაც ადამიანის უფლებათა დარღვევების აღკვეთას გულისმობდა, რაც საქართველოს საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული წევრობის წინაპირობა უნდა ყოფილიყო.

1.1. საქართველო, როგორც „ნორმალური“ ქვეყანა

საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს, მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ედუარდ შევარდნაძემ დასვა მნიშვნელოვანი კითხვა, როგორ შეძლებდა საბჭოთა კავშირი „ნორმალურ ქვეყნად“ ქცევას. გორბაჩოვის „საჯაროობის“ და „ახალი აზროვნების“ პირობებში, საბჭოთა კავშირს ჯერ კიდევ ჰქონდა გლობალური მმართველობის სტრუქტურებსა და მსოფლიო ეკონომიკაში უკეთესი ადგილის პოვნის შანსი. საბჭოთა კავშირმა ვერ მოახერხა „ნორმალურ“ ქვეყნად ჩამოყალიბება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისმა მემკვიდრე რესპუბლიკებმა ცვალებადი წარმატებით შეძლეს საერთაშორისო საზოგადოების წევრებად თავის დამკვიდრება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ევროპისკენ განსაკუთრებული ლტოლვით. ევროპული ორიენტაცია კიდევ უფრო გამოიკვეთა მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ორი ვადით მმართველობის წლებში, თუმცა ამას უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი.

მცირე სამოქალაქო ომმა და გაჭიანურებულმა კონფლიქტებმა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, რომელთაც ფარულად ზურგს უმაგრებდა რუსეთი, შევარდნაძის ადრეული ადმინისტრაცია (1992-1995) აიძულა, 1993-1994 წლებში ხელი მოეწერა დამოუკიდებელი

სახელმწიფოების თანამეგობრობის წევრობაზე და რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებზე. სამაგიეროდ, საქართველოს რუსეთისგან უნდა მიეღო დახმარება კონფლიქტების დასასრულებლად. მაშინ, როცა საქართველო რუსეთთან დათმობებზე წავიდა, რუსეთი თავად იყო მნიშვნელოვნად დასუსტებული საბჭოთა სისტემის რღვევის გამო და 1990-იან წლებში ორჯოფობდა დასავლეთთან მიმართებაში. ასე რომ, საქართველოს კვლავ შეეძლო ინიციატივის გამოჩენა ევროპასთან უფრო მტკიცე ინტეგრაციის კუთხით. ასევე მეტი ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარების მოპოვება ევროპისა და შეერთებული შტატებისგან.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი 1999 წელს. ეს ცოტა უფრო გვიან მოხდა, ვიდრე ბალტიის ქვეყნები, უკრაინა და რუსეთი შეუერთდებოდნენ ევროპის საბჭოს, თუმცა სომხეთზე და აზერბაიჯანზე ორი წლით ადრე. იმავე წელს, საქართველომ გააღრმავა კავშირები ევროპასთან, როცა ხელი მოაწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას ევროპის კავშირთან. ევროპასთან ურთიერთობის გაძლიერებით და ევროპის საბჭოში გაწევრიანებით, საქართველო გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმძღვანელი ქვეყანა, ისევე, როგორც “წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის” და დაექვემდებარა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის იურისდიქციას. ამ საერთაშორისო ვალდებულებების აღებით, საქართველომ კიდევ უფრო ღრმად შეაბიჯა ძლიერი დასავლური გავლენის სფეროში. საპატიმროების სისტემის თვალსაზრისით, საქართველო უფრო დიდი საერთაშორისო ზედამხეველობის ობიექტი გახდა და მეტი სამართლებრივი და პოლიტიკური მცდელობები განხორციელდა ქვეყნის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ვარდების რევოლუციამ საქართველო მნიშვნელოვნად დააახლოვა დასავლეთთან საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. თუმცა, ამ წინსვლას წინ უსწრებდა შევარდნაძის მთავრობის დიპლომატია, რომელიც ზომიერი პრო-დასავლურობით გამოირჩეოდა. მეტიც, შევარდნაძემ ხელი შეუწყო დასავლური განათლების მქონე ახალგაზრდა რეფორმატორების დაწინაურებას, როგორც იყო სააკაშვილი და, რომლებმაც შემდგომ მისი ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს. შესაძლოა, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უფრო აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მთავრობას არ ჰქონდა ქვეყნის მართვის უნარი. სწორედ ამ სამოქალაქო საზოგადოებამ მოახერხა მთავრობის მიერ გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ მობილიზება 2003 წელს, მსგავსად 2012 წელს საპატიმროებში არსებული დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ გალაშქრებისა.

“ვარდების რევოლუცია” და თავად ნაციონალური მოძრაობა ევროპის და შეერთებული შტატების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა საქართველოს საერთაშორისო საზოგადოებაში გაერთიანების მიმართულებით. იმის პარალელურად, რომ საქართველო სულ უფრო მეტი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმძღვანელი გახდა (იხილეთ ნაწილი მეორე), გამოუცხადა ბრძოლა კორუფციას, კრიმინალს და

ხელი შეუწყო ეკონომიკის ლიბერალიზაციას, ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ საქართველო აღარ იყო „პოსტ საბჭოთა“ რესპუბლიკა და, რომ ახალმა აზროვნებამ გაიმარჯვა საქართველოს საზოგადოებაში. ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებდა, რომ საქართველო იყო „ნორმალური“ ქვეყანა. თუმცა, საპატიმროებში გაბატონებული საბჭოური სისტემის აღმოფხვრა გაცილებით რთული აღმოჩნდა.

1.2. საბჭოთა და პოსტ საბჭოთა მემკვიდრეობა სასჯელალსრულებით სისტემაში

1921 წლიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე - 1991 წელს, საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალ თხუთმეტ რესპუბლიკათაგან ერთ-ერთი იყო. არსებითად, აქ ფუნქციონირებდა საბჭოური საპატიმრო ბანაკების სისტემა და ქართველ პატიმრებს სასჯელის მოხდა ხშირად უწევდათ შორეულ ციხეებში. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში წინასწარ პატიმრობამისჯილები შეიძლება კარცერის ტიპის საპატიმროებში და ერთკაციან იზოლატორებში ჰყოლოდათ დაკავებული. მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ერთი პროცენტი საპატიმრო ვადას იხდიდა ჩაკეტილ, კარცერის ტიპის საკნებში, რაც მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩამდენთათვის იყო განკუთვნილი. მსჯავრდებულ პატიმართა დიდი უმრავლესობა ხუთი ტიპის შრომა-გასწორების დაწესებულებებში იყო გადანაწილებული, რომელთა დიდი ნაწილი შრომა-გასწორების კოლონიებს, ღია „ზონებს“ წარმოადგენდა, ხოლო პატიმრები მუშაობდნენ ე.წ. „ხელახალი აღზრდის“ მიზნით (იგულისხმება გამოსწორება). ეს დაწესებულებები შემდეგი სახის იყო:

1. საერთო რეჟიმის კოლონიები: სამართალდარღვევის პირველი შემთხვევისთვის და ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, რომელიც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა;
2. გაძლიერებული რეჟიმის კოლონიები: სამართალდარღვევის პირველი, უფრო მძიმე შემთხვევისთვის;
3. მკაცრი რეჟიმის კოლონიები: რეციდივისტებისთვის;
4. საგანგებო რეჟიმის კოლონიები: განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისთვის და უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის;
5. კოლონიები: ღია ციხეები კარგი ყოფაქცევით გამორჩეული ზოგიერთი პატიმრისთვის, ვინც საერთო ჯამში სასჯელის ერთი მესამედი ან მეტი მოიხადა გაძლიერებული ან მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში.

საბჭოთა პენიტენციური სისტემის მთავარი მახასიათებელი იყო პატიმრების კატეგორიებად დაყოფა ჩადენილი დანაშაულისა და მსჯავრის ხანგრძლივობის მიხედვით. საბჭოთა სისტემის ფარული მიდგომით, წვრილმანი სამართალდარღვევის ჩამდენნი შეიძლებოდა მძიმე დანაშაულის ჩამდენებს „გაესვარათ“ ანუ დანაშაულებრივ სამყაროში ჩაეთრიათ. ამის საპირისპიროდ, დასავლეთში კარცერის ტიპის იზოლატორები განვითარდა, სადაც პატიმრების ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანა ან განთავსება საგულდაგულო შემოწმებით ხდება. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა მთავრობამ უპირატესობა ადამიანების კატეგორიების მიხედვით

ბანაკებად დაყოფას მიანიჭა. სახელმწიფო განსაკუთრებით ღელავდა და მთელ ენერჯიას მიმართავდა რეციდივისტებისგან გამოწვეული საფრთხის აღმოსაფხვრელად. ამ მიდგომას საფუძველი ჰქონდა, რადგან ისინი, ვინც კრიმინალურ ან „პარაზიტულ“ ცხოვრებას ეწეოდნენ, დაბრკოლებას უქმნიდნენ საბჭოთა იდეოლოგიას, რომელიც ამტკიცებდა, რომ დანაშაულის აღმოფხვრა შესაძლებელი იყო და, რომ ხელახალი განათლება იდეოლოგიური სწავლება-ჩაგონების და შრომა-გასწორების ხერხით, შესაძლებელს ხდიდა რეაბილიტაციას და ახალი ადამიანის შექმნას.

ყველაზე დიდ საფრთხეს ამ რეციდივისტებიდან წარმოადგენდნენ ისინი, ვისაც უკვე მოპოვებული ჰქონდა სიმბოლური და საზოგადოებრივი პოზიცია პატიმრებში და ვისაც ძლიერი გავლენა ჰქონდა დანარჩენებზე. ესენი იყვნენ და ახლაც არიან ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდები“ – ქურდები, რომლებიც ღიად აღიარებდნენ ერთგვარ ღირსების კოდექსს (*воры в законе*). ამ დაცული სტატუსის მოსაპოვებლად, რომელიც თავისთავად კრიმინალური ელიტის წევრობას ნიშნავდა, განსაკუთრებული პრინციპით შერჩეულ პატიმრებს კურთხევის თავისებური რიტუალი უნდა გაეცლოთ. და ერთხელ მოპოვებული სტატუსი კონკრეტულ პირს თან დაჰყვებოდა ბანაკიდან ბანაკში და აძლევდა გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის უფლებას, თუმცა ვალდებულებებსაც აკისრებდა საძმოს წევრების მიმართ. „კანონიერი ქურდების“ საძმო მართავდა კრიმინალურ სამყაროს, რომელიც შედგებოდა უფლებრივი სტატუსით განსაზღვრული იერარქიებისა და არაფორმალური ნორმატიული მმართველებისგან, რაც, ერთად აღებული, ცნობილია როგორც „ქურდული სამყარო“, ან „ქურდების სამყარო“. ციხის სხვა არაფორმალური კატეგორიები ექვემდებარებოდა „ქურდებს“, რომლებიც ბრძანებებს გასცემდნენ ფულის კოლექტიული მოხმარებისთვის საერთო ფონდში შესაგროვებლად (რასაც „ობშიაკი“ ეწოდებოდა) და არჩევდნენ სადავო საქმეებს, ადგენდნენ ქცევის ნორმებს და ამყარებდნენ წესრიგს პატიმრებს შორის.

ერთი მხრივ, არსებობს იმის მამხილებელი დიდძალი მასალა, რომ „ქურდები“ ბანაკის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდნენ საპატიმრო კოლონიების მართვის საკითხებში. მეორე მხრივ, ეს კრიმინალები სახელმწიფოს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდნენ რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, მათი ღირსების კოდექსის გამო, რომელიც 1930 წელს შეიქმნა და რომელიც საგანგებოდ ანტისახელმწიფოებრივი იყო და კრძალავდა ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან ნებისმიერი სახის კავშირს, იქნებოდა ეს სამოქალაქო ქორწინება, სამსახური თუ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. „ქურდები“ ფიცით ამბობდნენ უარს ყოველგვარ მატერიალურზე და ოჯახის შექმნასა თუ საჯარო მოღვაწეობაზე პატიმართა სასარგებლოდ. მეორე პრობლემა იყო ის, რომ „ქურდების სამყაროს“ სუბკულტურა არა მხოლოდ „სვრიდა“ დანარჩენ პატიმრებს თავად პენიტენციალური სისტემის შიგნით, არამედ ვრცელდებოდაა ციხის გარეთაც, რადგან მილიონობით ადამიანი გაათავისუფლეს გულაგიდან 1950-იან წლებში იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ. „ქურდულმა“ ფასეულობებმა და ქცევის ნორმებმა შეაღწია საზოგადოებაში და ოფიციალურ საბჭოთა კულტურას ალტერნატიული კონტრკულტურა შესთავაზა. პრობლემად იქცა ისიც, რომ „ქურდული სამყარო“ მითოლოგიურ საბურველში გაეხვა და კეთილშობილი კანონდამრღვევის რომანტიკული ელფერი შეიძინა, რამაც ფართო გავრცელება ჰპოვა კავკასიის მაღალმთიანეთში და, კერძოდ, საქართველოში. ასე რომ, საბჭოთა

კავშირის არსებობის ბოლო ხანებში ციხე პოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობის ადგილად იქცა და არა მხოლოდ პოლიტიკურ პატიმრებს შორის; თავად ცნება „ქურდი“ და მათი მიმდევრები, რომლებიც აუფასურებდნენ და რყვნიდნენ სხვა მხრივ კანონმორჩილ საბჭოთა მოქალაქეებს, დამკვიდრებული ცნება გახდა, რომლის აღკვეთა კონკრეტული სტრატეგიით შეიძლებოდა. ეს ფაქტები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როცა განვიხილავთ საქართველოს ციხეებში განვითარებულ ცვლილებებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, საქართველოს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მოითხოვა, რომ ყველა ქართველი პატიმარი, რომელიც სასჯელს იხდიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, დაებრუნებინათ საქართველოში. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს იმუამად უმძიმესი დრო დაუდგა. გაჩაღდა სამოქალაქო ომი და შეიარაღებული სეპარატისტული კონფლიქტები. საბჭოთა მმართველობის ერთიან სისტემაზე აწყობილი ეკონომიკა ინგრეოდა და ბევრმა ყოფილმა პატიმარმა უპრობლემოდ მიატოვა იმ დროს სრულ ქაოსში მყოფი საქართველოს დემორალიზებული შრომა-გასწორების კოლონიები.

ამას 1990-იან წლებში დანაშაულის საშინელი ზრდა და მსხვერპლი მოჰყვა. და მაინც, სახელმწიფოს დასუსტებისა და პოლიციასა და მართლმსაჯულების სისტემაში დამკვიდრებული სამარცხვინო კორუფციის მიუხედავად, იმ ათწლეულში საქართველომ პატიმართა მცირე რაოდენობა შეინარჩუნა. პატიმრების მოთავსება ხდებოდა სულ უფრო გავრანებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ყოფილი საბჭოთა სტილის კოლონიებსა (თუმცა კი შრომა-გასწორების ინდუსტრია იმ დროს განადგურებული იყო) და ციხეებში. თანამშრომლები მწირ ანაზღაურებას იღებდნენ, ხოლო ინვესტიცია ინფრასტრუქტურაში, კვებაში, ჯანდაცვაში, ან რაიმე სტრატეგიაში, რაც რეაბილიტაციას გულისხმობს, არ არსებობდა. იმხანად, ომის შემდგომ წარმოშობილი სავალალო ეკონომიკური მდგომარეობის, ინდუსტრიის სრული განადგურებისა და სოციალური არეულობის გამო, სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეფორმა საერთოდ არ იდგა პოლიტიკურ დღის წესრიგში.

სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მსგავსად, ციხეშიც მოიშალა წესრიგის სტრუქტურა: საპატიმროების კედლები ნესტისგან ამოიფუცა, პატიმრებს შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში ნებისმიერი პროდუქტის თუ პირობების მიღება შეეძლოთ. ასეთ დროს, არაფორმალური სტრუქტურები საპატიმროებში „ქურდების“ მიერ იმართებოდა და მათი თავკაცები, რომელთაც „მაყურებლებს“ უწოდებდნენ, ციხის ცხოვრებას განაგებდნენ. საპატიმროს ადმინისტრაცია მხოლოდ სიმბოლურად მართავდა ეგრეთ წოდებულ „შავ“ ციხეებს, რომლებიც „ქურდული“, არაფორმალური კანონებით იმართებოდა. ასეთ საპატიმროებში ელიტარულ კრიმინალებს ვირტუალური კაბინეტები ჰქონდათ, საუკეთესო საკნებს ითხოვდნენ და მათთვის მობილური ტელეფონი, იარაღი და მეძავეებიც ხელმისაწვდომი იყო.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მართალია, ხელისუფლების დასუსტება და მართვის სადავეების თავად პატიმრებისთვის გადაცემა ღია სახის ციხის კოლონიების წესრიგის საბჭოური აზროვნების მემკვიდრეობა იყო, მაგრამ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გავრცელებული

კორუფცია არ იყო ერთმნიშვნელოვნად გავრცელებული ან მთავრობის მიერ ზემოდან მართული მოვლენა. კვლევა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ხშირად არაფორმალური მოლაპარაკებები ციხის თანამშრომლებსა და „ქურდებს“ შორის წესრიგის თაობაზე უფრო კერძო, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, როგორც ერთგვარი *quid pro quo* შეთანხმება. საიდუმლო შეთანხმების თანახმად, ციხის ხელმძღვანელობა „ქურდების“ დახმარებით თავიდან იცილებდა არეულობას, ჰყავდა მორჩილი პატიმრები და მატერიალურ ანაზღაურებას იღებდა იმის სანაცვლოდ, რომ „ქურდებს“ და მათთან დაახლოებულ პირებს თავისუფალი მოქმედების ნებას რთავდნენ ციხეებში; მათ იმის უფლებაც ჰქონდათ, რომ ციხის გარეთ მყოფ ადამიანებთან შეხვედრები მოეწყოთ და შეეგროვებინათ თანხები „ობშიაკისათვის“ იმის ხარჯზე, რომ ფულს სძალავდნენ ციხის იერარქიის დაბალი ფენის სხვა პატიმრებს.

მეტიც, საერთოდ საქართველო, ისევე როგორც რუსეთი, იმ ეტაპზე „ქურდული სამყაროს“, ალბათ, ყველაზე გამორჩეული „მწარმოებელი“ იყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ნებისმიერ სხვა რეგიონთან შედარებით, სხვადასხვა კულტურული და ისტორიული მიზეზის გამო, საქართველოში „ქურდული სამყარო“ ყველაზე ძლიერი ხიბლით და მიზიდულობით, სავარაუდოდ, ახალგაზრდებში სარგებლობდა. ციხის პოლიტიკა, თუკი საერთოდ არსებობდა ასეთი, ვეღარ ახერხებდა „ქურდი რეციდივისტების“ წამოწყებული პატიმრების „გასვრის“ პროცესის გაკონტროლებას – ამ რომანტიკული კრიმინალების გავლენა სოციალური ცხოვრების ფენებში ხშირად მანამდე აღწევდა, ვიდრე რომელიმე ადამიანი ციხეში ამოყოფდა თავს.

ალბათ, იმის საუკეთესო მტკიცებულებად, თუ რამდენად დიდი იყო „ქურდების“ გავლენა საქართველოში, გამოდგება ის ფაქტი, რომ ქვეყანას, სულ მოკლე ხანში, სათავეში ჩაუდგა ამ კრიმინალური საძმოს ერთ-ერთი წევრი. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ მალე, 1992 წლის იანვარში, საქართველოს პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ძალადობრივად დაამხეს. მისი ადგილი მმართველმა ტრიუმვირატმა დაიკავა. იმ საბჭოს ერთ-ერთი წევრი ჯაბა იოსელიანი იყო „კანონიერი ქურდი“, რომელმაც ჩამოაყალიბა საკუთარი გასამხედროებული ჯგუფი „მხედრიონი“. სწორედ იოსელიანი იყო მათ შორის, ვინც საქართველოში მოიწვია და დააბრუნა ედუარდ შევარდნაძე. ჯაბა იოსელიანი, რომელიც დღეს საქართველოს გამორჩეული მოღვაწეებისთვის განკუთვნილ დიდუბის პანთეონში განისვენებს, ნიმუშია „ქურდული სამყაროს“ მნიშვნელოვანი როლისა, რომელიც მემკვიდრეობად ერგო ქვეყანას გულაგის სისტემისაგან და რომელიც ასე ამოქმედდა რეალობაში.

1990 წელს, სახელმწიფო ინსტიტუტების სრული დემორალიზაციის პირობებში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გავიდა ფორმალური, კანონიერი ჩარჩოებიდან. ასეთ ვითარებაში, „ქურდები“ იქცნენ არა იმდენად კრიმინალურ სუბკულტურად, არამედ ალტერნატიული მმართველობის „გამტარებლებად“ და სახელმწიფო ხელისუფლების ალტერნატიულ წყაროდ. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფო კონკურენტის მდგომარეობაში აღმოჩნდა და მუდმივ მუქარას განიცდიდა ამ სამყაროსგან. აქედან გამომდინარე, ალბათ, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, ორგანიზებულ

დანაშაულთან ბრძოლა სასჯალაღსრულების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად და ქვაკუთხედად იქცა.

საპატიმროებში დამკვიდრებულმა არაფორმალურმა მმართველობამ და წესრიგმა საბჭოთა ეპოქაში საქართველოს საზოგადოების ფართო ნაწილზე მოახდინა ზემოქმედება. ეს გავლენა მით უფრო გაძლიერდა უშუალოდ პოსტ-საბჭოურ ხანაში. ეს ფაქტი ხსნის იმ კონტექსტს, თუ რატომ გახდა სასჯელაღსრულების სისტემის პოლიტიკა უაღრესად მნიშვნელოვანი 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, როგორ დაუკავშირდა ის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის პოლიტიკას და რატომ იყო მიჩნეული სახელმწიფოებრივ საფრთხედ. ციხის სისტემის გაძლიერებულმა უსაფრთხოებამ სააკაშვილის მმართველობის დროს შედეგად მოიტანა ამ სისტემაში პატიმართა უფლებების დარღვევის შემთხვევები, რის თაობაზეც ინფორმაცია გარკვეული დობით ვრცელდებოდა; ანუ გაზრდილი საერთაშორისო ვალდებულებების, ძლიერი ზედამხედველობისა და რეფორმების საყოველთაო აღიარების მიუხედავად, საქართველომ ვერ მოასწრო გამხდარიყო იმგვარი „ნორმალური“ ქვეყანა, სადაც ადამიანის უფლებების შელახვა დაგმობილი და აღკვეთილია. მოხდა საპირისპირო.

1.3. საერთაშორისო მხარდაჭერა ადამიანის უფლებების მართვის გასაუმჯობესებლად

საპატიმრო სისტემაში საბჭოთა ფესვების აღმოსაფხვრელად, საქართველომ დიდძალი საგარეო დახმარება მიიღო. 1997 წელს დაიწყო ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობა ციხის სისტემის რეფორმის მიზნით. 1999 წელს შეიქმნა ერთობლივი აღმასრულებელი კომიტეტი. 2003 წელს გამოითქვა მინიშნებები, რომ ევროპა ძლიერ გავლენას მოახდენდა საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმაზე. 2004 წელს ევროკავშირმა ექსპერტთა დელეგაცია მოავლინა ქვეყანაში სააკაშვილის, ახლად არჩეული პრეზიდენტის თხოვნით. „EU JUST THEMIS“ იყო პირველი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დახმარებას სისხლის სამართლის სისტემის ყველა დონეზე გადახედვის, რეფორმირების და რესტრუქტურისაციის საქმეში. რაც შეეხება წამების წინააღმდეგ ბრძოლას, 2003 წლიდან 2013 წლამდე 8 მილიონ ევროზე მეტი¹ დაიხარჯა უშუალოდ ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივ პროგრამებზე, რომლებიც ორიენტირებული იყო არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს პროგრამები მიზნად ისახავდა:

- არაადამიანური მოპყრობის აღმოსაფხვრელად ეროვნულ დონეზე ადმინისტრაციულ ორგანოებში შესაძლებლობების განვითარება, საგამოძიებო ინსტიტუტებში არაადამიანური მოპყრობის განცხადებების გამოძიების ეფექტურობის გაძლიერების ჩათვლით.
- ადამიანის უფლებების დაცვის და, განსაკუთრებით, წამების პრევენციისათვის ეროვნული არასამართლებრივი მექანიზმების სტიმულირებას.
- დამოუკიდებელი (არასასამართლო) ადამიანის უფლებათა სტრუქტურების აქტიური ქსელის ჩამოყალიბებას.
- ევროპის ადამიანის უფლებების სტანდარტების სფეროში განათლების, ტრენინგის, მონიტორინგისა და ცოდნის მხარდაჭერას და საერთაშორისო ადამიანის უფლებების

მექანიზმების მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას, მათ შორის ევროპის სოციალური ქარტიის დაცვისა და განხორციელების ხელშეწყობის გზით.

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკმა ახალი ციხეების მშენებლობისთვის სესხები გამოყო. 2011 წელს გაცემული ერთი ასეთი სესხი 60 მილიონ ევროს შეადგენდა². ამას გარდა, ბოლო 7 წლის განმავლობაში ევროსაბჭომ დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები საერთო ჯამში 22 მილიონი ევროთი და ეს თანხა არ ასახავს პირდაპირ საბიუჯეტო მხარდაჭერას.

ევროსაბჭოს და ევროკავშირის გარდა, ბევრმა საერთაშორისო დონორმა - “ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია”, “ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია” (NORLAG), “ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი”, “ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო” (USAID), “გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება” (GIZ), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სხვები, დააფინანსა მსგავსი პროექტები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავდნენ:

- ადამიანის უფლებებზე მომუშავე ეროვნული ინსტიტუტების დახმარებას, როგორცაა სახალხო დამცველის აპარატი, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტები და მათთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწეობდნენ;
- სასამართლო პროცესების მონიტორინგსა და სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებას;
- სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგსა და მისი რეფორმის მხარდაჭერას;
- საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას პრობაციისა და სასჯელაღსრულების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ხელშესაწყობად;
- სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერას საქართველოს პრობაციის სფეროში მომუშავე თანამშრომლების განათლების ასამაღლებლად;
- ვადამდე განთავისუფლების პროგრამების განვითარებას;
- პატიმრების რეაბილიტაციას და რესოციალიზაციას;
- არასრულწლოვანთა სამართლის სისტემის რეფორმის ხელშეწყობას და, განსაკუთრებით, პენიტენციური და პრობაციის სისტემების გაუმჯობესებას მსჯავრდებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის;
- რეინტეგრაციაზე ორიენტირებული სასჯელაღსრულების და პრობაციის სისტემების დანერგვას ინდივიდუალური რეინტეგრაციის დაგეგმვის და რეინტეგრაციის პროგრამების განვითარების გზით.

საქართველოში დიდი თანხები დაიხარჯა როგორც ფინანსური, ისე ადამიანური კაპიტალის თვალსაზრისით. ამ უდიდესი საერთაშორისო დახმარების კონტექსტი მნიშვნელოვანია ამ მოხსენებაში განხილული და დოკუმენტებით დასაბუთებული წამების მხარედი პრობლემების გააზრებისთვის. მაშინ, როცა ეს პროგრამები შთაგონებული იყო კეთილი ზრახვებით და, ხშირ

შემთხვევაში, უაღრესად საჭირო დახმარებას და პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, წამების და ღირსების შემლახველი მოპყრობის შემთხვევები კვლავ რჩებოდა და, შესაძლოა, მძიმდებოდა კიდევ, როგორც ამას წინამდებარე მოხსენების კვლევა მეტი სიზუსტით აღწერს მეოთხე თავში. ამდენად, მწარე გაკვეთილი, რომელიც საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა მიიღო, არა მარტო საქართველოსთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ფართო საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

1.4. მოხსენების სტრუქტურა

ეს მოხსენება ისეა აგებული, რომ მისი წაკითხვა შეიძლება როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ. მოხსენების მთელ ტექსტს თან ახლავს შემაჯამებელი დასკვნები, რომლებიც დასკვნის სახით აჯამებენ პრობლემებს კითხვის გაადვილებისთვის. ამ თავის შემდეგ, მოხსენება ოთხ ცალკეულ ნაწილადაა დაყოფილი. ქვემოთ გთავაზობთ ამ თავების მოკლე აღწერას.

თავი მეორე: მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის კონტექსტი და წინაპირობები. კერძოდ, პირველი ქვეთავი აღწერს სისხლის სამართლის რეფორმის განვითარებას და განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკაზე. ეს თავი განიხილავს ამ პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას და მის ზეგავლენას კერძო ჯგუფებსა და საპატიმროებზე.

თავი მესამე: წარმოადგენს ნულოვანი ტოლერანტობის წლებში (2006–2012) საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ მოძიებულ მთავარ ინფორმაციას. ეს თავი მიზნად ისახავს გამოვავლინოთ, თუ რა იცოდა გარე სამყარომ იმ პირობებში, როცა სისტემაში შეღწევა შეუძლებელი იყო.

თავი მეოთხე: წარმოადგენს მთლიანად ახალ ემპირიულ მონაცემებს ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრებისგან არაადამიანური მოპყრობისა და წამების თაობაზე ნულოვანი ტოლერანტობის წლებში. ეს თავი მიზნად ისახავს ბევრად უფრო გააღრმავოს ჩვენი ცოდნა, თუ რამდენად გავრცელებული იყო წამება, ვინ იყვნენ წამების მსხვერპლნი, რა მიზნები ჰქონდა წამებას, რამდენად წარმატებული იყო იგი ამ მიზნის მიღწევაში, რა ფორმით წარიმართებოდა ის, როგორ რეაგირებდნენ პატიმრები მასზე და როგორ აისახებოდა ეს ყოველივე წამების მსხვერპლზე შემდგომში.

თავი მეხუთე: მოკლედ აღწერს მიღებულ გამოცდილებას და იძლევა რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ აღიკვეთოს წამების გამოყენება და გაუმჯობესდეს მდგომარეობა საქართველოს ციხეებში.

შესავალი

2003 წლის ვარდების რევოლუციამდე საქართველო მრავალი პრობლემის წინაშე იდგა, ადამიანის უფლებების დარღვევით, სისტემური კორუფციით და მასობრივი უმუშევრობით დაწყებული და სიმბოლური პენსიით და ხელფასებით დამთავრებული. ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2004 წლის მოხსენების თანახმად, საქართველო იყო უკიდურესად კორუფციული სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს პირველადი საჭიროებებითაც კი ვერ უზრუნველყოფდა. “მთავრობა დისფუნქციური იყო, სახელმწიფოს ყველა სფერო და დონე – კორუმპირებული. მოქალაქეები უსამართლობას აწყდებოდნენ ყველგან და თავს სრულიად დაუცველად და უუფლებოდ გრძნობდნენ”³. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიული ქვეყნების საქმეებში, მეთიუ ბრაიზამ თქვა, რომ საქართველოს სახელმწიფო სააკაშვილამდე იმდენად სუსტი იყო, რომ „ის თითქმის არ არსებობდა”⁴.

დამანგრეველი ეკონომიკური კოლაპსის პირობებში, საზოგადოებას ახრჩობდა გაუცხოების გრძნობა, რადგან ვითარება “ღრმად გამყდარი შემწყნარებლობით”⁵ გამოირჩეოდა კორუფციის გარკვეული ფორმებისა და გავლენიანი მაფიის ბოსების ანუ „კანონიერი ქურდების“ მიმართ. შესაბამისად, ვარდების რევოლუციის შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, რომ ახალი მთავრობა ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწევდა ამ მიმართებით. პარტია დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა რეფორმების განხორციელების პროცესში. არსებული საჭიროებების საპასუხოდ, პარტიის ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა პირობა დადო, რომ მრავალრიცხოვან რეფორმებს გაატარებდა ადამიანის უფლებების, კორუფციისა და ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით⁶.

ჩვენი ყურადღების ობიექტი იქნება სისხლის სამართლის სისტემა და ის რეფორმები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მასთან. ეს თავი მიზნად ისახავს იმ პოლიტიკის გაანალიზებას, რომელსაც სისხლის სამართლის სექტორი ახორციელებდა სააკაშვილის მთავრობის მმართველობის დროს; იმას, თუ როგორ ისხამდა ხორცს პრაქტიკაში და როგორ ზემოქმედებდა ის ადამიანის უფლებათა დარღვევებზე. ეს თავი დაყოფილია ქრონოლოგიურ ნაწილებად და წარმოაჩენს მთავარ მოვლენებსა და რეფორმებს, რომლებმაც განსაზღვრეს სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში. მეორე ნაწილი დეტალურად განიხილავს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას და სწორედ ის შეადგენს ამ თავის ღერძს:

- 2003-2005: სწრაფი რეფორმა და *ad hoc* სისხლის სამართალი უშუალოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ.

- 2006-2009: გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა დანაშაულზე, მისი ძირითადი პრაქტიკა და გავლენა სხვადასხვა ჯგუფზე.
- 2009-2012: გაჟღერებული სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია 2009 წლიდან ციხის სკანდალამდე და 2012 წლის არჩევნები.

2.1. დასაწყისი (2003-2005)

ვარდების რევოლუციის შემდეგ იწყება აგრესიული ანტი-კორუფციული კამპანია

საერთაშორისო დონეზე, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს საქართველო მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციების ხელმომწერი გახდა. შევარდნაძის დროს უკვე ხელმომწერილ ხელშეკრულებებს დაემატა საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის წესდება, „საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღკვეთის და დასჯის შესახებ“, „ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტრუტიციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, „წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი“ და სხვები.

ახალმა მთავრობამ იმავდროულად გააჩაღა ბრძოლა კორუფციასთან, რომელიც თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასახა. იმდროინდელმა პრემიერ მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ 2004 წლის ბოლოს პრესკონფერენციაზე ბრძანა: “მთავრობის პოლიტიკური პრიორიტეტი იქნება ნამდვილი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. ხოლო ისინი, ვინც სახალხო ქონება უკანონოდ მისაკუთრა, პასუხისგებაში მიეცემიან”.⁷

თავდაპირველად მთავრობა შეუდგა ანტიკორუფციული რეფორმის გატარებას ყველა სახელმწიფო უწყებაში. ეს რეფორმა განსაკუთრებით იყო კონცენტრირებული სამართალდამცველ უწყებებზე. პოლიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) რეფორმა განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენდა. ამ რეფორმის რადიკალური ხასიათის გაზვიადება რთულია. საქართველოს რამდენიმე დეპარტამენტში განხორციელდა „წმენდა“ და, მაგალითად, კორუფციით განთქმული საგზაო პოლიცია მთლიანად დაითხოვეს. შსს-ს შემადგენლობა 50 პროცენტით შემცირდა; ხელფასები გაიზარდა, შეიძინეს ახალი უნიფორმები, მანქანები და აღჭურვილობა. პოლიციის ამგვარი შემჭიდროება და პროფესიონალიზაცია უფრო ძირეული რეფორმის ნიშანი გახდა და პოლიციის მიმართ ნდობა საკმაოდ გაძლიერდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის შეფასების ინდექსის შესაბამისად, კორუფციამ საგრძნობლად იკლო.⁸

კორუფციასთან ბრძოლა თავიდან ძირითადად ყოფილი თანამდებობის პირების, ბიზნესმენების და კორუფციასთან დაკავშირებული სხვა გავლენიანი პირების მიმართ გაჩაღდა⁹. მათგან ბევრი წინასწარი პატიმრობიდან შემდგომი ნასამართლობის გარეშე გათავისუფლდა სახელმწიფო

ბიუჯეტში შეტანილი გადასახადის სანაცვლოდ¹⁰. ამ დაკავებულთა განთავისუფლება ხშირად წარმოებდა ახლად დანერგილი პროცედურის – საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. ეს იყო სააკაშვილის მთავრობის ერთი-ერთი პირველი სიახლე 2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. საპროცესო შეთანხმების დანერგვის გამართლებად განიხილებოდა ბიუჯეტიდან დამალული დაუბეგრავი ფულის ამოღება¹¹. სააკაშვილმა თავად გამოთქვა აზრი, რომ ასეთი მიდგომა კარგ შედეგს გამოიღებდა სახელმწიფო ფინანსების ადმინისტრირების თვალსაზრისით¹². ამასთანავე, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელდა დამატებები, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევდა, საჯარო მოხელეებისა და მაფიის ბოსების უკანონო გზით შექმნილი ან დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაცია განეხორციელებინა.

ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონმდებლობა სამთავრობო პაკეტის ერთი ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ის აჩქარებული ტემპით ამოქმედდა 2005 წლის განმავლობაში. პარლამენტმა რამდენიმე ახალი ცვლილება შეიტანა არსებულ კანონმდებლობაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, რომლის მიზანიც იყო, საფუძველი მომზადებულიყო ზოგადად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და მისი პრევენციისთვის მომავალში, რათა მომხდარიყო პირადი და სახელმწიფო ინტერესების ჯეროვანი დაცვა. 2005 წელს დამტკიცებული ეს კანონი კონცენტრირდებოდა „კანონიერი ქურდებზე“ ანუ პირებზე, რომლებიც კრიმინალური ელიტის სტატუსით სარგებლობდნენ. მეტიც, ახალი კანონმდებლობა შეიცავდა ახალ დანაშაულს სახელწოდებით „კავშირი მაფიასთან“, რაც ქართულ კონტექსტში ცნობილია, როგორც „ქურდული სამყაროს წევრობა“.¹³

შეშფოთება ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო თავისუფლებათა მოსალოდნელი დარღვევების გამო

კვლევის მონაცემები და ექსპერტთა თვალსაზრისი გვაფიქრებინებს, რომ თავიდან “საზოგადოება მიესალმებოდა კორუფციისა და მაფიოზური ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლას, და კიდევ უფრო მკაცრ ზომებს მოითხოვდნენ.”¹⁴ თუმცა, ზუსტად ისე, როგორც აშშ-ში, კანადასა და იტალიაში, გაჩნდა შიში, რომ ანტი-მაფიური პოლიტიკის გატარებისას ზომამე მეტი ძალაუფლების გადაცემა პოლიციისა და საგამოძიებო ორგანოებისთვის მოხდებოდა სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებების ხელყოფის ხარჯზე. კერძოდ, „მაფიასთან ასოცირების“ დანაშაულში ბრალდება ძალის ფართო და თვითნებური გამოყენების კარგ საფუძველს ქმნიდა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა, ლევან რამიშვილმა განუცხადა “ემნესტი ინტერნეშენალს” 2004 წლის აპრილში, ახალი მთავრობის დღის წესრიგში არ იდგა ადამიანის უფლებების საკითხი¹⁵.

თუმცა, ადამიანის უფლებების საკითხი სწორედ მთავარი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო, რადგან შევარდნაძის მთავრობის მემკვიდრეობა, სხვა პრობლემებთან ერთად, “ადამიანის უფლებების სავალალო მდგომარეობით”¹⁶ და კორუმპირებული სასამართლო სისტემითაც გამოირჩეოდა.

წამება და არაადამიანური მოპყრობა წინასწარი პატიმრობის დროს განსაკუთრებით იყო გავრცელებული და “ვარდების რევოლუციის” შემდგომაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.¹⁷

მაგრამ სამართალდამცავი სისტემის რეფორმის საპირისპიროდ, სასამართლო სისტემა და წინასწარი დაკავების ადგილები, სადაც თავისუფლების სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმებები და ფულის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა ფორმდებოდა, კვლავ ძალადობის ადგილებად რჩებოდა. 2005 წელს, „ემნესტი ინტერნეიშენალმა“ აღრიცხა ძალადობის რამდენიმე შემთხვევა, რომელიც წამების ისეთ ხერხებს შეიცავდა, როგორცაა ელექტროშოკი და „ცემა, მათ შორის ხელკეტებით, კონდახებით და წიხლებით“¹⁸.

სასტიკ მეთოდებს განსაკუთრებით მათ მიმართ იყენებდნენ, ვინც კორუფციის ან ორგანიზებული დანაშაულის გამო იყვნენ დაპატიმრებულნი. იმდროინდელი ომბუდსმენის, სოზარ სუბარის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებში შედიოდა ნარკოტიკული საშუალებების და იარაღის “ჩადება” და აღიარების ძალადობით მოპოვება იმ შემთხვევებში, როცა ყველამ იცოდა, რომ ბრალდებულები მონაწილეობდნენ კორუფციაში, მაგრამ მტკიცებულებების სხვა გზით მოპოვება ვერ ხერხდებოდა.¹⁹

კიდევ ერთი, ძლიერ შემაშფოთებელი ტენდენცია გახლდათ ის, რომ იმატა სამართალდამცველთა მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა. როგორც ხაზგასმით იქნა აღნიშნული მოხსენებაში – “ალტერნატიული მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს” – ბევრი ოპერატიული ღონისძიება დამთავრდა ლეტალურად. ჯერ კიდევ 2004 წელს სააკაშვილმა ურჩია იუსტიციის მინისტრს, “ძალა ეხმარა საპატიმროში ნებისმიერი არეულობის ინსცენირების შემთხვევაში და გაეხსნა ცეცხლი, მოეკლა და გაენადგურებინა ნებისმიერი კრიმინალი, რომელიც მღელვარების მოწყობის მცდელობას განახორციელებდა. ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ტყვიები არ უნდა დაგვეწიწათ.”²⁰

ამგვარი განცხადებების პირობებში გასაკვირი არაა, რომ 2004 წელს “ჰიუმან რაიტს უოტჩმა” შეშფოთება გამოთქვა, რომ ხელისუფლება “იყენებდა ძალადობრივ ენას, საჯაროდ ბრალს სდებდა და სახელს უტეხდა დაპატიმრებულებს და ხოტბას ასხამდა ან ამართლებდა გამოძიებას მაშინაც კი, როცა წამების და პროცედურული კანონდარღვევების თაობაზე სერიოზული განცხადებები კეთდებოდა”²¹. ამასთან ერთად, პოლიცია ხშირად ფირზე აღბეჭდავდა რეიდებს და კორუმპირებული პოლიტიკოსების დაპატიმრებებს. ამ კლიპებსა და მთავრობის გამამართლებელ გამოსვლებს ხშირად უჩვენებდა სხვადასხვა მედია საშუალება. ამან დასაწყისშივე დაანერგა კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულში ბრალდებულების თუ მსჯავრდებულების მეტად სახიფათო დემონიზების პრეცედენტი, რომელშიც თითქოს ნებისმიერი საშუალება გამართლებულად ითვლებოდა მთავრობის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.

აქტივისტები უდავოდ მართლები იყვნენ, როცა შიშობდნენ, რომ ბრძოლა კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ხორციელდებოდა ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე.

მთავრობის ადრეული მცდელობა ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად

2004 წლის ბოლოსთვის, იუსტიციის მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა აღიარა, რომ რეფორმებს მოჰყვა არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები და დადო პირობა, რომ მომავალში რეფორმების პროცესი გაგრძელდებოდა ყოველგვარი ძალადობის გარეშე²². ადეიშვილის საჯარო აღიარება ძალადობის თაობაზე პოზიტიური ნიშანი იყო. მართლაც, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვითარების გასაუმჯობესებლად. წამების დეფინიცია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა, დაწესდა უფრო მკაცრი ზომები და არასამთავრობო ორგანიზაციები დაუშვეს პოლიციის დაკავების ადგილებში და წინასწარი პატიმრობის ადგილებში თუ დროებითი მოთავსების იზოლატორებში²³.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების სახალხო დამცველის ეგიდით საკნებში შემწვების ნებართვა დადებითად შეფასდა “ჰიუმან რაიტს უოტჩის”²⁴ და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის²⁵ მიერ. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, მათი ვიზიტების წყალობით წამების ბრალდებებმა წინასწარი პატიმრობის ადგილებში იკლო. როგორც აღნიშნავდა 2005 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ალტერნატიული მოხსენება, არასამთავრობო ორგანიზაციები ამ როლს დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ, თუმცა მთელ საქართველოს ვერ მოიცავდნენ²⁶.

სახალხო მონიტორინგის მექანიზმები ციხეებში ჩამოყალიბდა 2004 წელს, როდესაც პრეზიდენტმა დაამტკიცა იმ პირთა სია, რომელთაც ნება ეძლეოდათ ყოველგვარი საგანგებო ნებართვის გარეშე შესულიყვნენ ციხეებში. ამ სიაში შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და, აგრეთვე, გარკვეული ცნობილი პირები,²⁷ რომელთაგან ზოგიერთი ახლად დაარსებული „მრჩველთა საბჭოს“ წევრი იყო²⁸. ამის პარალელურად, პატიმრობის შესახებ კანონის შესაბამისად, 2005 წელს იუსტიციის სამინისტრომ მიიღო ბრძანება ციხეების კომისიების ჩამოყალიბების თაობაზე²⁹. ამ კომისიების წევრები შეიძლება ყოფილყვნენ ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები. თუმცა, ამ მექანიზმებს აკლდა ორგანიზებულობა, კოორდინაცია, რესურსები, დამოუკიდებლობა და სიმწვავე, როგორც აღნიშნავდა გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი წამების თაობაზე³⁰. ამდენად, ამ დადებითი ცვლილებების მიუხედავად, გამოითქვა ეჭვი, რომ კვლავ ხდებოდა ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტები³¹.

სამართალდაცვითი სფეროსგან განსხვავებით, რეფორმა არ შეხებია და დამოუკიდებლობა აკლდა სასამართლო სისტემას

სასამართლო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა მიმდინარე რეფორმებში. სასამართლოები ყოველმხრივ კრიტიკას აწყდებოდნენ შევარდნაძის მმართველობის დროს³². ვარდების რევოლუციის შემდეგ კი სასამართლო რეფორმის მთავარ პრიორიტეტად კორუფციის დაძლევა იყო. ეს, როგორც მთავრობა ირწმუნებოდა, თავიდანვე განხორციელდა³³. მართალია, მექრთამეობამ იკლო, მაგრამ სხვა სერიოზული პრობლემები რჩებოდა მოუგვარებელი³⁴. არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს, რომ სასამართლო ხელისუფლება ზემოქმედებას განიცდიდა პროკურატორის მხრიდან. ისინი ასევე აკრიტიკებდნენ უფლებამოსილების გაზრდას, რაც პრეზიდენტს ერთპიროვნულ უფლებას ანიჭებდა, დაენიშნა და გაეთავისუფლებინა მოსამართლეები³⁵. სასამართლო სისტემას, ასევე, აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის არ რეაგირებდა ზეპირ ბრალდებებზე წამების ფაქტების თაობაზე, რასაც “პროფესიონალიზმის და დამოუკიდებლობის ნაკლებობას” მიაწერდნენ.”³⁶ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კონსტანტინე კუბლაშვილი აცხადებდა, სასამართლოები იქცა დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი მანქანის ნაწილად. “მთავარ მიდგომად იმ დროს განისაზღვრა დანაშაულის, კორუფციის და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა და მასში ჩაბმული იყო ყველა, სასამართლოს ჩათვლით. შეიძლება ითქვას, რომ ეს განხორციელა მმართველობის სამივე შტომ ერთობლივად.”³⁷

კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს სასამართლო სისტემაში ძირი გამოუთხარა სამართალწარმოებაში დანერგილიმა საპროცესო შეთანხმების გაუმჯობესებლად, ბუნდოვანმა ნორმებმა. ეს პრაქტიკა საზოგადოების მიერ შეფასდა, როგორც უცხოეთიდან სამართლის სისტემაში ხელოვნურად იმპორტირებული რეგულირება, რომელიც სახელმწიფოს სანქცირებული კორუფციის განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა. როგორც მოგვიანებით აღნიშნავდა “საერთაშორისო გამჭვირვალობა”: “სამართლიანად თუ უსამართლოდ, საპროცესო შეთანხმების პრაქტიკამ კანონდამრღვევის მიერ თავისუფლების შექმნის საშუალების რეპუტაცია მოიხვეჭა.”³⁸ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მკაცრად აკრიტიკებდა საპროცესო შეთანხმებას და რეკომენდაციაც კი გამოაქვეყნა ამ მექანიზმის პრაქტიკის გადახედვის თაობაზე. ასამბლეა აცხადებდა: “[საპროცესო შეთანხმება] ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს ზოგიერთ სავარაუდო კანონდამრღვევს, დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავალი გამოიყენოს პატიმრობიდან გასათავისუფლებლად და, მეორე მხრივ, ქმნის მისი თვითნებური, არაჰუმანური და პოლიტიკურად მოტივირებული სარჩულით გამოყენების საფრთხეს.”³⁹ ერთი არაჰუმანური ფორმა, რომელიც საპროცესო გარიგებას შეიძლება მიეღო, “ჰიუმან რაიტს უოტჩის” აზრით, იყო მისი გადაქცევა წამების ბრალდებების ჩახშობის საშუალებად.⁴⁰

შემავალი დღეები დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ ახალი მთავრობის მთავარ პრიორიტეტებად იქცა კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და ამ ბრძოლის მოგება ნებისმიერ ფასად, ადამიანის უფლებათა დარღვევის საფასურადაც. საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ განსხვავებული იყო. მაგალითად, პოლიციის რეფორმას უაღრესად დადებითად აფასებდნენ. თუმცა, საზოგადოების ნაწილს აშფოთებდა დაჭერების მასშტაბი და ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევები. მთავრობამ რამდენიმე ნაბიჯი

გადადგა სისხლის სამართლის სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ეს შედარებით ზედაპირულ დონეზე ხდებოდა. “ემნესტი ინთერნეშენალის” მოხსენების თანახმად, საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული მონაცემები “სხვადასხვა სახის” იყო. ამას გარდა, იყო შემთხვევები, როცა მთავრობა თავად ახალისებდა ძალადობას.

საქართველოში განხორციელებული რეფორმების პირველ წლებშიც კი, მთავრობა აქეზებდა კანონდამრღვევთა დასჯადობას და მათ წინააღმდეგ ძიების წარმმართველი სახელმწიფო მოხელეების დაუსჯელობას. „გამარჯვება ნებისმიერ ფასად“ - ასეთი ამროვნება წარმართავდა ომს კრიმინალის წინააღმდეგ, სადაც ნებისმიერი საშუალება თითქოსდა ამართლებდა საბოლოო მიზანს.

2.2. 2006-2009: დასჯადობის გაძლიერება – ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა


თავისუფლების სავალდებულო აღკვეთა და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემოღება, რომელმაც სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობის 300%-იანი ზრდა გამოიწვია

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ოფიციალურად მხოლოდ 2006 წელს გამოცხადდა. სააკაშვილმა იმ დროს განაცხადა: “მე გატყობინებთ, რომ შევიმუშავეთ ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნულოვან შემწყნარებლობას წვრილმანი დანაშაულისთვის ... გაუქმდება პირობითი მსჯავრი (პრობაცია)... ყველა, ვინც ამგვარ დანაშაულს ჩაიდენს, სასჯელს მოიხდის საპატიმროში.”⁴¹ ამ პოლიტიკის მიზანი იყო დანაშაულის დონის მინიმუმამდე დაწევა, დაუსჯელობასთან ბრძოლა და დანაშაულის ცნების აღქმის შეცვლა საზოგადოებაში.⁴² როგორც იუსტიციის მინისტრმა განმარტა, ეს პოლიტიკა, რომელიც “ჩვეულებრივ გამოიყენება დანაშაულთან ბრძოლის მკაცრი და ყოვლისმომცველი მიდგომის აღსანიშნავად, დაკავშირებულია წვრილმანი დანაშაულის და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევის მიმართ ზომების გამკაცრებასთან, რაც მათ მძიმე დანაშაულთან გათანაბრებას გულისხმობს”.⁴³

თავად ეს კონცეფცია სათავეს იღებს 1990 წლების დასაწყისის ნიუ იორკიდან. პირველ რიგში, იგი გულისხმობს კანონის დაცვის ისეთ კონტროლს, რომელსაც პროფილაქტიკური და მკაცრი ხასიათი აქვს⁴⁴. გარდა პოლიციის საგანგებო უფლებებით აღჭურვისა, როგორცაა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება დაპატიმრების დროს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, საქართველოში ნულოვანი ტოლერანტობა ითვალისწინებდა სადამსჯელო პოლიტიკის შეცვლას სავალდებულო საპატიმრო განაჩენის დანერგვით. არსებითად, ეს დისკრეციის უფლებას უზღუდავდა მოსამართლეს და უდგენდა, რომ საპატიმრო სასჯელი ყველაზე უმნიშვნელო და წვრილმანი დანაშაულის ჩამდენთათვისაც კი უნდა მიესაჯათ.


მაშინ, როცა საპროცესო შეთანხმება საშუალებას იძლეოდა, გაჭიანურებული საქმეები სწრაფად განხილვით სასამართლოში, სავალდებულო საპატიმრო მსჯავრის დირექტივის ფონზე, სუსტი მოსამართლეებისა და ბრალდების ძლიერი მხარის არსებობის პირობებში, სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგი თავისუფლების აღკვეთა იყო. სასამართლო საქმეების მაღალმა მაჩვენებელმა, გამამართლებელი განაჩენის დაბალმა პროცენტმა (0.1% 2009 წელს) და მკაცრმა განაჩენებმა, სასჯელაღსრულებით სისტემაში პატიმრების რაოდენობის წარმოუდგენელი ზრდა გამოიწვია. თუ 2005 წელს საქართველოში 9,688 პატიმარი იყო, 2009 წელს მათმა რაოდენობამ 21,079-ს მიაღწია, 2010 წელს – 23,684-ს და 24, 114-ს 2011 წელს⁴⁵. ამდენად, 2003 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში, პატიმართა რაოდენობა 300%-ით გაიზარდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 2010 წელს თავისუფლებააღკვეთილთა რაოდენობა იყო 538 პირი 100,000 სულ მოსახლეზე, რაც საქართველოს მსოფლიოში მეხუთე ადგილზე აყენებდა, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კი პირველ ადგილზე, რუსეთის გამოკლებით⁴⁶. ქვემოთ გთავაზობთ დიაგრამას, რომელიც ქრონოლოგიურად უჩვენებს საქართველოში პატიმართა რაოდენობის ზრდას.

თავისუფლება აღკვეთილ პირთა რაოდენობა



მომრავლებული პატიმრების დასაბინავებლად დაწყებული ციხის რეფორმა გამალებულ მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში გადაიზარდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხარჯები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2003-დან 2007 წლამდე 760%-ით გაიზარდა და ის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-დან 0.5%-მდე გაიზარდა. ეს მონაცემი, სავარაუდოდ, არ ასახავს ციხის ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე დახარჯულ სრულ თანხებს.


საპატიმროების ხარჯები (მილიონი ლარი)



სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტი – მილიონი ლარი (ფინანსთა სამინისტრო 2004-2009).

ორგანიზაცია Penal Reform International-ის თანახმად, მაშინ, როცა 2004-2005 წლებში ერთწლიანი საპატიმრო განაჩენი ყველაზე ხშირად იყო გამოყენებული, 2006-2007 წლებში ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელი⁴⁷. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობის მკვეთრ ზრდას შედეგად გადატვირთული საპატიმროები და, ზოგ შემთხვევაში, აუტანელი საცხოვრებელი პირობები მოყვა⁴⁸. მაშინ, როცა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი⁴⁹ აღიარებდა ნულოვანი ტოლერანტობის ამ უარყოფით მხარეს, ის ამტკიცებდა, რომ პატიმართა რაოდენობის ზრდამ “არ უნდა გადაწონოს რეფორმების წარმატება”⁵⁰. ამ შეფასებას არ ეთანხმებოდა საზოგადოების ნაწილი. 2009 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მოქალაქეების აზრით პატიმართა რაოდენობა მეტისმეტად დიდი იყო. ქვემოთ მოტანილი დიაგრამა თვალსაჩინოდ მეტყველებს ამაზე.

დამოკიდებულება პატიმართა საერთო რაოდენობის მიმართ 2009 (%)



დიაგრამა 3: პასუხები კითხვაზე: ამჟამად საქართველოს ციხეებში დაახლოებით 20 000 პატიმარია. როგორ აფასებთ ამ ვითარებას? წყარო: Penal Reform International South Caucasus (2009)

სასჯელალსრულების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობის დიდმა მატებამ ქართულ საზოგადოებაში განსხვავებული რეაქცია გამოიწვია. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ საქართველოში განხორციელებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მთავარ მახასიათებლებს, რასაც პატიმართა რაოდენობის შემაშფოთებელი ზრდა მოჰყვა: საპროცესო შეთანხმება, აღიარებითი ჩვენებები, საგამოძიებო ორგანოების მიერ უკანონო საგამოძიებო ხერხების გამოყენება, გამამართლებელი განაჩენის დაბალი მაჩვენებელი და წინასწარი დაკავების ღონისძიებების გადაჭარბებული გამოყენება. ჩვენ, ასევე, გავანალიზებთ, თუ რა შედეგი მოიტანა ამ ღონისძიებებმა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებზე პატიმრების, არასრულწლოვანთა და ნარკომომხმარებელთა ჩათვლით.

2.2.1. ნულოვანი ტოლერანტობის ძირითადი პრაქტიკა: საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმება ქართული სისხლის სამართლის სისტემის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად იქცა, რადგან სასამართლო საქმეთა ძალიან დიდი ნაწილი ამ გზით წყდებოდა. ამ პრაქტიკას მხოლოდ კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად როდი იყენებდნენ. ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა ცხადი გახდა – სწრაფი და ეფექტური სამართლის ნაცვლად, საპროცესო შეთანხმება გამოძიების ხელში შეიძლება გამოყენებულიყო სისხლის სამართლებრივი გამოძიების სუსტი მხარეების გადასაფარად, რადგან ის მტკიცების დაბალ სტანდარტს მოითხოვდა.

2006 წლიდან მოყოლებული, სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა, რომლებიც საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა, ყოველწლიურად იზრდებოდა. 2007 წელს საქმეთა 13%-ი საპროცესო შეთანხმებით დასრულდა, 2009 წელს ამ ციფრმა 57% შეადგინა⁵¹. რა გახდა საპროცესო შეთანხმებების ასე მომატებული გამოყენების მიზეზი? ამ საქმეებზე არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ განსასჯელები თანახმა იყვნენ საპროცესო შეთანხმებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ არ სჯეროდათ სასამართლო სისტემის და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობის⁵². უკიდურესად დაბალი გამამართლებელი განაჩენის პროცენტული მაჩვენებელი (2009 წელს ის 0.1%-მდე დაეცა) უბიძგებდა ბრალდებულებს, თავი დამნაშავედ ეცნოთ თუნდაც უდანაშაულობის შემთხვევაში და საპროცესო შეთანხმებას დათანხმებოდნენ⁵³.

ამას გარდა, საპროცესო შეთანხმების პრაქტიკასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი იყო ის, რომ პროცესს ბრალდების მხარე წარმართავდა. სამართალწარმოება შემოიფარგლებოდა მტკიცებულებების შემოწმებით და იმის დადასტურებით, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ არ ხდებოდა. ამის შემდეგ მოსამართლე ამტკიცებდა ან უარს ამბობდა საპროცესო შეთანხმებაზე ან აუცილებლობის შემთხვევაში, გარიგების პირობებში ცვლილებების შეტანას სთავაზობდა მხარეებს. მოსამართლეებს ბრალს სდებდნენ, რომ არ იყენებდნენ იმ შეზღუდულ ძალაუფლებასაც კი, რომელიც მათ ხელში იყო და, რომ პროკურატურის გადაწყვეტილებებზე “ბეჭდის დამრტყმელის” როლს ასრულებდნენ⁵⁴. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მისი ფუნქციები

მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ადვოკატების ერთადერთ ფუნქციას შეთანხმების სანაცვლოდ საუკეთესო პირობებზე ვაჭრობადა წარმოადგენდა⁵⁵. საერთო ჯამში, მთავრობის ყურადღება მიპყრობილი იყო პროკურორების გაძლიერებულ გადამზადებაზე, რესურსებისა და მათი გავლენის გაზრდაზე; ამ ფონზე, ადვოკატთა ასოციაცია ცდილობდა, ფეხი აეწყო ამ ვითარებისთვის⁵⁶.

საპროცესო შეთანხმებების მომატებული რაოდენობის და გამამართლებელი განაჩენის დაბალი მაჩვენებლის გამომწვევი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი წინასწარი დაკავების დაწესებულებებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა იყო. “ბრალდებულები ხვდებოდნენ გლდანის #8 ციხეში, რომელიც პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობითაა ცნობილი და ესეც უწყობს ხელს საპროცესო გარიგების მოსურნე ბრალდებულების რაოდენობის ზრდას” – ასეთი დასკვნა გამოიტანა თამარ ჩუგოშვილმა⁵⁷ ადამიანის უფლებების დარღვევისადმი მიძღვნილ სემინარზე – “ევროკავშირი-საქართველო სამოქალაქო საზოგადოება,” 2012 წელს⁵⁸.

საპროცესო შეთანხმება სახელმწიფო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. საპროცესო გარიგებების შედეგად, 2009 და 2012 წლებში ბიუჯეტში გადარიცხული თანხა 140 მილიონ ლარს აჭარბებდა⁵⁹. ეს თანხა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ის ორჯერ აღემატებოდა საქართველოს პარლამენტის და რვა სხვადასხვა სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტს ერთად აღებულს. საპროცესო შეთანხმება სერიოზული შემოსავლის წყაროდ იქცა მთავრობისთვის. უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენებოდა დიდი ჯარიმები, იმის მიუხედავად, რომ ეს არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი მოთხოვნა⁶⁰.

ახლახან, “ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმეზე *“ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ”*⁶¹, სადაც ხაზგასმული იყო, რომ, მართალია, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის საქმეებში სწრაფი სამართალწარმოებით მნიშვნელოვან შელავათს აძლევს და საქმეს უმსუბუქებს გადატვირთულ სასამართლოებს, პროკურორებს და ადვოკატებს, სწორად გამოყენების შემთხვევაში, ის, ასევე, შეიძლება კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წარმატებულ იარაღად იქცეს და წვლილი შეიტანოს გაჭიანურებული საქმეების რაოდენობისა და, შესაბამისად, პატიმართა რაოდენობის შემცირებაშიც. თუმცა, სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ პროცედურულ უფლებებზე უარის თქმის ნებისმიერი შემთხვევა ყოველთვის არაორაზროვნად უნდა იყოს სამართლებრივად ფორმულირებული და თან ახლდეს თანაზომადი გარანტიები. სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა იმას, რომ მნიშვნელოვანია ყოველთვის გადამოწმდეს, კონკრეტული შეთანხმებაში მონაწილე ადამიანი სრულად იცნობს თუ არა საქმეში არსებულ ფაქტებს და აცნობიერებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, და იმას, რომ საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული პროცედურა სასამართლო კონტროლს ექვემდებარება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობა, რომელიც გულისხმობდა საქმის

არსებით და სააპელაციო განხილვაზე უარის თქმას, იყო გაცნობიერებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება. მაგრამ ამ საქმეზე თანდართული მოსამართლის განსხვავებული აზრით, იმ სიტუაციაში, როცა გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა იყო 99.6%, ნებაყოფლობითობის ცნება არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული და უფრო მკაცრი გარანტიების საჭიროება არსებობდა.

2.2.2. ნულოვანი ტოლერანტობის ძირითადი პრაქტიკა: საგამოძიებო ინსტრუმენტები

გამოძიების მიმდინარეობასა და საქმეების სასამართლოში წარდგენის პროცესებზე დაკვირვება უკეთ წარმოაჩენს საპროცესო შეთანხმებების გამოყენების რაოდენობის ზრდის მიზეზებს. მეთოდებად, სავარაუდოდ, გამოიყენებოდა: „სასამართლო ბრძანების გარეშე ჩხრეკა; დაკავებულ პირებზე ზეწოლა დანაშაულის აღიარების ან დანაშაულის სხვაზე გადაბრალების მიზნით; დამსწრის გარეშე ჩხრეკის ჩატარება; დანაშაულის იარაღის სასამართლო ექსპერტიზის გარეშე სამხილად გამოყენება.“⁶² იმ დროს, როცა ორგანიზაციები ხმას იმაღლებდნენ და შეშფოთებას გამოთქვამდნენ ამ მეთოდების გამოყენებაზე, ბრალდებულები თავის საქმეებზე საჯაროდ მხოლოდ 2012 წლის ციხის სკანდალის შემდეგ ალაპარაკდნენ.

ამასთან ერთად, ცხადი გახდა, რომ ხორციელდებოდა ფართომასშტაბიანი, უკანონო თვალთვალი. 2013 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღმოაჩინა დაახლოებით 24 000 პირადი საუბრის ჩანაწერი, რომელიც სასამართლო თანხმობის გარეშე იყო გაკეთებული. ამ სახის უკანონოდ მოპოვებული სამხილი შეიძლება თავისუფლად გამოეყენებინათ როგორც მტკიცებულება ან ზემოქმედების საშუალება ბრალდებულის წინააღმდეგ. ჩანაწერების აღმოჩენის შემდეგ შექმნილი “უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის” დასკვნით აღმოჩნდა, რომ მიმდინარეობდა პოლიტიკური ლიდერების, სამოქალაქო აქტივისტების, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებისა და სახელმწიფო მოსამსახურეთა პირადი ცხოვრების ფარული ჩაწერა. კომისიამ, აგრეთვე, დაადგინა, რომ ჩანაწერები მოპოვებული იყო ვირუსის შეყვანით პირად ან სამუშაო კომპიუტერებზე⁶³. ამავე დროს, კომისიის ზოგმა წევრმა გამოთქვა აზრი, რომ, სავარაუდოდ, არსებობდა პირადი ცხოვრების შესახებ მონაცემთა მოპოვების სხვა საშუალებებიც⁶⁴. ჩანაწერები ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ მთავრობა უკანონოდ აგროვებდა ინფორმაციას თავის მოქალაქეებზე, რომლის გამოყენებას საგამოძიებო და სასამართლო ან პოლიტიკური მიზნებისთვისაც შეძლებდა.

2.2.3. ნულოვანი ტოლერანტობის ძირითადი პრაქტიკა: წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებული გამოყენება

იმის მიუხედავად, რომ ადამიანის წინასწარ პატიმრობაში დაკავების ვადის ხანგრძლივობა შეიცვალა, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა უჩვენებს, რომ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევები 2007-2008 წლებში გაიზარდა და მაღალ ნიშნულს ინარჩუნებდა⁶⁵. წინასწარი დაკავების მასშტაბური გამოყენება ქვეყნის ფარგლებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე გაკეთებულ მოხსენებებში 2006 წლიდან მაინც, განისაზღვრა, როგორც პრობლემური⁶⁶. არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვირვებით, წინასწარი დაკავების გამოყენება ხდებოდა დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად. სხვა ორგანიზაციები მიუთითებდნენ, რომ დაკავება გამოიყენებოდა უმნიშვნელო დანაშაულის შემთხვევაშიც კი, რაც ამყარებს იმ ადამიანების აზრს, რომლებიც აცხადებენ, რომ მოსამართლეები, აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელობისას, მოქმედებენ არა შინაგანი რწმენის საფუძველზე, არამედ, მკაცრად იცავენ ეგრეთ წოდებული “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკას⁶⁷. გადაწყვეტილებების არსიც პრობლემატური იყო, რადგან არც ზოგადად აღკვეთის ღონისძიებების და არც მისი რომელიმე სახის გამოყენების აუცილებლობა არ იყო დასაბუთებული⁶⁸. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლეებმა წინასწარი პატიმრობა გამოიყენეს ყველა იმ საქმეზე, სადაც ბრალდების მხარე ამას ითხოვდა⁶⁹.

იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ პრობლემატურ სურათს ქმნიდა საპროცესო შეთანხმების მასშტაბური გამოყენება, ევროკავშირის ორგანიზებით გამართულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დიალოგის ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ დაკავების ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას მიეძღვნა. აღინიშნა, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მომხდარიყო⁷⁰.

მაშინ, როცა ზემოთ აღწერილი ინიციატივები შეეხებოდა სისხლის სამართლის სისტემას მთლიანობაში, გამოითქვა სხვა სახის მოსაზრებებიც, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფებს ეხება; კერძოდ, აქ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ზოგადად პატიმრებზე, არასრულწლოვან კანონდამრღვევებსა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო დაკავებულ პირებზე.

2.2.4. ნულოვანი ტოლერანტობის შედეგები: ციხის ცხოვრება

როგორც უკვე ითქვა, 2006 წელს ციხეები გადავსებული იყო ახლად შესახლებული პატიმრებით. ახალმოსულები უწყვეტი ნაკადით მოედინებოდნენ ზემოთ აღწერილი ფართომასშტაბიანი რეფორმების შედეგად. ეს რეფორმები მიზნად ისახავდა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარებას: კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულის აღმოფხვრას. ციხის რეფორმას სამი

ძირითადი ურთიერთდაკავშირებული თავისებურება ახასიათებდა, რაც მიზანმიმართულ და ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა პატიმრებზე. პირველი იყო პატიმრებს შორის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რესტრუქტურირების საჯაროდ გაცხადებული მიზანი. ის გულისხმობდა დიდი მოცულობის საკნების ნაცვლად დასავლური სტილის ინდივიდუალური სისტემის დანერგვას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, რაც მინიმუმამდე დაიყვანდა სხვადასხვა ტიპის პატიმართა შორის ურთიერთობას. მეორე თავისებურება იყო ის, რომ პატიმართა „გასვრის“ საბჭოთა თეორია ფარულად შენარჩუნებული იყო და დიდი მნიშვნელობაც ენიჭებოდა; ცალკეულ მაღალი უსაფრთხოებით აღჭურვილ დაწესებულებებში „კანონიერი ქურდების“ და სხვა კრიმინალური ავტორიტეტების დანარჩენი პატიმრებისგან მკაცრი სეგრეგაცია ხორციელდებოდა. მესამე კი ის, რომ ეს რეფორმა მიზნად ისახავდა წესრიგის დამყარების, რაც გამოიხატებოდა მართვის სადავეების პატიმრებისთვის ჩამორთმევასა და ერთმნიშვნელოვნად ციხის ადმინისტრაციისთვის მის დაბრუნებაში. და ბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ციხის ძველი სისტემა მნიშვნელოვანწილად აგრძელებდა არსებობას. მაგალითად, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში მაინც ხდებოდა პატიმრებს შორის ურთიერთობა. მაგალითად, ზოგიერთი საპატიმრო, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დახურული რეჟიმის დაწესებულებას წარმოადგენდა, ინარჩუნებდა საკნებს, სადაც კვლავ პატიმრების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა.

პოლიციის რეფორმის წარმატების მიზანმიმართულად, როცა ათასობით პოლიციის თანამშრომელი გაათავისუფლეს კორუმპირებული ელემენტებისგან სისტემის წმენდის მიზნით და უფრო მცირე, მაგრამ მეტი პროფესიონალიზმით აღჭურვილი ძალა შეიქმნა, ძველი თანამშრომლები გაათავისუფლეს სასჯელაღსრულების სისტემიდანაც. გაათავისუფლება ზოგ დაწესებულებაში თანამშრომლების დაახლოებით 80%-ს შეეხო. თანამშრომელთა ნაწილი ხელახლა დაასაქმეს ან ჩაანაცვლეს ახლებით. მთლიანობაში, საპატიმროებს თანამშრომლები აკლდა. სააკაშვილის მასობრივი დაპატიმრების პოლიტიკის შედეგად, 3,000-მდე ადამიანს უწევდა ამ რეფორმირებული და მერყევი საპატიმრო სისტემის მართვა, სადაც თანამშრომელთა და პატიმართა თანაფარდობა, უხეში გაანგარიშებით, იყო 1:10-ზე, თუმცა ეს თანაფარდობა სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებული იყო. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ეს ციფრი არ უნდა აღარააბეჭდეს 1:3-ს. თანამშრომლები არასაკმარისად იყვნენ მომზადებულნი (მხოლოდ 20-დღიანი ტრენინგი ჰქონდათ გავლილი) და ზედმეტად იყვნენ გადატვირთულები (სამუშაო განრიგის მიხედვით, ცვლა ძალიან ხანგრძლივი იყო, ხოლო დასვენების დღეები - არაპროპორციულად მცირე).

ახალი, გამოუცდელი პატიმრების დიდმა შემოდინებამ, თანამშრომლების მასობრივმა ცვლილებამ და პატიმართა ძველი ციხის პირობებიდან ახალში გადმოყვანამ, სადაც, სავარაუდოდ, უკეთესი პირობები უნდა ყოფილიყო, რეფორმების პირველი ორი წლის განმავლობაში - 2005-2007 წლებში ქაოტური ვითარება წარმოქმნა. პატიმრები რეფორმებს წინააღმდეგობით და მასობრივი საპროტესტო შიმშილობით და ბუნტით შეხვდნენ.

2006 წლის მარტში ორთაჭალის #5 ციხეში მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არეულობა შესაძლო იყო ქუთაისის და ბათუმის

ციხეებსაც გადასდებოდა. ამის გამო, მთავრობამ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ნებართვა გასცა, რის შედეგადაც 7 პატიმარი დაიღუპა და გაცილებით მეტი დაიჭრა. სხვა ციხეებში, როგორცაა, მაგალითად, ბათუმის #3 ციხე, პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა წინააღმდეგობის ჩასახშობად⁷¹. ამ მღელვარების ზუსტი მიზეზები ბოლომდე ცხადი არ არის. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: ეჭვი არაა, რომ საქმეში ჩაერთნენ „კანონიერი ქურდები“ და, შესაძლოა, ეს დაკარგული გავლენის აღდგენის მცდელობა იყო. მეორე მხრივ, ბუნტის მიზეზი, შესაძლოა, არსებული პირობები და პატიმართა არასათანადო მოპყრობა გამხდარიყო (არსებობს ინფორმაცია სასტიკი მოპყრობის თაობაზე უშუალოდ ამბოხის წინ). ამ მოვლენებს შედეგად მოჰყვა ორთაჭაღის ციხის საბოლოო დახურვა, შენობის დანგრევა და პატიმრების ადგილმონაცვლეობა იმ ციხეებიდან, სადაც არეულობა და საპროტესტო შიმშილობა გავივდა.

ეს მოვლენები საქართველოს მთავრობამ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ამბოხებად შერაცხა, რომელიც განახორციელეს იმ პატიმრებმა, ვინც „კანონიერ ქურდებს“ უჭერდნენ მხარს. სამთავრობო რიტორიკის თანახმად, ციხეები იქცა ადგილად, სადაც პოლიტიკური წინააღმდეგობის ბოლო ნარჩენები ერთიანდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებული მოდერნიზაციის წინააღმდეგ. „კანონიერი ქურდები“ წარმოადგენდნენ ძველ, ჩამორჩენილ, არაფორმალურ, კანონსაწინააღმდეგო ნორმებით მართულ საბჭოურ და რუსულ წარსულს. ორგანიზებული დანაშაულის ეს საზოგადოებრივი სისტემა, რომლის ყველაზე აშკარა წარმომადგენლებიც „კანონიერი ქურდები“ იყვნენ, უნდა განადგურებულიყო და ეს ნიშნავდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული ციხეებიდან მათ ამოძირკვას.

სასჯელალსრულებითი სისტემის რეფორმა იმ დროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენდა - წესრიგის დამყარება ციხეში ეროვნული უსაფრთხოების საკითხი იყო. თუმცა, როგორც მეოთხე თავში ვნახავთ, ჩვენი მონაცემების თანახმად, ყოფილი პატიმრების შეხედულებით, ძალადობა ხორციელდებოდა არა მხოლოდ ელიტარული პატიმრების, არამედ პატიმართა მთელი კორპუსის მიმართ.

2.2.5. ნულოვანი ტოლერანტობის შედეგები: ნარკომომხმარებლები

ერთ-ერთი სფერო, სადაც მთავრობის პოლიტიკა განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა, იყო ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულებები. პარლამენტისადმი 2006 წლის მიმართვაში, პრემიერდენტმა სააკაშვილმა ხაზი გაუსვა ნულოვანი ტოლერანტობის მნიშვნელობას. მართალია, 2008 წლის განმეორებითი საპრემიერდენტო კამპანიის დროს, მისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ოდნავ შეიცვალა, მაგრამ, რეალურად, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული მკაცრი პოლიტიკა უცვლელი დარჩა.

ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სასჯელი საგრძნობლად გამკაცრდა. ნარკოტიკებთან დაკავშირებულმა დანაშაულმა (სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კვალიფიკაცია შეიძინა. ამ მიმართებით სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების უმეტესობა ითვალისწინებს მაღალ ფულად ჯარიმებს და 14 წლამდე ან

უვადო თავისუფლების აღკვეთასაც კი. ეს კი უფრო მაღალი სასჯელია, ვიდრე ქურდობისთვის, მკვლელობისთვის და სხვა მძიმე დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სანქცია. კანონმდებლობა არ იცნობს განსხვავებას ნარკომომხმარებლობასა და ნარკოტიკებით ვაჭრობას შორის. ის შესაძლებელს ხდის, ზუსტად ერთნაირი მსჯავრი იქნას გამოტანილი იმ ადამიანების მიმართ, ვინც პირადი მოხმარებისთვის ან გასაღების მიზნით შეიძინეს ნარკოტიკული ნივთიერება.

ამასთანავე, ნარკომომხმარებლების მდგომარეობას ართულებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი მკაცრი დებულებები. სასამართლოს ჩამოერთვა პირობითი მსჯავრდის შეფარდების უფლებამოსილება განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევებში. შესაძლებელი გახდა ჯარიმის გამოყენება დამატებითი სასჯელის სახით იმ შემთხვევაშიც, როცა ამას არ ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კოდექსი კონკრეტული დანაშაულისთვის. მეტიც, ფაქტებისა და შინაგანი რწმენის გათვალისწინებით, მოსამართლეს აღარ ჰქონდა უფლებამოსილება, გამოეყენებინა სასჯელის უმცირესი ან იმაზე დაბალი ზომა, რასაც კანონი ითვალისწინებდა, თუ მხარეებს შორის არ შედგებოდა საპროცესო შეთანხმება. 2007 წელს მიღებული ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის შესაბამისად, დამატებითი სავალდებულო სანქციები განისაზღვრა ნარკოდანაშაულში ბრალდებული ადამიანებისთვის (მათ შორის – მართვის უფლების ჩამორთმევა). ამ სანქციის გამოყენება მოსამართლისთვის სავალდებულო გახდა იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოსამართლე ამ ზომების ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავდა⁷².

ათასობით საქართველოს მოქალაქე შეირაცხა დამნაშავედ ნარკომომხმარებლობის მიზეზით. მეტიც, სწორედ ნარკომომხმარებლები და მათი ოჯახები იყვნენ საპროცესო შეთანხმების გზით ფულის გადამხდელები. როგორც შესაბამისი მონაცემები ადასტურებს, 44 მილიონი ლარი შეგროვდა ნარკომომხმარებლების საპროცესო შეთანხმებების წყალობით 2008 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში მაშინ, როცა მხოლოდ 2 მილიონი ლარი იხარჯებოდა წლიურად პატიმრების მკურნალობაზე და სხვა სარეაბილიტაციო მომსახურებაზე⁷³. ხარჯები მკურნალობაზე 5 მილიონ ლარამდე გაიზარდა 2014 წელს, თუმცა არც კი გასაჯაროებულა ინფორმაცია, თუ რა თანხა იქნა ამოღებული ადმინისტრაციული და/ან სისხლის სამართლებრივი საურავების გზით⁷⁴.

ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული პოლიტიკის შეფასებისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მკაცრმა პოლიტიკამ და პოლიციის რეფორმის შედეგად დანაშაულის გახსნის პროცესის გაუმჯობესებამ ვერ შეამცირა ვერც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ვერც გადამდები დაავადებების გავრცელება. უბრალოდ, პრობლემმა მხოლოდ უფრო ნაკლებად თვალშისაცემი გახდა⁷⁵. მოხსენებაში “2012 წლის ანგარიში ნარკოტიკულ საშუალებებზე საერთაშორისო კონტროლის თაობაზე” აღნიშნულია, რომ “ნარკომომხმარებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, გადავიდა შინ დამზადებული სინთეზური ნარკოსაშუალებების მოხმარებაზე. ეს საშუალებები უკიდურესად საზიანოა და სულ რაღაც ექვსი თვის შემდეგ ნარკომომხმარებლები ჯანმრთელობის უმძიმეს გართულებებს აწყდებიან.”⁷⁶

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაისმა რამდენიმე ოფიციალური განცხადება⁷⁷ და გამოითქვა ინიციატივები არსებული პოლიტიკის შეცვლის მიმართულებით, მაგრამ ეს ყოველივე კანონში არ ასახულა. 2007 წელს პარლამენტმა მიიღო “საქართველოს ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგია”, რომელსაც, სამწუხაროდ, არ მოჰყოლია საკანონმდებლო ცვლილება⁷⁸.

2.2.6. ნულოვანი ტოლერანტობის შედეგები: ქალები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში

იმის მიუხედავად, რომ ქალი პატიმრების რაოდენობრივი თანაფარდობა სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდა პატიმართა საერთო რაოდენობის 5%-ის ფარგლებში, პატიმარი ქალების რიცხვი 2006 და 2012 წლებში თითქმის გაორმაგდა და 2011 წლის მიწურულს უპრეცედენტო რაოდენობას მიაღწია (1,200-ზე მეტი ქალი პატიმარი)⁷⁹. ასეთივე ტენდენცია დაფიქსირდა ქალი პრობაციონერების შემთხვევაშიც, რომელთა რაოდენობამ თანდათანობით იმატა სადამსჯელო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის წლებში და 2011 წლის ბოლოს 3000-ს მიაღწია, რაც მანამდე არნახული ციფრობრივი მაჩვენებელია⁸⁰.

უზენაესი სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საპატიმრო განაჩენი ქალების მიმართ შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა კაცებთან შედარებით, თუმცა, როცა გამოიყენებოდა, ის მეტნაკლებად ერთნაირი იყო მამაკაცის და ქალის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივ პატიმრობამისჯილი ქალების თანაფარდობა საპატიმრო ვადის თვალსაზრისით (2010-2012 წლებში) უფრო დიდი იყო მამაკაცებთან შედარებით: ქალების 33%-ს ხუთწლიან საპატიმრო ვადაზე მეტი მიუსაჯეს მაშინ, როცა იგივე სანქცია მამაკაცების საერთო რაოდენობის 25%-ს მიმართ იქნა გამოყენებული⁸¹.

2008 წელს ორი სამუდამო პატიმრობამისჯილი ქალი იმყოფებოდა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში⁸², ხოლო 2010 წელს ოთხი ქალი იხდიდა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელს რუსთავის #5 საპატიმროში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო. უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ქალის შემთხვევაში უპრეცედენტო იყო „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის შემოღებამდეც - საქართველო ერთადერთი ასეთი ქვეყანა იყო სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ამ ნიშნით გამოირჩეოდა⁸³.

ნარკოტიკების მიმართ გამკაცრებული საქართველოს კანონმდებლობის შედეგად, მრავალი ქალი აღმოჩნდა მსჯავრდებული ნარკოტიკების მოხმარების ან მისი გასაღების გამო. სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ნარკოტიკული საშუალებების ფლობის, შექენის/შენახვის და/ან გასაღების გამო, არ განასხვავებს, თუ რა მიზნით ჰქონდა ადამიანს ნარკოტიკი მფლობელობაში – პირადი მოხმარებისთვის თუ გასაღებისთვის. ორივე შემთხვევაში ერთიანი სასჯელი ინიშნება და არაპროპორციული სანქციაა განსაზღვრული მათთვის⁸⁴.

2010 წელს პატიმარი ქალების დაახლოებით 40% ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს საპატიმროებში⁸⁵. საერთაშორისო ორგანიზაცია “Harm Reduction International”-ის მიერ განხორციელებულ კვლევაზე დაყრდნობით, 2011-2012 წლებში საქართველოში ქალი პატიმრების 34% საპატიმრო სასჯელს ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულებების გამო იხდიდა⁸⁶. 2013 წლის მაისში, იმ დროს მიმდინარე ფართომასშტაბიანი ამნისტიის პირობებშიც კი, ჯერ კიდევ მეორე ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეობა, რომლის გამოც ქალები სასჯელს იხდიდნენ, იყო ნარკოდანაშაული და მისი პროცენტული მაჩვენებელი 29-ს წარმოადგენდა. საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ⁸⁷, წლების განმავლობაში არ არსებობდა ინსტიტუციონალიზებული სქესის მიმართ მგრძობიარე ნარკოტიკული საშუალებების და ალკოჰოლის მოხმარების საწინააღმდეგო სამკურნალო პროგრამები, მათ შორის არც ქალი პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი მეტადონის პროგრამა. ერთადერთი შვება და ისიც, შეზღუდული დროით და მხოლოდ რამდენიმე ბენეფიციარისთვის, გაიღო “ატლანტისმა”, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამამ, რომელიც 12 საფეხურიან პრინციპს ეფუძნებოდა და ორიენტირებული იყო პაციენტების მიერ ნარკოტიკულ საშუალებებზე სრული უარის თქმაზე. ამ პროგრამის ადმინისტრირებას ახდენდა არასამთავრობო ორგანიზაცია “პეონი”.

2013 წლის მაისში, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკაზე დაყრდნობით, ქალების დიდი რაოდენობა იხდიდა საკმაოდ ხანგრძლივ საპატიმრო სასჯელს საკუთრებასთან დაკავშირებული არაძალადობრივი დანაშაულების გამო, მათ შორის არის თაღლითობა (39%), გაფლანგვა და ყალბი დოკუმენტების დამზადება (ყველა დანაშაულის 3%)⁸⁸. სხვა კვლევაში⁸⁹, რომელიც იმავე წელს განახორციელა “ციხის საერთაშორისო რეფორმამ”, ამ პატიმართა ნაწილი აცხადებდა, რომ ისინი გასულ წლებში სამართალწარმოების შეცდომის მსხვერპლი გახდნენ და ვალების გადაუხდელობის გამო, თაღლითობის მუხლით გაასამართლეს. ამ კვლევების თანახმად, ქალი პატიმრების საერთო რაოდენობის 34%-მა სამსახური დაკარგა, ხოლო 36-მა საცხოვრებელი ფართი⁹⁰.

2010 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლში შევიდა შესწორება, რომლის თანახმად, შეიცვალა სასჯელის მოხდის გადავადების პირობები დანაშაულის ჩადენაში მსჯავდებული ორსული და შვილიანი ქალებისთვის: ნაცვლად ხუთი წლის ასაკისა, შვილის ასაკი შემცირდა ერთი წლის ასაკამდე. ეს შესწორება იმას ნიშნავდა, რომ ამ სპეციალური საფუძვლით სასჯელისგან დროებითი განთავისუფლების უფლება ჰქონდა მხოლოდ ორსულ ქალს და ქალს, რომლის შვილიც ჯერ ერთი წლისაც არ იყო. ამ ცვლილებამ შეზღუდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საკანონმდებლო საფუძვლებზე დაყრდნობის შესაძლებლობა ქალის, როგორც არასრულწლოვანის აღმზრდელის პასუხისმგებლობის შესაფასებლად.

2010 წლის მოხსენებაში ომბუდსმენმა აღნიშნა, რომ ქალთა ციხეები უზომოდ იყო გადატვირთული, რადგან ქალი პატიმრების რიცხვმა განსაკუთრებულად იმატა 2010 წლის შუა პერიოდში. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა საპატიმროებში პატიმართა სიკვდილიანობის მატებაზე წინა წლებთან შედარებით⁹¹. მოხსენებაში, აგრეთვე, ხაზგასმული იყო სათანადო სამედიცინო მომსახურების არარსებობა წინასწარ პატიმრობა შეფარდებული ქალებისთვის და,

განსაკუთრებით, ფსიქიკური სამედიცინო დახმარების არარსებობა. ამ მოხსენების თანახმად, ხალხმრავლობა ციხეებში კიდევ ერთ პრობლემას წარმოშობდა, რომელიც დაკავშირებული იყო დედის უფლებასთან, შვილთან ერთად ყოფილიყო განთავსებული ციხის ტერიტორიაზე (იგულისხმება 3 წლამდე ბავშვები), რაკი არ არსებობდა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი დედისა და ჩვილის ერთეულში⁹².

მკაცრმა სადამსჯელო პოლიტიკამ, რომელიც საქართველოს მთავრობამ აირჩია, თავი იჩინა პატიმრების მთელი რიგი უფლებების შეზღუდვაში, რაც ასევე გადატვირთული საპატიმრო დაწესებულების მიზებით იყო განპირობებული. გრძელვადიანი ოჯახური (ცოლ-ქმრული) ვიზიტები გაუქმდა 2006 წელს “პატიმრობის შესახებ კანონში” შეტანილი ცვლილებების საფუძველზე⁹³ და მისი აღდგენა მხოლოდ 2011 წელს (ფაქტობრივად, ძირითადად მხოლოდ მამაკაცი პატიმრებისთვის) მოხდა, რამაც ქალი პატიმრები ამ უფლების გარეშე დატოვა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების საპირისპიროდ⁹⁴. სასჯელაღსრულების სამინისტრო ვალდებულია, 2015 წლის 31 დეკემბრამდე ისე მოაწესრიგოს ინფრასტრუქტურა, რომ ქალთა დაკავების დაწესებულებებში ქალებს მიეცეთ შეხვედრების საშუალება⁹⁵. მართალია, პატიმრობის კოდექსის თანახმად⁹⁶, „ოჯახური შეხვედრის“ ერთგვარი სახეობა დაინერგა და ის სამ საათამდე გრძელდებოდა, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება გრძელვადიანი პატიმრობის უფლების ადექვატურ ხანაცვლებად, რადგან ამ სახის საგანგებო „შეხვედრები“ პატიმრებსა და მომნახულებლებს (ბავშვების ჩათვლით) შორის მინის ტიხრებით შემოზღუდულ ოთახებში ხორციელდებოდა. ეს წესი მხოლოდ 2013 წელს შეიცვალა⁹⁷.

პატიმრებით გადაჭედილ საკნებს კიდევ უფრო ამძიმებდა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმის უმოქმედობა, რაც აფერხებდა ქალი პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლებას. ეს პატიმართა უკმაყოფილებას იწვევდა და რესოციალიზაციის საშუალებებს ზღუდავდა. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის სექტემბრამდე, როცა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საბჭოები პირველად ჩამოყალიბდა, 840 განთავისუფლებული პატიმრიდან მხოლოდ 40 იყო ქალი (ანუ ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პატიმართაგან ქალების რაოდენობა მხოლოდ 4.7 პროცენტს შეადგენდა. მათ შორის იყო ერთი არასრულწლოვანი გოგონა). ამის საპირისპიროდ, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 აგვისტომდე პერიოდში მთლიანად გათავისუფლებული 1967 პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებული პატიმრიდან 250 იყო ქალი (მათ შორის, 1 არასრულწლოვანი). ანუ მთლიანი რაოდენობის 12.7%-ს შეადგენდნენ ქალები⁹⁸.

ევროპულმა კომიტეტმა “წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ”, 2012 წლის ნოემბერში ვიზიტისას გაკეთებულ მოხსენებაში ხელისუფლებას ურჩია, გადაედგათ ნაბიჯები მენსტრუაციის პერიოდთან დაკავშირებული ჰიგიენის საგნების მარაგის გასაუმჯობესებლად⁹⁹. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის ამ სპეციფიკური საჭიროებით უზრუნველყოფის აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა სოციალურად დაუცველი ღარიბი ოჯახის წარმომადგენელი ქალი პატიმრების შემთხვევაში.

ფსიქიკური სამედიცინო დახმარების უალრესად მწვავე საჭიროების არსებობის მიუხედავად, წინა ხელისუფლების პირობებში ქალი პატიმრებისთვის ფსიქოლოგის და ფსიქიატრის ხელმისაწვდომობა ძალიან შეზღუდული იყო ან საერთოდ არ არსებობდა, როგორც ამას ადასტურებენ “ცხის საერთაშორისო რეფორმის” დამკვირვებლები. რეაბილიტაციის და განათლების პროგრამები მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა დონორთა დაფინანსებით და ისიც შეზღუდულ პერიოდში.

“ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის” (CEDAW) მიერ წამოჭრილი საკითხების¹⁰⁰ პასუხად, საპატიმროების ახალი ადმინისტრაცია ქალებისთვის გენდერულად სპეციფიკური საჭიროებებით და სენსიტიური ღონისძიებებით უზრუნველყოფის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. ამაში იგულისხმებოდა სამედიცინო მომსახურება, სხვადასხვა დამხმარე საშუალება, საკვები დედების და ჩვილებისთვის და სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამა. ახალმა მთავრობამ, ასევე, პირობა დადო, რომ გადადგამდა ნაბიჯებს ქალი პატიმრებისთვის ინდივიდუალური შეფასების და განაჩენის დაგეგმვის და, ასევე, გაუმჯობესებული მონიტორინგის მექანიზმების დასაწერად.

„ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის დასრულების შემდეგ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევები ქალთა მიერ დანაშაულის ჩადენისას თანაზომიერი და სენსიტიური რეაგირების უზრუნველსაყოფად.

2.2.7. ნულოვანი ტოლერანტობის შედეგები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

2006 წელს საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლებმაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზოგიერთი დანაშაულისთვის 12 წლის ასაკამდე დასწია. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწვევამ ცხარე კრიტიკა გამოიწვია საზოგადოებაში. რიგითი მოქალაქეები ცდილობდნენ გაერკვიათ, როგორ გამოასწორებდა სიტუაციას 12 წლის არასრულწლოვანის დაპატიმრების უფლება¹⁰¹. ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა 2008 წლის დასკვნით მოხსენებაში გამოთქვა შემოთქვა 14 წლიდან 12 წლამდე ასაკის დაწვევის გამო და მთავრობას ცვლილების გაუქმება მოსთხოვა¹⁰². ასაკი თოთხმეტ წლამდე მხოლოდ 2010 წელს იქნა აწეული. მთავრობამ ცვლილებების გამართლება არასრულწლოვანთა შორის მძიმე დანაშაულის ჩადენის სავარაუდო ტენდენციაზე მითითებით სცადა. მეორე მხრივ, ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ასაკის დაწვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე არ იყო საჭირო და, რომ ეს ცვლილება, უბრალოდ, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკიდან გამომდინარეობდა¹⁰³.

კომიტეტს, ასევე, აშფოთებდა ალტერნატიული სასჯელის შეფარდების ნაკლები შანსი არასრულწლოვანთა შემთხვევაში, რადგან მათ უფროსების მსგავსად იძულებით საპატიმრო განაჩენს გამოუტანდნენ და ხანგრძლივ წინასწარ პატიმრობას მიუსჯიდნენ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სამედიცინო დახმარების არარსებობის პირობებში¹⁰⁴.

სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა, რომ მოსამართლეების მიერ არ ხორციელდებოდა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების და ასაკის სპეციფიკური შეფასება¹⁰⁵. კერძოდ, 2006 წელს, 14 წლის არასრულწლოვანს მიესაჯა 10 წლიანი პატიმრობა მკვლელობის მცდელობისთვის მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მიუსაჯეს მხოლოდ რვა და შვიდი წლით პატიმრობა სანდრო გირგვლიანის სასტიკი მკვლელობისთვის¹⁰⁶. სახალხო დამცველმა, ასევე, სინანულით აღნიშნა, რომ არც ერთ არასრულწლოვანს არ შეხებია შეწყალება¹⁰⁷.

მართალია, ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგიის შემუშავება 2008-2011 წლებში¹⁰⁸ პოზიტიურ ნაბიჯად მიიჩნია, მაგრამ იგი არ მოიცავდა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის ყველა სფეროს. კომიტეტი კვლავ შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბავშვები თვითნებური დაკავებების მსხვერპლი ხდებოდნენ, პოლიცია კი სასტიკი და არაადამიანური მოპყრობით გამოირჩეოდა დაკავების ადგილებში.

2010 წლიდან მთავრობამ დაანერგა არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა. პროკურატურის დისკრეციის ფარგლებში, პატიმრობის ალტერნატივები იქნა განსაზღვრული. ამ პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპის შემდეგ დადგინდა, რომ განმეორებითი კანონდარღვევის შემთხვევების რიცხვი მეტად დაბალია იმ მოზარდებში, ვინც ალტერნატიულ არასრულწლოვანთა “განრიდების და მედიაციის პროგრამაში” მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 2010-2012 წლებში განრიდება მხოლოდ ნაკლებად მძიმე კანონდარღვევებს შეეხო, დღეს გაუმჯობესებულია შესაბამისი კრიტერიუმები ამ პროგრამაში მოზარდთა ჩასართველად. ამასთანავე, ტრენინგები უტარდებათ მოხელეებს, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწეობენ, რათა გაძლიერდეს მგრძობელობა ამ ბავშვების და მოზარდების საქმეების მიმართ და უკეთ და მართებულად გავაცნობიეროთ აღდგენითი მართლმსაჯულება.

ამის გარდა, სასჯალალსრულების და პრობაციის სისტემაში დაიბადა სასჯელის ინდივიდუალურად დაგეგმვის იდეა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ნაწილი¹⁰⁹. თუმცა, ეს მიდგომა მოითხოვს ეფექტურ ზედამხედველობას და შემდგომ ინსტიტუციონალურ გაფართოებას. ამ ნაბიჯების შედეგად, მოქმედი „წლოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის“ მიუხედავად, როცა პენიტენციალური სისტემა უპრეცედენტოდ გადაიტვირთა, რაც ფაქტობრივად არასათანადო მოპყრობის ტოლფასი იყო, 2010-2011 წლებში არასრულწლოვნები ერთადერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომელშიც თავისუფლებააღკვეთილთა რაოდენობამ იკლო¹¹⁰.

გემოაღნიშნულის მიუხედავად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაწყებული ინიციატივები ეფექტურად ვერ ხორციელდებოდა. მიმდინარე რეფორმის პირობებში, 2012 წლის 8 აგვისტოს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებაში ატყდა მღელვარება, რომელიც

ინფრასტრუქტურის და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანებით დასრულდა. შედეგად, 11 არასრულწლოვანი “ამბოხის” ორგანიზებაში იქნა ბრალდებულად ცნობილი. 2013 წელს “წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის” (GCRT) მიერ განხორციელებულმა კვლევამ ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებაში დაადასტურა, რომ ეს “ამბოხება” იყო იმ ძალადობაზე რეაგირება¹¹, რასაც დაწესებულების ადმინისტრაცია ახორციელებდა არასრულწლოვან პატიმრებზე 2010-2012 წლებში. რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ ისინი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, სულ ცოტა, ერთხელ მაინც. გასაუბრებებმა მოზარდებთან გამოავლინა, რომ ფიზიკურ ძალადობას ძირითადად ღამის საათებში, მთავარი შენობის სარდაფში და ზოგჯერ დირექტორის კაბინეტშიც კი ჰქონდა ადგილი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან. ძალადობის კვალის დასაფარად, ადმინისტრაცია დაკავებულებს აიძულებდა, უარი ეთქვათ ან გადაეცადებინათ ოჯახის წევრებთან პაემანი და არ დასწრებოდნენ შეხვედრებს ფსიქოლოგთან ან სოციალურ მუშაკთან. ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ამბოხების მიზეზი მათი მშობლების და ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული შეურაცხყოფა და არასათანადო მოპყრობა გახდა.

კვლევის ფარგლებში გასაუბრება ჩაუტარდა ექსპერტებსაც. ამის შედეგად გაირკვა, რომ 2010 წლამდე დაწესებულებაში წესრიგის დამყარების მიზნით, ადმინისტრაცია ეგრეთ წოდებული კრიმინალური სუბკულტურის კანონებს და წესებს იყენებდა, რომლის თანახმადაც “ზედამხედველი” ერთადერთი “უფროსია” და იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი პატიმრები მას უპირობოდ უნდა ემორჩილებოდნენ. როცა სხვადასხვა მიზეზით, ადმინისტრატორის ახალდანიშნული “ზედამხედველის” გავლენა სუსტდებოდა, ადმინისტრაცია თავად მიმართავდა პირდაპირ ძალადობას მოზარდების მიმართ.

არასრულწლოვანთა დაკავების დაწესებულებში მოზარდებს ორ პარალელურ რეალობაში უწევდათ ცხოვრება – ერთის მხრივ, მოქმედებდა ხელმისაწვდომი ფსიქოლოგიური სამსახური და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვის წესიც ამოქმედდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი სისტემური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარად ძნელია ლაპარაკი ნებისმიერი სახის პოზიტიურ განვითარებაზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სექტორში, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული სერიოზული პრობლემების მიუხედავად, ეს იყო ერთადერთი პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც პატიმრების რაოდენობამ იკლო. არასრულწლოვან პატიმართა რაოდენობის კლება იყო 2009 წელს დაწყებული სისტემის ზოგადი ლიბერალიზაციის მცდელობის შედეგი და ახლა სწორედ ამ ლიბერალიზაციის პროცესის განხილვას შევუდგებით.

2.3. ლიბერალიზაცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

“სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო” 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. ეს იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ლიბერალიზაციის გაცხადებული პროცესის ნაწილი¹¹². 2010 წელს მთავრობამ, ასევე, მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც შეიძლება ლიბერალიზაციის ერთგვარ ნიშნად მივიჩნიოთ, იყო პატიმრობის ვადის გამოთვლის წესის ოდნავი სახეცვლილება. თუმცა, ცვლილებები არ შეეხება საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკას. რაც შეეხება წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, რაოდენობამ მინიმალურად იკლო. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ გამოაცხადა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების შესახებ, რაშიც სანქციების გადახედვაც იგულისხმებოდა, სინამდვილეში ეს არ განხორციელებულა.

2012 წელს განხორციელებული “ადამიანის უფლებათა დიალოგის” მონაწილენი მიესალმენ ლიბერალიზაციის შემთხვევებს, თუმცა აღნიშნეს, რომ “უფრო გლობალური მიდგომა იყო საჭირო ისეთი სისხლის სამართლის სისტემის შესაქმნელად, რომელსაც მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის უნარი ექნებოდა”¹¹³.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელიც 2010 წელს შევიდა ძალაში, მისი მიღება და მასში მოცემული პრინციპები ძალიან დადებითად შეფასდა. ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის გადასვლას ინკვიზიციური სისტემიდან

ინსტიტუციები არ იყვნენ მზად ცვლილებისთვის. ცვლილება ისე შევიდა ძალაში, რომ არანაირი მოსამზადებელი სამუშაო არ ჩატარებულა.

რაც შეეხება პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების მექანიზმებს, “ციხის საერთაშორისო რეფორმის” მიერ ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ ვადამდე პირობით განთავისუფლებული პატიმრების საერთო რაოდენობა მინიმალური იყო და სერიოზულად იკლო 2008 წლიდან 2011 წლამდე დროის მონაკვეთში. მაგალითად, 2010 წელს 4,382 განთავისუფლებული პატიმრიდან მხოლოდ 234 იყო პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლებული. ამ კვლევამ გამოავლინა, რომ პრობლემები იყო არა მხოლოდ კანონმდებლობაში, არამედ პრაქტიკაშიც¹¹⁶. აქედან გამომდინარე, განხილული საქმეების და მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა მცირე იყო და ეს კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა 2012 წელს¹¹⁷. ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული ვადაზე ადრე განთავისუფლების მექანიზმებიც, ასევე, პრობლემური აღმოჩნდა.

და ბოლოს, სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია არ განხორციელებულა ისე ეფექტურად, როგორც ეს “ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის” იმპლემენტაციისას მოხდა 2006 წელს; მით უფრო, რომ ნულოვანი პოლიტიკის პრაქტიკა და მისი შედეგები, როგორც ზემოთ, ამ თავის მეორე ნაწილში იქნა წარმოდგენილი, უმეტესწილად უცვლელად შენარჩუნდა.

შეჯამება: ნულოვანი ტოლერანტობა და ადამიანის უფლებები

როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები აქებდნენ ერთიან ნაციონალური მოძრაობას იმის გამო, რომ საქართველო გაათავისუფლეს დანაშაულისგან და კორუფციისგან. ოფიციალური მონაცემებით, 2006 და 2010 წლებს შორის შუალედში მთელი აღრიცხული დანაშაული 54 პროცენტით შემცირდა მაშინ, როცა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მაჩვენებელმა ნუ პროცენტით დაიწია¹¹⁸. გამოკითხვებმა ვიქტიმიზაციის თაობაზე, რომლითაც იზომება აღრიცხული და ასევე აღურიცხავი დანაშაული და რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის კომპანიამ განხორციელა 2010 წელს, დაადგინა, რომ 1990-იან წლებში ჩატარებულ გამოკითხვებთან შედარებით, ვიქტიმიზაციის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო. საქართველოს ვიქტიმიზაციის დონე 2010 წელს სხვადასხვა სახის დანაშაულების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა მრავალ ევროპულ ქვეყანასთან შედარებით.

„ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“ უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლითაც აიხსნება 2010 წლის გასაოცრად დაბალი დანაშაულის დონე საქართველოში. თუმცა ამ ორის დამაკავშირებელი მექანიზმი დანამდვილებით უნდა მიეწეროს საზოგადოებიდან კანონდამრღვევთა ფიზიკურ გამორიცხვას, რაც ციხეებში პატიმართა რაოდენობის უზარმაზარმა მატებამ გამოიწვია, ისევე, როგორც იმ ადამიანების (განსაკუთრებით რეციდივისტების) ემიგრაციამ, ვინც იგრძნეს, რომ პოლიციის სამიზნედ იქცნენ¹¹⁹.

დანაშაულის სიხშირის კლება, რა თქმა უნდა, საქართველოს ფართო საზოგადოებამაც აღიარა. იმავე ვიქტიმიზაციის კვლევის თანახმად, საქართველოს უაღრესად უსაფრთხო ქვეყანად აღიქვამს თავად ამ ქვეყნის მოსახლეობა¹²⁰. როგორც ჩანს, საზოგადოებაში სრული კონსენსუსია იმასთან დაკავშირებით, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ნაყოფიერი აღმოჩნდა „კანონიერი ქურდების”, წვრილმანი დანაშაულის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებს, რომ დანაშაულის აღქმაც კი შეიცვალა საზოგადოებაში და რომ ადამიანები მზადყოფნას გამოთქვამენ, დაეხმარონ სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულთან ბრძოლაში¹²¹.

მიუხედავად ამისა, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის საფასური მაღალი აღმოჩნდა ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. რა კავშირია ამ თავში მონათხრობსა და ადამიანის უფლებათა დარღვევებს შორის? მოკლედ თუ ვიტყვით, ჩვენ განვსაზღვრავთ შემდეგ მექანიზმებს, რომლებიც პოლიტიკურ ცვლილებას და სისხლის სამართლის პოლიტიკას ადამიანის უფლებათა დარღვევის პოტენციურ გაუარესებასთან აკავშირებენ:

- მთავრობის რიტორიკა კრიმინალების მიმართ და რეფორმისტული ჟინი. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მეგკვიდრეობით მიიღო ქვეყანა უამრავი პრობლემით. ამდენად, მას უნდა დაეკმაყოფილებინა მაღალი მოლოდინი და მოეწესრიგებინა რამდენიმე სფერო, დაწყებული სუსტი ეკონომიკით და დამთავრებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობით. მთავრობამ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები გაამართლა რეფორმის და სახელმწიფოს აღმშენებლობის მისიით. ბევრ შემთხვევაში, უკიდურესი ზომების დაკანონებით, მათ შორის უკანონო სიცოცხლის მოსპობებით, ხდებოდა კრიმინალის დამარცხებისათვის ბრძოლა, რომელთა შესახებ ასეთ რიტორიკას მიმართავდნენ – “ჩვენ და ისინი“. ეს რიტორიკა ყველაზე მაღალი ეშელონებიდან მოდიოდა და, როგორც ჩანს, ამ დამოკიდებულებამ მთელი სისხლის სამართლის ინსტიტუტები მოიცვა, საპატიმროების ჩათვლით.
- მასობრივი დაპატიმრებები. ნულოვანი ტოლერანტობა წარმატებული აღმოჩნდა კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულის და „კანონიერი ქურდების“ შემთხვევაში; თუმცა, ნარკოტიკებთან და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტრატეგია მეტისმეტად მკაცრი იყო და მიზანს ვერ მიაღწია. მეტიც, დანაშაულის კლება ძალიან ძვირად დაუჯდა სახელმწიფოს – უპრეცედენტოდ იმატა დაპატიმრებების რიცხვმა. თუ დავუშვებთ, რომ მკაცრი ზედამხედველობის გარეშე ადამიანის უფლებათა დარღვევის განხორციელება უფრო ადვილად წარმოსადგენია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და საპატიმროებში, უბრალო ვარაუდზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც უფრო მეტი ადამიანია ციხეში, მით მეტი ადამიანის უფლებების დარღვევაა მოსალოდნელი იქ.
- ზედამხედველობის არარსებობა. საქართველოს შემთხვევაში, მკაცრი ზედამხედველობა არ არსებობდა. მონიტორინგის გარეშე ერთ ძალადობას მეორე მოჰყვება. პრევენციული

უსაფრთხოების ზომები, როგორცაა, მაგალითად “წამების წინააღმდეგ მებრძოლი უწყებათაშორისი საკორდინაციო საბჭო”, სინამდვილეში ნაკლს კი არ ავლენდა, ჩქმალავდა და არ ზრუნავდა ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე. საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმებმა საპატიმროებში ფუნქციონირება შეწყვიტეს 2008 წლიდან. ჩვენ ზედმიწევნით აღვწერთ ამ პრობლემას მომდევნო თავში.

- ზეწოლა სასამართლო სისტემაზე. სასამართლო სისტემა იძულებული იყო, განეხილა სისხლის სამართლის საქმეების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, რათა „ნულოვანი ტოლერანტობის” მიზნები დაეკმაყოფილებინა. ამდენად, ხორციელდებოდა ზეწოლა, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევისა და სამართლიანი სასამართლო პროცესის მნიშვნელობის ნიველირების პოტენციურ საფრთხეს ქმნიდა. სასამართლოს პოლიტიკური დამოკიდებულება პროკურატურაზე, საპროცესო გარიგებების პოტენციურად ბოროტად გამოყენება, საპატიმრო სასჯელის დიდი რაოდენობა და გამოძიების უკანონო მეთოდები სამართალწარმოების სისტემას დაუცველს ხდიდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თვალსაზრისით.

ეს რეზიუმე ასახავს იმ პოლიტიკურ და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების კონტექსტს, რომელშიც თანამდებობის ბოროტად გამოყენება რეალურ შესაძლებლობად იქცა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. მეოთხე თავში ჩვენ წარმოგიდგენთ ყველაზე მნიშვნელოვან მტკიცებულებებს იმ მასშტაბის შესაფასებლად, რომელსაც, ფაქტობრივად, მიაღწია ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებმა. მანამდე კი, მომდევნო თავი მიმოიხილავს დოკუმენტურ მტკიცებულებებს 2006 წლიდან 2012 წლამდე, რათა დადგინდეს, თუ რა იყო ცნობილი ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე ამ სისტემაში და როგორ იცვლებოდა ეს არაადამიანური მოპყრობა დროთა განმავლობაში.

შესავალი

ამ ნაწილის მიზანია, გავანალიზოთ სხვადასხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც მათ საქართველოს საპატიმრო სისტემის მონიტორინგის თუ გამოძიების დროს მოიპოვეს ჯერ კიდევ სააკაშვილის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში ყოფნისას. ამ ნაწილში შევავსებთ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე საქართველოს სახალხო დამცველის სხვადასხვა მოხსენებას. რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობას, ის სხვადასხვა გზით უწევდა დახმარებას საქართველოს რეფორმების განხორციელებაში როგორც უცხოური ორგანიზაციების, ისე სხვადასხვა სახელმწიფოს მონაწილეობით. კვლევის ეს ნაწილი დოკუმენტებზე დაყრდნობით ასაბუთებს იმას, რისი გავლენაც საერთაშორისო საზოგადოებამ შეძლო საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში მომხდარი წამების შემთხვევებზე და იმ ზეწოლაზე, რომელიც შეიძლება გარედან განხორციელებულიყო მომხდარის პრევენციისთვის.

კვლევის ეს ნაწილი ეყრდნობა შემდეგი ორგანიზაციების პერიოდულ მოხსენებებს: “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი წამებაზე,” “წამების საწინააღმდეგო კომიტეტი”, “ადამიანის უფლებათა კომიტეტი”, “ევროსაბჭოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის პრევენციის კომიტეტი”, “ჰუმან რაიტს უოტჩი” და “ამნესტი ინტერნეშენალი”. მოხსენების ეს ნაწილი განიხილავს, აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატის და „ეროვნული პრევენციული მექანიზმის” მიერ საქართველოში მოპოვებულ ინფორმაციას.

მასალა ქრონოლოგიურადაა დალაგებული. მისი მიზანია, ხაზი გაუსვას საქართველოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაფიქსირებული წამების პრობლემის ცვალებად ხასიათს 2004 წლიდან, როგორც ეს დოკუმენტურად დასტურდება წარმოდგენილ მონაცემებში.

3.1. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ ანგარიშები: 2005-2006

ანგარიშები პოლიციაში დაკავებისას განხორციელებულ წამებაზე 2003-2005

გაეროს “სპეციალური მომხსენებელი წამებაზე და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ” (შემდგომში “სპეციალური მომხსენებელი”) საქართველოს ეწვია 2005 წლის თებერვალში ქვეყანაში წამებასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად. “სპეციალური მომხსენებლის” თანახმად, ღირსების შემლახავი მოპყრობა ძირითადად შენარჩუნებული იყო პოლიციის დაკავების ადგილებში (პოლიციის განყოფილებებში და დროებით იზოლატორებში)¹²² და არა ზოგადად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. პოლიციის წინასწარი დაკავების ადგილებში პირველი 72 საათი

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძალადობის ფაქტებით. იმ დროს წამება გამოიყენებოდა სავარაუდო დანაშაულის აღიარების მოსაპოვებლად. წამების მეთოდებში, სხვა საშუალებებთან ერთად, შედიოდა “მუშტით, კონდახებით და ხელკეტებით ცემა და ელექტრო შოკი. წამების მსხვერპლს აღენიშნებოდა დამტვრეული ძვლები, სიგარეტით ამომწვარი იარები, ნაჭდევები და აგრეთვე, ნევრო-ფსიქოლოგიური ცვლილებები.”¹²³ ამის საპირისპიროდ, საპატიმროების მონახულებისას არ დაფიქსირებულა ინფორმაცია პატიმართა ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ ციხის თანამშრომლების მხრიდან “და ხშირ შემთხვევაში, პატიმრები კმაყოფილებასაც გამოთქვამდნენ ციხის მცველების მისამართით, საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად.”¹²⁴

„ევროპის საბჭოს წამების და არადამიანური მოპყრობის ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის პრევენციის კომიტეტმა“ საქართველოში ვიზიტისას 2003 წლის ნოემბერში და 2004 წლის მაისში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ღირსების შემლახავი მოპყრობა კვლავაც გრძელდებოდა პოლიციელთა მხრიდან.¹²⁵ და კვლავ, ეს დაკავშირებული იყო აღიარებითი ჩვენების მოპოვებასთან დაკითხვის ადრეულ ეტაპებზე. ორგანიზაცია აღნიშნავდა „ფართოდ გავრცელებულ რწმენას“ დაკავებულთა შორის, რომ ისინი წამების მსხვერპლნი გახდებოდნენ, თუ არ აღიარებდნენ სავარაუდო დანაშაულს.¹²⁶ ღირსების შემლახველი მოპყრობის სავარაუდო ფორმები, უმეტეს შემთხვევაში, იყო “სილის გაწვნა, წიხლით და ხელკეტებით ცემა; გაისმა რამდენიმე ზეპირი ბრალდება, რომლის თანახმად, დროდადრო ელექტრო შოკსაც იყენებდნენ. ზეპირი გადმოცემით, რამდენიმე შემთხვევაში არადამიანური მოპყრობა იმდენად მძიმე იყო, რომ ის შეიძლება წამების ტოლფასადაც ჩათვლილიყო”¹²⁷.

სახალხო დამცველის ოფისიც მსგავს მოხსენებებს აკეთებს, რომ ჩვენებების იძულებითი მიცემა გავრცელებული იყო და ფართოდ გამოიყენებოდა, თუმცა ასეთი შემთხვევები ნაკლებად ხშირი იყო 2003 წლამდე პერიოდთან შედარებით. “2005 წელს, დაპატიმრებულ პირთა დაახლოებით ერთ მესამედს სხეულზე დაკავების დროს მიღებული დაზიანებები აღენიშნებოდა, თუმცა, წამების წარსულ პრაქტიკასთან შედარებით, ეს იყო სერიოზული მიღწევა.”¹²⁸

რაც შეეხება ვითარებას საპატიმროებში, ევროპის საბჭოს წამების და არადამიანური მოპყრობის ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის პრევენციის კომიტეტის წარმომადგენლებს არ ჰქონიათ ციხის თანამშრომელთა მიერ პატიმართა წამების ან სხვა ფიზიკურ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული რაიმე ინფორმაცია მათი ვიზიტის დროს 2003 და 2004 წლებში. მთლიანობაში, “ურთიერთობა თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის მშვიდი იყო.” თუმცა, თანამშრომლების ნაკლებობამ, განსაკუთრებით #5 საპატიმროში და სერიოზული ამბოხის მცდელობამ 2006 წელს (იხილეთ ქვემოთ), გაართულა ვითარების მართვა ციხეში და გაზარდა პატიმართა შორის ძალადობის რისკი. მეტიც, არაფორმალური ხელისუფლების სტრუქტურების არსებობამ პატიმართა შორის, ბიძგი მისცა გამოძალვისა და დაშინების შემთხვევებს.¹²⁹

გაეროს წამებაზე სპეციალური მომხსენებლისა და ევროპის საბჭოს წამების და არადამიანური მოპყრობის ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) დასკვნების მსგავსად, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებიც¹³⁰ ამზადებდნენ მოხსენებებს წამების და სასტიკი მოპყრობის თაობაზე საქართველოში 2005 წელს. უმთავრესად,

ეს მოხსენებები ეხებოდა სასტიკ მოპყრობას სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან. პოლიცია ფიზიკური შეურაცხყოფის ხერხს იყენებდა დაპატიმრებისას, წინასწარი დაკავების ადგილებში და პოლიციის განყოფილებებში. ეს მოხსენებები, ასევე, დოკუმენტურად ასახავს ბრალდებებს თავდასხმების და გატაცებების შესახებ, რასაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უშიშროების სამსახურის თანამშრომლები აწყობდნენ ქუჩაში.¹³¹

სხვა მოხსენებებთან შედარებით, „ამნესტი ინტერნეშენალის“ იმდროინდელი მიმოხილვა მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან პატიმართა წამების მეთოდების უფრო დიდ მრავალფეროვნებაზე პირის ამოქოლვის, თვალების ახვევის, დამწვრობის, პატიმრების ოჯახზე მუქარის, „ორ მაგიდას შორის პატიმრის ძელზე თავდაყირა დაკიდების“ და პატიმრისთვის თავზე ცელოფანის პარკის ჩამოცმის ჩათვლით.¹³²

„ამნესტი ინტერნეშენალის“ თანახმად, “პირველი ათი თვის მმართველობის განმავლობაში, მთავრობის პოლიტიკამ არა თუ შეამცირა ძალადობა, კიდევ უფრო გააღვივა ის”¹³³. დანაშაულის წელში გატეხვის უმთავრესმა პოლიტიკურმა მიზანმა დაუსჯელობის ძლიერი გრძნობა დაუმკვირდა იმჟამინდელ პოლიციელებს. ჰუმან რაითს უოტჩის მიხედვით, „ყველაზე დიდი იმედგაცრუება წამების აღმოფხვრის რეფორმაში“, იყო მთავრობის მიერ დადებული პირობის შეუსრულებლობა: დაესაჯა წამებაზე პასუხისმგებელი პირები”¹³⁴. საპროცესო შეთანხმების დანერგვამ უნებურად ხელი შეუწყო დაუსჯელობის სინდრომს, რადგან “წამების ჩამდენ პოლიციელებს თუ მათ კოლეგებს საშუალება მიეცათ, მოლაპარაკებების მეშვეობით დანაშაულის გამო დაპატიმრებულთათვის მსუბუქი სასჯელის დაპირებით უარი ეთქმევინებინათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.”¹³⁵ ვითარებას ამძიმებდა საჩივრის დაწერის შემთხვევაში შურისძიების მუქარა და პროკურორების და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არარსებობა.¹³⁶

2005 წლის მოხსენებაში „გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა“ ასევე დაადგინა, რომ საქართველო იდგა ციხის თანამშრომლების მიერ განხორციელებული წამების და არაადამიანური მოპყრობის უსერიოზულესი პრობლემის წინაშე. მოხსენება თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ციხის თანამშრომლების დაუსჯელობის სინდრომი ძალადობის შემთხვევებში შენარჩუნებული იყო იმის ხარჯზე, რომ ციხის ადმინისტრაცია ვერ ახერხებდა ეფექტურ ბრძოლას ძალადობასთან¹³⁷. სპეციალური მომხსენებელი მიუთითებდა, რომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე, არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა არაადამიანური მოპყრობის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებზე და არც რაიმე სერიოზული და შედეგიანი გამოძიება ან სამართლებრივი დევნა განხორციელებულა¹³⁸. ასევე, აღინიშნა, რომ არსებობს “დიდი შეუსაბამობა ბრალდებების რაოდენობასა და გამოძიებული საქმეებისა და წარმატებულად წარმართული სამართლებრივი დევნის საქმეთა რაოდენობას შორის.”¹³⁹

საქართველოში 2005 წელს ევროპის საბჭოს წამების და არაადამიანური მოპყრობის ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის პრევენციის კომიტეტის დელეგაციის ვიზიტისას, ზოგიერთმა მაღალი რანგის თანამდებობის პირმა შემოფოთება გამოხატა, რომ პოლიციაში კვლავ ძველებურად გრძელდებოდა არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა¹⁴⁰. დელეგაციის წევრებმა მიიჩნიეს, რომ ზოგადად “არ ხდება იმის აღიარება, რომ პრობლემა არსებობს.”¹⁴¹

თვალსაზრისით, CPT-იმ დაასკვნა, რომ ბევრი რამ რჩებოდა “გასაკეთებელი ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების თვალსაზრისით ეროვნულ დონეზე.”¹⁴²

2003-2005 წლებში ციხეები არ მიიჩნიეს წამების ადგილებად, თუმცა არსებული პირობები მკაცრად გააკრიტიკეს

იმუამინდელი ციხეების შესახებ კონკრეტული მიგნებების არარსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებადამცველები ადრეულ ეტაპზევე გამოთქვამდნენ მოხსენებებში ვარაუდს, რომ ციხეები კვლავ პრობლემურ სფეროდ რჩებოდა სისხლის სამართლის სისტემაში. მაშინ, როცა ყველა დამკვირვებელი ერთხმად აცხადებდა, რომ წამება განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო პოლიციის წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, მოხსენებები მიუთითებდნენ ციხეების უმძიმეს მდგომარეობაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. CPT 2005 წლის მოხსენებაში, გაეროს სპეციალური მომხსენებლის მსგავსად, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საპატიმროები პატიმრებით იყო გადატეხილი და არ არსებობდა სათანადო სამედიცინო მომსახურება¹⁴³. სახალხო დამცველიც აკეთებდა მოხსენებას სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ციხის თანამშრომლების არაადამიანური მოპყრობის ფაქტებისა და აუტანელი საცხოვრებელი პირობების თაობაზე, რაც წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ტოლფასად ფასდებოდა.¹⁴⁴

CPT-ის დელეგაციის წარმომადგენლებმა, ასევე, აღმოაჩინეს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა საჩივრის სისტემა და, რომ კონფიდენციალური საჩივრები ვერ აღწევდა დანიშნულების ადრესატს. საჩივრების მცირე რაოდენობა, ზოგ შემთხვევაში, იმის მანიშნებლად იქნა აღქმული, რომ, სავარაუდოდ, პატიმრები არ ენდობოდნენ თავად საჩივრების არსებულ პროცედურას.¹⁴⁵

იმის მიუხედავად, რომ CPT-ის არ მიუღია ინფორმაცია განზრახი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შესახებ ციხეებში, მან მაინც გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, “რომ პატიმართა დიდი უმრავლესობა თბილისის #5 ციხეში განიცდიდა უარყოფითი ფაქტორების ზეწოლის მთელ ნაზავს – პატიმრებით უკიდურესად გადატეხილი საკნები, შემაშფოთებელი მატერიალური მდგომარეობა და ჰიგიენის დონე, ყოველგვარი აქტივობების არარსებობა, რაც ერთობლიობაში შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. მსგავსი ვითარება იყო დამკვიდრებული მკაცრი რეჟიმის რუსთავის #2 პენიტენციურ დაწესებულებაში”¹⁴⁶. CPT-მ თბილისის #5 საპატიმროში არსებული ვითარება დაახასიათა, როგორც “შემაშფოთებელი”¹⁴⁷ და მოუწოდა ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ ემოქმედა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სტანდარტებთან სრულიად შეუსაბამოდ და უკიდურესად არაადამაკმაყოფილებლად აღიარეს, ძირითადად სამედიცინო სფეროს სპეციალისტების, მედიკამენტების და აღჭურვილობის არარსებობის გამო. გარდა ამისა, რამდენიმე ციხეში არ ჰქონდათ პატიმრების ინდივიდუალური სამედიცინო ბარათები, რაც შეუძლებელს ხდიდა პატიმართა სამედიცინო ისტორიისთვის თვალის მიდევნებას.

2005 წელს გაკეთებული მოხსენებებიდან ერთი წლის თავზე, ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ყველაზე უფრო სადავო ძალის გამოყენების ფაქტი დაფიქსირდა და ეს მოხდა ციხეში. 2006 და 2007 წლების მოხსენებებში ვრცლად იყო განხილული განცხადებები ძალადობის თაობაზე, რომელიც მოხდა 2006 წლის მარტში, ბუნტის დროს ორთაჭალის ციხეში.

3.2. გარდატეხის მომენტი: ორთაჭალის ციხის 2006 წლის მარტის ბუნტი

ბუნტზე რეაგირება მკაცრად იქნა დაგმოხილი

2007 წელს, „სპეციალურმა მომხსენებელმა“ დოკუმენტურად წარმოადგინა სანდო და უტყუარი მონაცემები წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის თაობაზე, რომლებიც განხორციელდა 2006 წლის მარტში თბილისში მდებარე #5 საპატიმროში მომხდარი ინციდენტის დროს, რომლის დროსაც შვიდი პატიმარი გარდაიცვალა და ბევრი სერიოზულად დაშავდა. პატიმრებსა და საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფებს შორის მომხდარი შეტაკებების დროს, შეუიარაღებელი პატიმრების წინააღმდეგ საბრძოლო ვაზნები გამოიყენეს. მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილ პატიმრებს მკურნალობა სჭირდებოდათ, ექიმს მათი ნახვის ნება არ დართეს მეორე დღემდე, როცა საქმეში სახალხო დამცველი ჩაერია.¹⁴⁸

საქართველოს იმუამინდელი სახალხო დამცველის თანახმად, პატიმრების წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალა იქნა გამოყენებული, რისი პროვოცირებაც თავად ციხის ადმინისტრაციამ მოახდინა¹⁴⁹. საგანგებო ძალებმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს მაშინ, რომ საკნებში მყოფი პატიმრები მათ წინააღმდეგობას არ უწევდნენ¹⁵⁰. საქართველოს სახალხო დამცველის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი პირადად იყო ამ პროცესში ჩართული და სცემდა პატიმრებს¹⁵¹. ამბოხის შემდეგ პატიმრებს ტანსაცმელი ჩამოართვეს, არ ჩაუტარეს სამედიცინო შემოწმება ორ კვირაზე მეტხანს. პროკურატურამ არანაირი ნაბიჯი არ გადადგა გამოძიების ჩასატარებლად და ციხის ამბოხის ფაქტების შესასწავლად.¹⁵²

პასუხი ორთაჭალის ამბოხზე დაკავშირებულია მეტისმეტი თავგამოდებით გამორჩეულ პოლიტიკასთან - „ომი დანაშაულთან“

ამ მოვლენებისას ძალის გადაჭარბებული და არაპროპორციული გამოყენება დაგმეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც¹⁵³. სააკაშვილის ადმინისტრაციამ ორთაჭალის ციხე ისეთ ფერებში წარმოადგინა, თითქოს პატიმრები ცდილობდნენ, მოეწყოთ დესტაბილიზაცია მთელს საქართველოში რუსეთის მიერ დაქირავებული მაფიის ბოსების შეთანხმებული სცენარის დახმარებით. ამბოხის ჩასახშობად გამოყენებული უკიდურესი ძალადობა, სავარაუდოდ, შეიძლება გარდატეხის მომენტად მივიჩნიოთ, როცა წესრიგი ციხეში ეროვნული უსაფრთხოების მიზნად იქცა. სასტიკი მიდგომა ქუჩაში დანაშაულის კონტროლის მიმართ, რომელიც გამოიხატა

2006 წელს პოლიციის მიერ განხორციელებული უკანონო სიცოცხლის მოსპობის მომრავლებულ შემთხვევებში, ციხის მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა.

ამას აღიარებენ მოხსენებებში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. როგორც ჰუმან რაიტს უოტჩმა საზგასმით აღნიშნა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, რომელმაც კანონის სახე 2005 წლის დეკემბერში მიიღო, “საპატიმროებში კონტროლის განმტკიცების მიზნით მძიმე ფიზიკური, მათ შორის, ლეტალური ძალის სწრაფი გამოყენების პოლიტიკის დამტკიცების წინაპირობა გახდა მთავრობის მიერ”¹⁵⁴. ჰუმან რაიტს უოტჩი შემდგომში აღნიშნავდა, რომ “პატიმართა არასათანადო მოპყრობა 2005 წლის დეკემბრიდან გაუარესდა. ზოგ დაკავებულ პირს გამუდმებით და სასტიკად სცემდნენ ან ძალადობის სხვა ხერხს და არაადამიანურ დასჯას იყენებდნენ. ზოგ შემთხვევაში ცემა და სხვა სახის ფიზიკური შეურაცხყოფა წამების კატეგორიას განეკუთვნებოდა”¹⁵⁵. ზოგიერთი პატიმრის მიმართ განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობას ცემის სახე ჰქონდა მათი გადაყვანისას “სხვადასხვა დაწესებულებაში, ან გადაყვანის შემდეგ, როგორც ჩანს, პატიმრებზე მთავრობის ძალაუფლების დემონსტრირების მიზნით”¹⁵⁶. ზოგ პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორცაა, მაგალითად, თბილისის #7 საპატიმრო, რომელშიც ახალი კანონმდებლობის შემოღების შემდეგ, მაფის ყველაზე სერიოზული თავკაცები იყვნენ განთავსებულნი, “2006 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში, როგორც შემოსული შეტყობინებების თანახმად ირკვევა, როგორც წესი, პატიმრებს ზემოქმედების მიზნით სცემდნენ და შიშვლებს ჩხრეკდნენ სპეციალური დანაყოფის წევრები”¹⁵⁷.

გაეროს დაწესებულებები მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებას, ბუნტის დროს პოლიციის ძალების მიერ გადაჭარბებული ძალის სავარაუდო გამოყენების ფაქტებზე ჩაეტარებინათ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება. ამასთანავე, სპეციალურმა მომხსენებელმა გამოთქვა შეშფოთება “მიწოდებული ინფორმაციის თაობაზე, რომ ხელისუფლებამ რამდენჯერმე გამოხატა მხარდაჭერა უშიშროების ძალების მიერ გადაჭარბებული ძალადობის გამოყენების მიმართ და საჯაროდ გაამართლა პოლიციელების ქცევა ამბოხის შემდეგ რამდენიმე ციხეში ისე, რომ არ დალოდებია კონკრეტული გამოძიების შედეგებს”¹⁵⁸. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ასევე, გამოთქვამდა შეშფოთებას “პოლიციელების დამნაშავედ ცნობის და დისციპლინარული ზომების დაკისრების დაბალი რაოდენობის გამო, წამების თაობაზე არსებული მრავლობითი ბრალდების განცხადების მიუხედავად... და აგრეთვე, მსგავს შემთხვევებში საჯარო ინფორმაციის ნაკლებობის გამო.”¹⁵⁹ 2006 წლის მარტის ამბოხების გამოძახილი გადამწყვეტ ფაქტორად იქცა, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა ჯერ კიდევ შემორჩენილი დაუსჯელობის განცდა ძალადობისთვის, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურები სჩადიოდნენ. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მრავალჯგის განაცხადა, რომ დაუსჯელობის აღმოფხვრა უმთავრესი საკითხი იყო წამების პრევენციის წარმატებით განსახორციელებლად.¹⁶⁰

ციხეში მომხდარი ზემოაღნიშნული სახელმწიფო ძალადობის შემზარავი ფაქტების გარდა, CPT მიუთითებდა, რომ “წინასწარი დაკავების იზოლატორებში ადამიანების მოულოდნელი გარდაცვალების მაღალი მაჩვენებელია და არ არსებობს დეტალური ინფორმაცია ყოველი

ცალკეული გარდაცვალების მიზეზების თაობაზე”¹⁶¹. ასევე, გაკეთდა ჩანაწერი, რომ “დაუსჯელობა და დაშინება ისევ გრძელდება. კონკრეტულად, გადაჭარბებული ძალის გამოყენება სამართალდამცველების მხრიდან წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ფორმით, განსაკუთრებით დაკავებამდე და დაკავების პროცესში, ციხის ამბოხებების და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისას”.¹⁶²

3.3. ციხეებში არასათანადო მოპყრობაზე ანგარიშების გაზრდა: 2007-2010

დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ გაუმჯობესება შეინიშნება პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემცირების თვალსაზრისით, თუმცა გაუარესდა წამების შემთხვევები ციხეებში

2007 წელს საქართველოში რიგით მესამე ვიზიტისას გაკეთებულ მოხსენებაში CPT აცხადებდა, რომ შეინიშნება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრესი წამების და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების აღმოფხვრის მხრივ პოლიციის წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში¹⁶³. თუმცა, კომიტეტმა შენიშნა ფიზიკური ძალადობის პოლიციიდან პენიტენციურ სისტემაში გადასვლის ნიშნები. საპატიმროებში უჩიოდნენ ძალადობას თანამშრომლების მხრიდან ისეთი წვრილმანი დარღვევებისთვის, როგორცაა საკნის კარზე დაკაკუნება, ერთი საკნიდან მეორე საკანში პატიმართან ლაპარაკი, ანდა არასათანადო პოზიციაში დგომა ჩხრეკის დროს, რასაც პატიმრები აღიქვამდნენ გავლენის დამკვიდრების მცდელობად ციხის თანამშრომლების მხრიდან. ისმოდა სხვა სახის საჩივრებიც, რომ პატიმრებს შიშვლებს ათავსებდნენ კარცერებში”.¹⁶⁴

CPT ასევე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ გადაჭედილი ციხეები ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა ხელისუფლებისთვის¹⁶⁵. სხვა პრობლემატური საკითხები დაკავშირებული იყო პატიმრების არასათანადო უზრუნველყოფასთან სხვადასხვა სახის აქტივობებით¹⁶⁶, თბილისის #5 საპატიმროში სავალალო მდგომარეობა იყო პატიმრობის პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით¹⁶⁷, საკმაოდ მძიმე ვითარება სუფევდა ბუგდიდის #5 საპატიმროში¹⁶⁸. ყველა დაწესებულებაში ერთნაირად მძიმე იყო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მდგომარეობა, განსაკუთრებით თანამშრომელთა რაოდენობის, საყოფაცხოვრებო პირობების და რესურსების სიმწირის გამო.¹⁶⁹

მოხსენების შესრულების 2007 წლის ანგარიშში სპეციალური მომხსენებელი მიესალმა სახელმწიფო ხელისუფლების მცდელობებს ძველი შენობების მოდერნიზების და ახალი დამხმარე ნაგებობების მშენებლობის მიმართულებით, მათ შორის, გლდანის ახალი ციხის მშენებლობას თბილისში. თუმცა, ის კვლავ შეშფოთებული იყო, რომ “ციხეები უზომოდ გადაჭედილია, საკვები მწირი და უხარისხო, არ არის ხელმისაწვდომი ადეკვატური ბუნებრივი განათება, ხოლო პატიმართა შორის სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, ციხის პირობებით იყო გამოწვეული, რაც ზოგიერთ დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის ტოლფასად შეიძლება შეფასდეს”.¹⁷⁰

არასამთავრობო ორგანიზაცია “ატლას ინთერნეშენალის” მოხსენების თანახმად, ციხეებში ძალადობამ პიკს 2007-2008 წლებში მიაღწია¹⁷¹. პოლიციიდან, სადაც ფიზიკური შეურაცხყოფა ახლა მხოლოდ დაჭერისას, ან საპროტესტო აქციების დაშლისას გამოყენებული გადაჭარბებული ძალადობით შემოიფარგლებოდა, სასტიკი მოპყრობის შემთხვევებმა პენიტენციურ სისტემაში გადაინაცვლა, სადაც შემამოფოთებელი მასშტაბს მიაღწია.¹⁷²

ზემოაღნიშნული კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ არასათანადო მოპყრობამ ციხეებში გადაინაცვლა, ემთხვევა პატიმართა განახლებულ დაწესებულებებში გადაყვანის პერიოდს და, აგრეთვე, 2006 წელს გამოცხადებული ‘ნულოვანი ტოლერანტობის’ პოლიტიკას, რომლის შედეგადად თავისუფლებაალკვეთილ პირთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 2009 წლის მოხსენებაში გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ “კვლავ იზრდება თავისუფლებაალკვეთილი ადამიანების რიცხვი. არასაპატიმრო დასჯის ისეთი ზომები, როგორცაა ჯარიმა ან გირაო, არასაკმარისადაა გამოყენებული”¹⁷³. 2009 წელს გაეროს გენერალური ასამბლეისთვის მომზადებულ მოხსენებაში სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველო მოიხსენია პატიმრებით გადაჭედული ციხეების პრობლემის კონტექსტში.¹⁷⁴

სასჯელალსრულების სისტემაში განხორციელებული დიდი ცვლილებისა და იქ დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი მზარდი არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ფონზე, 2008 წელს სპეციალურმა მომხსენებელმა წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სადაც იგი მიესალმა წამების, არაადამიანური, სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობის საკორდინაციო საბჭოს მიერ წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ის, აგრეთვე, მიესალმა “ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მოსალოდნელ შემოღებას წამების წინააღმდეგ და სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი სხვა ღონისძიებების გატარებას დაუსჯელობის წინააღმდეგ.”¹⁷⁵

თუმცა, მომდევნო, 2009 წლის მოხსენების მიხედვით, დაფიქსირდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და პასუხისმგებელ პირთა დასჯის უმნიშვნელო რაოდენობა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური მონაცემებით, 2008 წელს გამოძიებებთან და სისხლის სამართლის დევნასთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო 39 საქმეზე და მათგან 23 საქმე შეწყდა. მთლიანობაში, მხოლოდ 5 ადამიანი იქნა მსჯავრდებული, მაგრამ არანაირი მონაცემები არ მოიძებნა კონკრეტული სანქციების გამოყენების შესახებ¹⁷⁶. იგივე ტენდენცია დაფიქსირდა 2010 წლის მოხსენებაშიც. ოფიციალური მონაცემები ისევ ადასტურებდნენ, რომ ხელისუფლება არ იჩენდა დამნაშავეების მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ინიციატივას. მაგალითად, 2009 წელს დაიწყო გამოძიება ოფიციალური პირების მიერ ჩადენილ სავარაუდო წამებასთან დაკავშირებულ 11 განცხადებაზე. იმ დროისთვის მხოლოდ ორი გამოძიება იყო წარმოებაში არასათანადო მოპყრობის ბრალდებით.¹⁷⁷

3.4. არასათანადო მოპყრობა, როგორც სტანდარტული პრაქტიკა? 2010-2012

ციხის სისტემა უფრო ჩაკეტილი ხდება; როგორც მოხსენებებშია აღნიშნული, გლდანის ციხე არაადამიანური მოპყრობის ადგილია

პრევენციის ეროვნული მექანიზმის თანახმად, არასათანადო მოპყრობა ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა 2010-2011 წლებში. განსაკუთრებით პრობლემურად ჩაითვალა გლდანის #8 ციხე, #18 სამედიცინო დაწესებულება, ქსნის #15 ციხე და ქუთაისის #2 ციხე. იმის მიუხედავად, რომ პატიმრების უმრავლესობა, როგორც მოხსენებები მიუთითებდნენ, უარს აცხადებდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გასაჯაროებაზე და თავს იკავებდა ჩვენების მიცემისგან შიშის და არსებული დაუსჯელობის სინდრომის გამო, რამდენიმე საქმე მაინც შევიდა მოხსენებებში და მათში განხილულია ზოგადი ტენდენციები.¹⁷⁸

მსგავსი საკითხები საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა. სპეციალური მომხსენებლის 2010 წლის მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციაზე გლდანის #8 ციხეში მყოფი პატიმრების საჩივრების შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ მათ სისტემატურად სცემდნენ. შემთხვევები, სადაც, სავარაუდოდ, ძალის გადამეტებული გამოყენება გამოვლინდა და პატიმრობაში მყოფი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, არ იყო გამოძიებული¹⁷⁹. არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია “ატლას ინთერნეშენალი” იმასაც ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები პატიმრების ცემის ფაქტებს აღწერდნენ, როგორც “სავსებით ნორმალურ”, “ზშირ” და “სისტემატურ” მოვლენას. ციხეებს შორის, რომელიც ციხის თანამშრომლების მხრიდან რეგულარული ძალადობის ფაქტებით გამოირჩეოდა, როგორც მოხსენებაშია აღწერილი, იყო გლდანის ციხე #8 და ქსნის ციხე #15 დაწესებულებები.¹⁸⁰

მაგალითად, 2010 წლის მოხსენებაში¹⁸¹ CPT წერს, რომ გლდანის ციხის მონახულებისას არავის გამოუთქვამს არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდება. თუმცა, მოგვიანებით რამდენიმე პატიმარმა დელეგაციას განუცხადა, რომ თანამშრომლები არასათანადოდ ეპყრობოდნენ პატიმრებს. იმავე პატიმრების თანახმად, არასათანადო მოპყრობის პროვოცირებას ისეთი უმნიშვნელო წესრიგის დარღვევები იწვევდა პატიმრების მხრიდან, როგორიცაა საკნის კარზე კაკუნი, ხმამალა ლაპარაკი ან სხვა საკნებში მყოფ პატიმართან საუბრის მცდელობა¹⁸². მეტიც, უცნაურობა, რომელიც ციხეში დამკვიდრებული სასტიკი მოპყრობის ნიშნად მიიჩნია დელეგაციამ, იყო “უჩვეულო სიჩუმე”, რომელიც გამეფებული იყო გლდანის ციხის საცხოვრებელ ბლოკებში¹⁸³. როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოხსენებაშია აღნიშნული, სხვა ციხეების პატიმრები, როგორც წესი, გლდანის ციხეში დამკვიდრებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ლაპარაკობდნენ, თუმცა უარს აცხადებდნენ ფაქტების განსაჯაროებაზე.¹⁸⁴

იმჟამად ეს მოხსენებები მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლეოდა სავარაუდო ძალადობის თაობაზე. სხვა ციხეებში, როგორიცაა ქსანი და გეგუთი, CPT-ის 2010 წლის მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ არც ერთი სიტყვიერი ბრალდება არ დაფიქსირებულა თანამშრომელთა მიმართ: “გამოკითხულ პატიმართა უმეტესობა მიუთითებდა, რომ ამ დაწესებულებების თანამშრომლები მათ კორექტულად ეპყრობოდნენ”¹⁸⁵. თუმცა, როგორც ქსნის, ისე გეგუთის ციხის რამდენიმე პატიმარმა განაცხადა, რომ ისინი სცემეს ციხეში ჩამოსვლისთანავე. მოხსენება, ასევე, დეტალურად აღწერს, რომ პატიმრების სადისციპლინო საკანში (“კარცერში”) დასჯის მიზნით გამწვება ხშირი იყო და, რომ 2009 წელს დაახლოებით 1,500 პატიმარი მოათავსეს იქ. მოხსენება, ასევე, აღნიშნავს: “პატიმრები, ასევე, აცხადებდნენ, რომ თანამშრომლები დროდადრო სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ... რამდენიმე პატიმარმა

შიმშილობა გამოაცხადა თანასაკნელის გარდაცვალების გამო, რომელიც “კარცერში” მოათავსეს. უფრო ხშირად პატიმართა საყვედურები თანამშრომელთა შეურაცხმყოფელი მოპყრობის მისამართით გაისმოდა”.¹⁸⁶

გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია კოლექტიური განცხადებები, რომელიც სახალხო დამცველს მიაწოდეს ერთხელ ქუთაისის და ორჯერ ქსნის ციხიდან ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით¹⁸⁷. „ატლას ინტერნეშენალმაც” აღწერა მსგავსი ძალადობის ფაქტები. პარალელურად, ის დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ცემის შემთხვევები მეტი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა და, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტები წამების სიმძიმეს აღწევდა. აღწერილი ძალადობა გულისხმობდა “ძირითადად ცემის ფაქტებს, თავის არეში ცემის ჩათვლით, მაგრამ ასევე, დამცირების სხვა ფორმებსაც, როგორცაა შეურაცხყოფა და პროვოკაციები... ცემის ფაქტების გარდა, ე.წ. “ტელეფონო”, (ორივე ხელის ყურებში დარტყმა) და პატიმართა თავდაყირა დაკიდება. ასევე, ახლად მოყვანილი პატიმრები იღებდნენ “მისასალმებელ ცემას” დამცირების მიზნით მას შემდეგ, რაც ციხეში გადაიყვანდნენ”. ასეთი მოპყრობის შემთხვევები ზოგჯერ ფატალურადაც მთავრდებოდა, მაგალითად, როგორც ამბობდნენ, ერთი პატიმარი გარდაიცვალა „2011 წლის მარტში გლდანის #8 ციხეში მძიმე ჭრილობებისგან, რომელიც ციხის დაცვამ მიაყენა”¹⁸⁸. ფიზიკური შეურაცხყოფა გამოიყენებოდა ან როგორც ციხეში წესრიგის დაცვის ხერხი, ან როგორც დამცირების საშუალება, რომ პატიმრებისთვის ეჩვენებინათ, „ვინ იყო უფროსი”.¹⁸⁹

მოსხენებამ დადგინა, რომ არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ არსებული გარანტიები რამდენიმე სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მაგალითად, ციხეებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა საჩივრის წარდგენის მექანიზმი. კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო “პოტენციური მომჩივანის სისტემატური დამცირება”¹⁹⁰. იგულისხმება მუქარა, რომ ასეთი საქციელი უარყოფითად იმოქმედებდა პატიმრის ვადაზე ადრე განთავისუფლებაზე ან რომ მათ უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანდნენ. პატიმრები, რომლებიც, მუქარის მიუხედავად, ბედავდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩივილს, სავარაუდოდ, ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტები ხდებოდნენ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების მხრიდან, რომელთაც „საგანგებოდ იძახებდნენ დასჯის განსახორციელებლად”.¹⁹¹

შეშფოთება წამების და არაადამიანური მოპყრობის საქმეების გამოძიების მუდმივად დაბალი მაჩვენებლის გამო; ზედამხედველობის არარსებობა

2012 წლის მარტში გამოქვეყნებული ანგარიშის შესრულების ბოლო მოხსენებაში სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ კვლავ შემაშფოთებლად მცირე იყო იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა სავარაუდოდ თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებული წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა წამების თუ არაადამიანური მოპყრობის თაობაზე არსებულ ფარულ შეთანხმებას ან მტკიცებულებების მიჩქმალვას და შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ ამ პირების ვინაობა არ იყო ცნობილი არც საზოგადოებისთვის და არც სახალხო დამცველისათვის.¹⁹² მან, ასევე, აღნიშნა, რომ „შეტყობინება მიიღო იმის თაობაზე, რომ

პატიმრობაში მყოფი პირები თავს იკავებენ საჩივრების წარდგენისგან დასჯის შიშით. სახელმწიფო არანაირ დახმარებას არ უწევს წამების მსხვერპლებს.”¹⁹³

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ “2008 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლით (წამება) მხოლოდ ხუთი საქმე განიხილებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და ცხრა საქმე 144³ მუხლით (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა). 2009 წელს ეროვნულ სასამართლოებს 144¹ მუხლით არც ერთი საქმე არ განუხილავთ და მხოლოდ ერთი საქმე იქნა განხილული 144³ მუხლით”¹⁹⁴. საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „2011 წელს გამოძიება დაიწყო დაახლოებით 10 საქმეზე გლდანის #8, ქსნის ციხის და გლდანის #18 სამედიცინო დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებით”¹⁹⁵. იმავე წელს “დაიწყო 23 საქმის განხილვა 144.1 მუხლით (წამება), საიდანაც ნ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა და 3 შემთხვევაში დასრულდა სასამართლო განხილვით. იმავე ხანებში, 144.1 მუხლით (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა) აღძრული 5 საქმიდან 2 საქმის გამოძიება შეწყდა და ერთმა საქმემ მიაღწია სასამართლო განხილვის ეტაპს”¹⁹⁶. ამას ემატება ის ფაქტი, რომ მიუხედავად პატიმართა საჩივრებისა სავარაუდო წამების და არაადამიანური მოპყრობის ან ღირსების შემლახავი მოპყრობის თაობაზე, სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება იწყება სისხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) და არა 144.1 (წამება) ან 144.3 მუხლით (არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა).¹⁹⁷

არასათანადო მოპყრობის ფაქტების განხილვა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მთავარი ფუნქციაა. როგორც მათი დაკვირვებიდან ჩანს, სისტემა არაეფექტურად იძიებდა საქმეებს. ამას დაემატა სასამართლოში წამების არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევები და გაჭიანურებული გამოძიება ან დასაწყისშივე შეწყვეტილი საქმეები. “საგამოძიებო ორგანოების უუნარობა ქმნის დაუსჯელობის აღქმას სასჯელსრულების ორგანოებში და, ამავე დროს, მსხვერპლს გამოძიების მიმართ რწმენას უკარგავს, რაც არანაირად არ უწყობს ხელს ძალადობის პრაქტიკის გამოვლენას და აღმოფხვრას.”¹⁹⁸

ადგილობრივი დამკვირვებლებიც გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, შესაძლოა, მტკიცედ დამკვიდრებულ პრაქტიკად გადაქცეულიყო ზედამხედველობის არარსებობის გამო. მეტიც, გარდა სასტიკი მოპყრობისა, პანიტენციალურ სისტემაში ადამიანის ჯანმრთელობის უფლებაც არანაკლებ პრობლემატური იყო. ამ საკითხის აქტუალობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ 2010 წელს სახალხო დამცველის ოფისში სპეციალური ანგარიში მომზადდა ჯანმრთელობის უფლების დარღვევის თაობაზე ციხეებში. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ყურადღება მიაპყრო საპატიმროებში არსებულ საცხოვრებელ პირობებს და რეკომენდაცია გასცა რამდენიმე ციხის დახურვის თაობაზე, რადგან ვითარება ამ ციხეებში არასათანადო მოპყრობის ტოლფასი იყო. ამასთანავე, მოხსენება ყურადღებას ამახვილებდა სხვადასხვა საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებზე.¹⁹⁹

ამგვარად, იმ პერიოდში საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უამრავი მტკიცებულება შეკრიბეს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ არასათანადო მოპყრობა თავს იჩენდა სასჯელალსრულებით სისტემაში, რადგან არსებობდა ამის ნოყიერი ნიადაგი და ზოგადი საყოფაცხოვრებო და ჯანდაცვის მდგომარეობა სავალალო იყო. ამის მიუხედავად, სხვადასხვა მიზეზის გამო, მტკიცებულებები წამებისა და ღირსების შემლახავი ფაქტების შესახებ არ იყო საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ არასათანადო მოპყრობას პენიტენციულ სისტემაში სისტემური ხასიათი ჰქონდა.

3.5. სკანდალის შემდეგ: 2012 წლის ოქტომბრის შემდგომი მიგნებები

საერთაშორისო დამკვირვებლები გამოთქვამენ სკეპტიციზმს არასათანადო მოპყრობის წინა შემთხვევების გამოძიების პროცესის მიმართ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ 2012 წლის სექტემბრის სკანდალის შემდეგ, ციხეები უფრო ჰუმანური გახდა

2012 წლის ნოემბერში CPT-მ განახორციელა ad hoc ვიზიტი მას შემდეგ, რაც უშუალოდ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ გავრცელდა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ვიდეო ჩანაწერები. ამ ვიდეო ჩანაწერებმა სკანდალი გამოიწვია. პროტესტის ტალღა აგორდა, ხმები “ქართული ოცნების” სასარგებლოდ გადაიხარა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში დამარცხდა. CPT-ის ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი იყო პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების წინსვლის შემოწმება და იმ ღონისძიებებზე მსჯელობა, რაც სასჯელალსრულების დაწესებულებებში ამგვარი მოპყრობის პრევენციას მოახდენდა. ვიზიტისას, განხილული იყო ახალი მთავრობის გეგმები ზოგადად სასჯელალსრულების სისტემის და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების გარდაქმნის მხრივ. CPT-მ მოინახულა გლდანის #8 (თბილისი) და ქუთაისის #2 ციხეები.

ახლად დანიშნული მთავარი პროკურორის თანახმად, გლდანის ციხეში პატიმრების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობდა და თორმეტი ადამიანი იყო დაკავებული, მათ შორის გლდანის ციხის დირექტორი და სასჯელალსრულების სამინისტროს სხვა მაღალი თანამდებობის პირები. მთავარმა პროკურორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გლდანის ციხეში მომხდარი ძალადობა „სისტემურ“ ხასიათს ატარებდა, და რომ: „ამ სასტიკი მოპყრობის მიზანი იყო პატიმრების ციხის ადმინისტრაციის მიმართ დამორჩილება და მათი თანამშრომლობის უზრუნველყოფა ისევე, როგორც პატიმართა შორის ნებისმიერი არაფორმალური ძალაუფლების სტრუქტურების სავარაუდო გავლენის განადგურება“. როგორც წესი, ასეთ ძალადობას “ადგილი ჰქონდა პატიმრის ციხეში მოყვანიდან ცოტა ხანში (ჩვეულებრივ, იმავე დღეს, როცა პატიმრები “საკარანტინო” ზონიდან ჩვეულებრივ საკნებში გადაჰყავდათ) და რომ განსაკუთრებით ერჩოდნენ 40 წელზე ნაკლები ასაკის პატიმრებს”²⁰⁰

მთავარ პროკურორთან და გამოძიებლებთან მსჯელობის შემდეგ, CPT-ის დელეგაციამ აღნიშნა, რომ “ძნელია, არ შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ 2012 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, როცა გლდანის ციხეში განვითარებულ მოვლენებზე მიმდინარე გამოძიებაზე პასუხისმგებლობა ახალ მთავრობას დაეკისრა, კომპეტენტურმა საპროკურორო უწყებებმა ყურადღება უფრო იმ თემისის

დასაბუთებაზე გადაიტანეს, რომ „პატიმრებზე ძალადობა სისტემატურ ხასიათს ატარებდა” და რომ გადაღებული ვიდეო მასალით პატიმრების „მანიპულირება” ხორციელდებოდა (და ამას შედეგად მოჰყვებოდა ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა), და არა იმაზე, რომ, პირველყოვლისა, დაედგინათ, მართლა ხდებოდა თუ არა, და თუ ხდებოდა, რა სახის ფიზიკურ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი სინამდვილეში გლდანის ციხეში.”²⁰¹

გლდანის #8 და ქუთაისის #2 საპატიმრო დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას, დელეგაციის წევრებმა ვერ დაადგინეს საპატიმროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი ვერც ერთი ფიზიკური ძალადობის შემთხვევა; პირიქით, პატიმრები ხაზს უსვამდნენ, “რომ ციხის ადმინისტრაციის და თანამშრომლების დამოკიდებულების მხრივ (და ზოგადი ატმოსფეროს თვალსაზრისით) მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია უკეთესობისკენ ამ ორ დაწესებულებაში 2012 წლის 18 სექტემბრიდან. რამდენიმე პატიმარმა ეს მოვლენა ორივე ციხის ადმინისტრაციის ცვლილებას მიაწერა და იმას, რომ ციხის ბევრი თანამშრომელი გაათავისუფლეს, ან მოვალეობის შესასრულებლად სხვაგან გადაყვანეს (სადაც მათ აღარ ექნებოდათ პატიმრებთან შეხება)”²⁰². თუმცა, ქუთაისის #2 ციხის პატიმრებმა დელეგაციას შეატყობინეს, რომ ისინი კვლავ შიშობდნენ, რომ ციხის ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომელი, რომელიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდა ძალადობაში, კვლავ ინარჩუნებდა თანამდებობას²⁰³, ამავე დროს, დელეგაციის წევრებმა მოიპოვეს დიდძალი ინფორმაცია 18 სექტემბრამდე მომხდარი სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე.

CPT-მ დააფიქსირა, რომ გლდანის #8 ციხეში „არც ერთი პატიმარი აღარ დაუსჯიათ სამართლო საკანში (“კარცერი”) მოთავსებით 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ, რაც შთამბეჭდავი კონტრასტია ამ თარიღამდე არსებულ ვითარებასთან.” ეს მართლაც მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საკარტინო საკანში მოთავსება წარსულში ხშირად გამოიყენებოდა პატიმართა დასჯის მიზნით. ამ კონტექსტში, დელეგაციამ თავად აღნიშნა, რომ წარსულის ეს დამამცირებელი პრაქტიკა “... გადაჭარბებულად მკაცრი, არაპროპორციული და გაუმართლებელი იყო”²⁰⁴. აღნიშნულისგან განსხვავებით, CPT-მ „ვერ შენიშნა მსგავსი მკვეთრი ცვლილება ქუთაისის #2 საპყრობილეში, თუმცა დისციპლინარული სანქციების რაოდენობამ და სიმკაცრემ ოდნავ იკლო 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ. ზოგადად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დისციპლინარული სანქციები (“კარცერში” მოთავსების ჩათვლით) გადაჭარბებულად და არაპროპორციულად აღარ გამოიყენებოდა იმ დაწესებულებაში”.²⁰⁵

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებას, დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს გარკვეული პროგრესი, თუმცა გამოიყო რამდენიმე უარყოფითი ტენდენციაც. 2010 წლის ვიზიტთან შედარებით, CPT-მ აღნიშნა ჯანდაცვის სფეროში არსებული რესურსების გაუმჯობესება გლდანის ციხეში²⁰⁶, ადეკვატური სამკურნალო საშუალებების მომარაგება ორივე ციხეში²⁰⁷ და, ზოგადად, შენობების და აღჭურვილობის უკეთესი მდგომარეობა გლდანში²⁰⁸, თუმცა, ქსნის ციხის შენობა-ნაგებობები არაადეკვატურად იქნა მიჩნეული²⁰⁹. ასევე, დაფიქსირდა სამედიცინო პერსონალის სამუშაო პირობების გაუარესება.

3.6. ზედამხედველობის მექანიზმები და წამების პრობლემის აღიარება მთავრობის მიერ

იმ პერიოდში, რომელზეც ჩვენი მოხსენება კონცენტრირდება, საქართველოში რამდენიმე მექანიზმი მოქმედებდა, რომელსაც, წესით, უნდა უზრუნველყო სისტემაში არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და, თუ სხვა არაფერი – მათზე სათანადო რეაგირება მაინც. წარმოგიდგინებ მოქმედი ინსტიტუტების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც გამიზნული იყო ძალადობის აღსაკვეთად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2004 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. ჯგუფის მიზანი იყო ამ სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2008 წელს განახლდა და დაარსდა საკონსულტაციო და მონიტორინგის ფუნქციის მქონე სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. 2004 წლისთვის შეიქმნა რამდენიმე ქვე-ჯგუფი. როგორც მითითებულია სისხლის სამართლის რეფორმის საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებულ კვლევაში, ჯგუფებს არა მარტო შესაბამისი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების მომზადება ევალებოდათ, არამედ, რეაგირებაც ისეთ გამოწვევებზე, როგორიცაა გადაჭედილი ციხეები და არასრულწლოვანთა მდგომარეობის გამოსწორებაზე ორიენტირებული ღონისძიებები. საბჭოს და ქვეჯგუფების წევრები იყვნენ სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები.²¹⁰

2007 წელს მთავრობამ შექმნა წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო²¹¹, რომლის წევრობა განისაზღვრა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საბჭოს მსგავსად. ამ საბჭოს მიზანი იყო წამების წინააღმდეგ ბრძოლის სიტუაციის მონიტორინგი, სახელმწიფო უწყებების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა, შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება.

ციხის საერთაშორისო რეფორმა – სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორი, ცირა ჭანტურია მიუთითებს ამ საბჭოს მიერ მიღწეულ ორ წარმატებაზე. პირველი ის, რომ საბჭო მოქმედებდა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის “წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის” (OPCAT) შესატყვისი უფლებამოსილებებით აღსატურვად. გარდა ამისა, საბჭომ უზრუნველყო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს შორის უფრო მტკიცე თანამშრომლობა. თუმცა, ჭანტურია ასკვნის, რომ ამ საბჭოს ზედამხედველობითი ფუნქცია მეტად ფორმალური აღმოჩნდა და არ არსებობდა პოლიტიკური ნება, რომ გადაეჭრა წამებასთან და სხვა არაადამიანურ მოპყრობასთან და დასჯასთან დაკავშირებით ომბუდსმენისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წამოჭრილი საკითხები, განსაკუთრებით, საქართველოს ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში.²¹² უფრო მეტიც, ჭანტურია ამტკიცებს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმი შეზღუდული იყო, ვინაიდან არ იყო გახსნილი

ფართო სამოქალაქო საზოგადოებისთვის და „მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით დაგეგმილი და ad hoc ვიზიტები განხორციელდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, მათ ნამდვილად არ ჰქონდათ პრევენციული ეფექტი, რადგან, როგორც ჩანს, არ იყო საკმარისი რეგულარობა შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე“²¹³. წინამდებარე ანგარიშისთვის მოცემულ ინტერვიუში, ეს შეხედულება უარყო ყოფილმა სახალხო დამცველმა, გიორგი ტულუშმა. მისი აზრით, მთავარი პრობლემა სამთავრობო დონეზე წამების ჩამდენთა დაუსჯელობა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიმართ გულგრილობა იყო. მაგრამ, როგორც ის ამბობს, „ამის მიუხედავად, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა აღკვეთა არასათანადო მოპყრობის მრავალი შემთხვევა და დაეხმარა მრავალ მსჯავრდებულს უფლებრივ აღდგენაში... ვერანაირი პრევენციის ეროვნული მექანიზმი ვერ შეძლებს ძალადობის აღკვეთას, როცა მთავრობა და პროკურატურა არ რეაგირებენ მიწოდებულ ინფორმაციაზე.“

და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ 2006 წელს შეიქმნა ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმი და ფუნქციონირებდა რამდენიმე დამოუკიდებელი ციხის კომისია იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში. მათი წევრები იყვნენ საქართველოს ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოების წარმომადგენლები და ადგილობრივი საბჭოს წევრები. 2008 წლიდან ამ კომისიის წევრებს აღარ აძლევდნენ სპეციალურ საშვებს ციხეებში შესასვლელად. ასე რომ, კომისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მთავრობა აცხადებდა, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმი ჩაანაცვლებდა მანამდე არსებულ ყველა მონიტორინგის მექანიზმს და აღარ იყო სხვა მექანიზმების არსებობის საჭიროება²¹⁴. ამდენად, საქართველოში მხოლოდ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მიენიჭა დახურულ დაწესებულებებში შესვლის უფლება. ჭანტურიას განცხადებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, გარკვეულწილად, შეზღუდული იყო, რადგან მას არ შეეძლო ფართო სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა და „მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა მრავალი გეგმიური და საგანგებო ვიზიტი ციხეებში, მას არ ჰქონდა რეალური პრევენციული ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა, ვინაიდან, როგორც ჩანს, საკმარისი რეგულარულობა არ იყო დაცული თანამშრომელთა შეზღუდული რაოდენობის და ფინანსური რესურსების გამო.“²¹⁵

ამას გარდა, უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდა შიშის ატმოსფერო, რომელიც ხელს უშლიდა პატიმრებს წამების ფაქტების დაფიქსირებაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან. თუმცა, ტულუშმა ამასთან დაკავშირებით კვლავ ამტკიცებს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის რესურსები „საკმარისი იყო საიმისოდ, რომ ორგანიზაციას უწყვეტ რეჟიმში შეესრულებინა დაკისრებული ფუნქციები და მოენახულებინა თავისუფლების აღკვეთის ყველა ადგილი. პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდა შესაძლებლობა, გადაეხადა თანამშრომელთა და ექსპერტთა ხელფასები, განხორციელებინა როგორც პერიოდული, ისევე საგანგებო ვიზიტები ყველა დაწესებულებაში, რომელიც მისი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა და გაეკეთებინა ყოველწლიური და საგანგებო მოხსენებები. თავისი მოქმედების პერიოდში პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დოკუმენტურად აღწერა ასობით ძალადობის შემთხვევა და ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს უამრავი რეკომენდაცია გაუგზავნა“.

მოპოვებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მთავრობა საკმაო სერიოზულობით არ მოეკიდა ზედამხედველობის პრობლემის საკითხს. გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მანფრედ ნოვაკს არ მისცეს საშუალება, დაენერგა წამების საწინააღმდეგო სტრატეგია საქართველოში, რაც იყო ატლასის პროექტის ნაწილი. ამის გასამართლებლად იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ „საქართველომ საგრძნობი პროგრესი განიცადა ყველა ფორმის არასათანადო მოპყრობის აღმოსაფხვრელად და კიდევ ელის სარგებელს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისგან ეროვნული და საერთაშორისო პროექტების განხორციელების ფარგლებში“²¹⁶. ალბათ, ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აღიარებდა წამების პრობლემის არსებობას ქვეყანაში.

ციხეებში გაბატონებული შიშის ატმოსფერო და მთავრობის მიერ წამებასთან დაკავშირებული პრობლემების არაღიარება დაკავშირებულია კიდევ ერთ მწვავე საკითხთან: მოძალადეების დაუსჯელობასთან. რამდენიმე წლის განმავლობაში სავარაუდო სისასტიკის მრავალი შემთხვევის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია წამების თაობაზე შედიოდა პროკურატურაში. საქმის კურსში იყო სახელმწიფოს შესაბამისი დაწესებულებები, მაგრამ, ამის მიუხედავად, მხოლოდ რამდენიმე საქმე აღმოჩნდა წარმატებულად გამოძიებული და დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით. ბოლო წლებში სახალხო დამცველის ოფისი რეგულარულად უგზავნიდა საქმეებს მთავარ პროკურატურას. გამოძიება იწყებოდა, თუმცა ზეპირსიტყვიერ ბრალდებებზე სამართალწარმოება და სასამართლო განხილვები ჭიანჭურდებოდა.²¹⁷

სისხლის სამართალწარმოებაში არსებულმა ხარვეზებმა, ასევე, ხელი შეუწყო არასათანადო მოპყრობის ჩამდენთა დაუსჯელობას. პირველ რიგში, 2009 წლის სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს პროკურატურის დისკრეციას, სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელოს სავარაუდო ბოროტმოქმედზე იმ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამტკიცებს²¹⁸. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადგენილი პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნის პრინციპი შესაბამისობაშია სხვა ქვეყნების შესაბამის მიდგომებთან. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცედურა გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი გარანტიებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სწორ ადმინისტრირებას. ამ გარანტიებში, სხვა საკითხებთან ერთად, იგულისხმება ნებისმიერი დისკრეციის სასამართლო კონტროლი და მსხვერპლის მიერ კერძო გამოძიების წარმართვის შესაძლებლობა.²¹⁹

ეს უკანასკნელი საქართველოში არ არსებობს. სისხლის სამართლის კოდექსის 12.2 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ ბრალმდებელს ეძლევა უფლება, წამოიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. საერთოდ, ქვეყნებში, სადაც პროკურატურა დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, კერძო გამოძიება ნებადართულია, რადგან ის დანაშაულის მსხვერპლს საშუალებას აძლევს, შესაბამისი მტკიცებულება წარუდგინოს მოსამართლეს და ამგვარად დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს.²²⁰ დღეს დანაშაულის მსხვერპლს შეუძლია მხოლოდ მაშინ მიმართოს სასამართლოს, თუ პროკურორი იყენებს მის დისკრეციას, არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებით. თუმცა,

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც სასამართლოს განჩინების აღსრულებას უზრუნველყოფდა პროკურორის გადაწყვეტილების გაუქმებისას. მეტიც, პროკურორის დისკრეციის სასამართლო კონტროლი არ არსებობდა საქართველოში, სანამ საქართველოს კანონმდებლობაში არ შევიდა ცვლილება 2014 წლის 24 ივლისს.²²¹

პროკურატურის გარდა, მოსამართლეებიც დამნაშავენი იყვნენ იმაში, რომ არასათანადო მოპყრობის და წამების შემთხვევები გამოუძიებელი დარჩა. მოსამართლეებმა არ გადადგეს სათანადო ნაბიჯები, როცა პატიმრებს ამკარად ეტყობოდათ წამების კვალი. 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სასამართლო საქმეების მონიტორინგის პროექტის შესაბამისად, მოსამართლეები ბრალდებულს ბევრ შემთხვევაში არ განუმარტავდნენ მის უფლებას, სასამართლოში საქმე აღეძრა წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მუხლით და არც კი ცდილობდნენ გაერკვიათ, ჰქონდა თუ არა მას საჩივარი ამასთან დაკავშირებით. საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის დროს მოსამართლეები, ასევე, არ განუმარტავდნენ მოპასუხეს, რომ მას ჰქონდა უფლება, აღეძრა საქმე ასეთი საფუძვლით.²²² ასეთივე ტენდენცია იყო 2012 წელსაც²²³. ეს პრაქტიკა წინააღმდეგობაშია ევროპის საბჭოს სტანდარტებთან.²²⁴

შემაჯამებელი დასკვნა

გაეროს სხვადასხვა უწყებების, ევროპის საბჭოს, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული მონაცემების ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოში და დამკვირვებლები გამუდმებით ამახვილებდნენ მასზე ყურადღებას. ეს მოხსენება იზიარებს აზრს, რომ არასათანადო მოპყრობა და წამება გადავიდა პოლიციის წინასწარი პატიმრობის იზოლაციურიდან საპატიმროებში დაახლოებით 2007-2008 წლებში. 2006 წლის ციხის ამბოხი უნდა შეფასდეს მნიშვნელოვან მოვლენად, რომლის დროსაც პატიმრების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა დაუსჯელი დარჩა და რამაც, ალბათ, კიდევ უფრო ნოყიერი ნიადაგი შექმნა ძალადობრივი პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

იმ დროიდან მოყოლებული, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს ფრაგმენტული მტკიცებულებები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ არასათანადო მოპყრობა გაუარესდა საქართველოს საპატიმროებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზუსტი გავრცელების არე და ფორმები, უმეტეს შემთხვევაში, გაურკვეველი დარჩა ინფორმაციის არარსებობის გამო. 2010 წლისთვის საპატიმროები, ფაქტობრივად, დახურულ სისტემებად იქცნენ. პატიმრები არ იყვნენ განწყობილი ძალადობრივი ფაქტების განსაჯაროებლად და დამკვირვებლების მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოახერხა რეალურად შეესწავლა ციხეები საფუძვლიანად.

მომდევნო თავის მიზანია სწორედ ამ ინფორმაციული ხარვეზის ამოვსება. ჩვენ წარმოგიდგინთ მონაცემებს რაოდენობრივი გამოკითხვიდან, რომელიც მიზნად ისახავს, ზედმიწევნით ასახოს ის, თუ რამდენად გავრცელებული იყო და რა სახით ვლინდებოდა სასტიკი მოპყრობის ფაქტები საქართველოს ციხეებში რეფორმის ამ პერიოდში.

თავი 4. ადამიანის უფლებები 2003–2013 წლის შუალედში: ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების გამოკითხვის შედეგები

4.1. შესავალი

2003–2013 წლებში საპატიმროებში არსებული ვითარების შესასწავლად, 2014 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით ჩატარდა ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების რაოდენობრივი კვლევა გასაუბრების სახით. კვლევა მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ როგორი საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ პატიმრებს, როგორ ეპყრობოდნენ მათ პენიტენციურ დაწესებულებებში დაწყებული 2003 წლიდან და აგრეთვე, პატიმართა წამების და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტისა და მიზეზების შესწავლას. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ კვლევის შედეგად მოპოვებულ ძირითად მიგნებებს. კვლევის ძირითადი ამოცანები იყო:

- სასჯელალსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობის გამოვლენა;
- სასჯელალსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მეთოდების გამოვლენა;
- სასჯელალსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზნების დადგენა;
- დადგენა, თუ რა სახის დაცვას იყენებდნენ/ითხოვდნენ პატიმრები, თუ არსებობდა საერთოდ ამის მცდელობა;
- დადგენა, თუ რა სახის გავლენა მოახდინა წამებამ და დაპატიმრებამ პატიმრის ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე.

მომდევნო ნაწილები აგებულია ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესაბამისად. თუმცა, პირველ რიგში, განვიხილავთ გამოკითხვის დროს გამოყენებულ მეთოდოლოგიას.

4.2. მეთოდოლოგია

გამოკითხვის მიზნით, გასაუბრება ჩატარდა 1199 ყოფილ და ამჟამინდელ პატიმარს. უფრო ზუსტად, გამოკითხულთაგან 601 რესპონდენტი ყოფილი პატიმარი იყო, ხოლო 598 ამჟამინდელი პატიმარი (აქედან 21 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი). გამოკითხვისთვის გამოყენებული იყო შემთხვევითი შერჩევის პრინციპი. კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის სქემა, რომელიც მოიცავდა რესპონდენტების განაწილებას სხვადასხვა პრინციპის მიხედვით: ყოფილი პატიმრების შემთხვევაში გეოგრაფიული ერთეულების, ხოლო ამჟამინდელი პატიმრების შემთხვევაში – სასჯელალსრულებითი დაწესებულებების მიხედვით. მკვლევართა გუნდის სახელით, პრობაციის სააგენტოებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიძიეს და დაუკავშირდნენ ყოფილ პატიმრებს, რომლებსაც სთხოვეს, თანხმობის შემთხვევაში, მონაწილეობა მიეღოთ გამოკითხვაში. შემდეგ მკვლევარები დაუკავშირდნენ იმ ყოფილ პატიმრებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე. რაც შეეხება იმჟამად პატიმრობაში მყოფ პირებს, ასევე შემთხვევითი

შერჩევის პრინციპით შედგა გამოსაკითხი პატიმრების სია. გამოკითხვა განხორციელდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში, არასრულწლოვანებისთვის განკუთვნილი დაწესებულების გამოკლებით.

შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად, მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება, რომელიც იყო სტრუქტურირებული, ანუ ძირითადად შედგებოდა დახურული, ან ნახევრად დახურული შეკითხვებისაგან. კითხვარის შედგენაში მონაწილეობდნენ: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებებზე, სასამართლო სისტემაზე, სასჯელაღსრულების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები²²⁵ და საერთაშორისო ექსპერტები – ბარონესა ვივიენ სტერნი და პროფესორი ენდრიუ ქოილი. კვლევის თემისა და მისი მიზნების განსაკუთრებით მგრძნობიარე და რთული ხასიათის გამო, გადაწყდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრებს გამოკითხავდნენ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც საქართველოს საპატიმროს გარემოში მუშაობის და პატიმრების გამოკითხვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ²²⁶. გარდა კითხვარის შევსებისა, რესპონდენტების ნაწილს სიღრმისეული გამოკითხვა ჩაუტარდა ხარისხობრივი ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

გამოკითხულ ამჟამინდელ პატიმართა 23% (N=137) გლდანის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება, 17% (N=101) – რუსთავის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 17% (N=99) – ქსნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 11% (N=68) – გარდაბნის რაიონის სოფელ მთისძირის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 10% (N=60) – გეგუთის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 10% (N=59) – ქუთაისის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. დანარჩენი 12% იმყოფებოდა „მატროსოვის“ ციხეში (N=21), ე.წ. „ტუბში“ და ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

გამოკითხულ ყოფილ პატიმართა 54% ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა²²⁷, 18% – სასჯელის ამოწურვის შედეგად, 10% – ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მიერ (ე.წ. „უდო“), 8% – პოლიტპატიმართა სიით²²⁸, 4% – ნულოვანი საპროცესო გარიგებით, 4% – პრეზიდენტის შეწყალებით.

ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა უმრავლესობა ერთი ნასამართლეობის მქონეა: ყოფილ პატიმართა 91%-ს ერთი ნასამართლეობა აქვს, ორი ნასამართლეობა 7%-ს აქვს, სამი – 0.8%-ს (5 ადამიანი), ხოლო ოთხი ნასამართლეობა –1.5%-ს (9 ადამიანი). ამჟამინდელ პატიმართა 64%-ს ერთი ნასამართლეობა აქვს, 24%-ს – ორი, 8%-ს – სამი, ხოლო 4%-ს ოთხი.

კვლევის შეზღუდვები

ჩვენ მიერ შერჩეული კვლევის მიდგომას გააჩნდა რამდენიმე შეზღუდვა. პირველ ყოვლისა, იმ დროისთვის შეუძლებელი გახდა ციხის თანამშრომლების გამოკითხვა. საქმე იმან გაართულა, რომ გაჭირდა რესპონდენტთა ვინაობის დადგენა. წამებასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ, თანამშრომლების დიდი ნაწილი სამსახურიდან დაითხოვეს. ამას გარდა, დადგა დროის,

რესურსების და დასმული შეკითხვების საკითხი: ჩვენ უფრო მეტად გვინტერესებდა, თუ რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული წამება და რა ფორმა ჰქონდა მას; ხოლო თანამშრომლების გარეშე მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლებოდა პასუხის მიღება კითხვაზე, თუ რატომ იყენებდნენ წამებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი კვლევა წარმოგიდგინებთ იმას, რაც პატიმრებმა (როგორც ამჟამინდელმა, ისე ყოფილმა) აღიქვეს მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის მიზეზად, რაც, ჩვენი აზრით, მეტად ფასეულია თავისთავადაც და იმის გასაგებად, თუ რატომ იყენებდნენ წამებას.

კიდევ ერთი დაბრკოლება, რასაც ხაზი უნდა გაესვას, გახლავთ ის, რომ იმ დროს, როცა პატიმრებს კითხვებს უსვამდნენ წამების და/ან არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, რესპონდენტებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული წამების და არაადამიანური მოპყრობის სამართლებრივი დეფინიცია, რის გამოც მათი პასუხები, შესაძლოა, ისეთი შეურაცხყოფის ფორმებსაც შეიცავდა, რომლებიც წამებად არ განისაზღვრება. ამას გარდა, მკვლევართა ჯგუფმა კითხვარში შეტანილი არაადამიანური მოპყრობის ნუსხაში შეიტანა ისეთი უფლებების დარღვევაც, როგორცაა არაადეკვატური სამედიცინო დახმარება და ცუდი საცხოვრებელი პირობები. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ, შესაძლოა, ეს ყოველთვის წამებად არ აღიქმება, მაგრამ ადამიანური უფლებების მძიმე დარღვევების შესწავლის პროცესში ჩვენთვის საინტერესო იყო ასეთი მოვლენების გავრცელების ფარგლებიც.

ყოფილი და ამჟამად პატიმრობაში მყოფი პირების განსხვავებული პასუხები წამების ფაქტების სიხშირესთან დაკავშირებით, შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამჟამინდელი პატიმრები იმავე გარემოში განაგრძობდნენ ცხოვრებას, სადაც წამების ფაქტები დაფიქსირდა მაშინ, როცა ყოფილი პატიმრებისთვის ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ერთი მხრივ, ამჟამინდელ პატიმრებში შეიმჩნევა მიდრეკილება გაზვიადებისკენ, მეორე მხრივ კი, ყოფილ პატიმრებს ურჩევნიათ დავიწყებთ მისცენ ციხეში გატარებული ცხოვრება. მიუხედავად სხვაობისა პასუხებში წამების სიხშირის და იმ ადგილების შეფასებისას, სადაც წამება მოხდა, როცა საქმე ფაქტობრივ მონაცემებს და წამების პირად გამოცდილებას ეხება, ამ ორი ჯგუფის პასუხებში დიდი მსგავსება შეინიშნება.

4.3. რამდენად გავრცელებული იყო წამების გამოყენება?

რესპონდენტების რწმენით, წამება ფართოდ იყო გავრცელებული

გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (74%) აცხადებს, რომ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ დანამდვილებით იცოდნენ მანამ, სანამ ეს გამჟღავნდებოდა. ამჟამინდელი პატიმრების 83% და ყოფილი პატიმრების 65% ამბობს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ დანამდვილებით იცოდნენ (მათ გამჟღავნებამდე). ყოფილ პატიმრებს შორის, ამჟამინდელ პატიმრებთან შედარებით, მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნული ფაქტების შესახებ არაერთხელ ჰქონდათ გაგებული, თუმცა დადასტურება არ შეეძლოთ (20%). ამჟამინდელი პატიმრების 10% აცხადებს ამავეს. რესპონდენტთა 80% ადასტურებს, რომ ესმოდა წამების ხმები და ამ თვალსაზრისით ამჟამინდელ

და ყოფილ პატიმართა გამოცდილება თანხვედრაშია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია თავად ფაქტი, რომ პატიმრებს სჯერათ ციხეში წამების ფაქტების არსებობა, რადგან ეს ქმნის შიშის ატმოსფეროს იმისდა მიუხედავად, მართლა ასეთია თუ არა წამებასთან დაკავშირებული ვითარება.

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობის, 64%-ის მონათხრობით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული სასჯელალსრულებით დაწესებულებებში. რაც შეეხება პოლიციის იზოლატორებსა და სამმართველოებს/განყოფილებებს, ყოველი მეოთხე რესპონდენტი ამბობს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) ხდებოდა.

გამოკითხულთა მხოლოდ 1.5% ამბობს, რომ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. პოლიციის იზოლატორების, სამმართველოების/განყოფილებებისა და უშიშროების იზოლატორის (ე.წ. „მოდულის“) შემთხვევაში, რესპონდენტთა 13–14% ამბობს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის იზოლატორებში, სამმართველოებში/განყოფილებებსა და უშიშროების იზოლატორში წამების და არაადამიანური ფაქტების ინტენსივობის შეფასებისას, მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი (მერყეობს 31-61%-ის ფარგლებში), რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. ეს ამყარებს საერთაშორისო დამკვირვებლების ინტერპრეტაციას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რაზეც მესამე თავში გვქონდა საუბარი, რომ გარკვეულ ეტაპზე ძალადობამ პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებიდან ციხეებში გადაინაცვლა, წინასწარი დაკავების ადგილების ჩათვლით. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილი #1-ს, რომელიც ამ ინფორმაციას აჯამებს.

ცხრილი #1: წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სიხშირის შეფასება სხვადასხვა დაწესებულებაში

	ყოველ- დღიურად	ხშირად	ხანდახან	თითქმის არასდროს	მიჭირს პასუხის გაცემა
პენიტენციური დაწესებულებები (ციხეები)	63.9	24.9	3.6	1.5	6.2
პოლიციის იზოლატორების საკნები	21.2	19.9	12.5	13.8	32.6
პოლიციის დეპარტამენტები/ერთეულები	20.9	18.8	11.5	13.4	35.7
უშიშროების იზოლატორები (ე.წ. მოდულის შენობა)	13.5	11.5	5.4	14.2	55.4

ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრები აცხადებენ, რომ მათ პირადად და ხშირად გადაუტანიათ წამების რომელიმე ფორმა

გამოკითხულთა 75% ამბობს, რომ მათ ფიზიკურად აწამებდნენ; ხოლო რესპონდენტთა 84% აღნიშნავს, რომ მათ ფსიქოლოგიურად აწამებდნენ. ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის დაახლოებით თანაბარია იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ფსიქოლოგიურად აწამებდნენ. ფიზიკურ წამებასა და არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობასთან მიმართებაში ერთმანეთისგან განსხვავდება ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების პროცენტული რაოდენობა; ამჟამინდელი პატიმრების 84% და ყოფილი პატიმრების 66% აცხადებს, რომ მათ ფიზიკურად აწამებდნენ.

მათ შორის, ვინც აცხადებდა, რომ ფიზიკურად აწამეს, 39% ამბობს, რომ წამება თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა. ამჟამინდელი პატიმრების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი - 54% კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე ყოფილი პატიმრების შემთხვევაში: 24%. ამაზე უფრო მცირე რაოდენობა, მთელი რესპონდენტების ერთობლიობის 15%, აცხადებს, რომ ფიზიკურ წამებას განიცდიდნენ და აღნიშნავენ, რომ ფიზიკურად აწამებდნენ სულ ცოტა, კვირაში ერთხელ (13% ამჟამინდელი და 18% ყოფილი პატიმრები). რაც შეეხება ფსიქოლოგიურ წამებას, რესპონდენტთა უმრავლესობა, 64% ამტკიცებს, რომ ეს „თითქმის ყოველდღე“ ხდებოდა. ეს რაოდენობა გაცილებით მაღალია (70%) ამჟამინდელ პატიმრებში ყოფილ პატიმრებთან (58%) შედარებით.

ხომ არ შემოიფარგლებოდა წამება ძალიან ვიწრო, ცალკეული ჯგუფებით? კვლევის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ პასუხი უარყოფითია. ამჟამინდელი პატიმრების 77%-ს მიაჩნია, რომ წამება ყველა ტიპის პატიმრებს შეეხო, ყოფილი პატიმრების 65%-იც ასე ფიქრობს. მეორე და ყველაზე გავრცელებული პასუხია, რომ წამების სამიზნე იყვნენ „კრიმინალური ტრადიციების“ მიმდევრები – კანონიერი ქურდები და მათი მხარდამჭერები. როგორც ამჟამინდელი, ისე ყოფილი პატიმრების 14%-ი დარწმუნებულია ამაში. არსებობს სხვა მოსაზრებაც; ყოფილი პატიმრების 9%-ს და ამჟამინდელი პატიმრების 4%-ს მიაჩნია, რომ სამიზნე „ოპოზიციურად განწყობილი“ პატიმრები არიან.

წამების ბრალდებები ისმის სხვადასხვა დაწესებულების მისამართით; საპატიმროებში წამების გაცილებით მაღალი ინტენსივობა დაფიქსირდა პოლიციის იზოლატორებთან შედარებით; წამების თვალსაზრისით, გლდანის #8 ციხე ყველაზე ცუდი ციხეა

ხომ არ შემოიფარგლებოდა წამება ერთი ან ორი დაწესებულებით? კვლევის შედეგები ისევ გვაფიქრებინებს, რომ ზოგ ციხეში წამების უფრო ფართო მასშტაბის მიუხედავად, პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. როცა რესპონდენტს ეკითხებოდნენ, გამხდარან თუ არა ისინი წამების მსხვერპლნი, მათ ასევე ეკითხებოდნენ, სად მოხდა წამება. ქვემოთ გთავაზობთ რესპონდენტთა პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებმაც დაასახელეს კონკრეტული დაწესებულება, სადაც აწამეს. რამოდენიმე მითითებული ადგილი ამკარად თვალშისაცემია.

პირველ ყოვლისა, სხვადასხვა დაწესებულებიდან მოპოვებული მონაცემები კიდევ ერთხელ ამჟღავნებს იმას, რომ სავარაუდო წამება, როგორც ამჟამინდელი, ისე ყოფილი პატიმრების შემთხვევაში, გაცილებით უფრო მაღალი სიხშირით ხდებოდა სასჯელაღსრულების

დაწესებულებებში, ვიდრე თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში. თვალსაჩინოებისთვის ერთ მაგალითს შემოგთავაზებთ: მაშინ, როცა რესპონდენტთა 14% აცხადებდა, რომ წამება ხდებოდა ორთაჭალის ახალ ციხეში, მხოლოდ 2% აცხადებდა იმავეს თბილისის პოლიციის საგამოძიებო საკნებში პატიმრობის პერიოდის შესახებ.

ბრალდებები ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების შესახებ საკმაოდ მაღალია საქართველოს ყველა მოზრდილ ციხეში. თუმცა, არსებობს განსხვავებებიც. ზოგ დაწესებულებაში, როგორცაა, მაგალითად, ბათუმის ციხე (6%-მა განაცხადა წამების შესახებ), „იქცეოდნენ“ უკეთ, მაგალითად, ქსნის ციხესთან შედარებით (13% აცხადებს, რომ ფიზიკურად აწამეს). ამ განსხვავებების უგულებელყოფა არ შეიძლება და კიდევ საჭიროებს დამატებით შესწავლას. თუმცა, წამების შემთხვევების სიხშირე სხვადასხვა დაწესებულებაში იმასაც ნიშნავს, რომ ვინაიდან პატიმარი ერთი ციხიდან მეორეში გადააწყვდათ, წამების მსხვერპლად გახდომის ალბათობაც შედარებით მაღალი იყო. გლდანის და ქუთაისის ციხეები წამების სიხშირის თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. რესპონდენტთა 55% აცხადებს, რომ იქ იყო მათი წამების ადგილი. გლდანი იმდენად გამოირჩევა წამების მასშტაბით, რომ ის ცალკეა შესასწავლი პოლიტიკური, ინსტიტუციური და პროფესიული კულტურის სრული გაუმართაობის თვალსაზრისით.

ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ გლდანის ციხე სრულიად უნიკალურია ამ მხრივ. ქუთაისში 19%-მა და ორთაჭალაში 14%-მა აღიარა, რომ ფიზიკურად აწამეს. ეს შეიძლება მხოლოდ იმ ფაქტით აიხსნას, რომ ყველა წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს ან გლდანის, ან ქუთაისის ციხეში ათავსებდნენ. გლდანის და ქუთაისის გარდა, ორთაჭალა (რესპონდენტთა 14% ასახელებს მას, როგორც წამების ადგილს), ქსანი (13%) და გეგუთიც (11%) დასახელდა, როგორც ფიზიკური წამების მნიშვნელოვანი ადგილები. საჭიროა დამატებითი შესწავლა რეჟიმის სხვადასხვა ტიპის დაწესებულებისა (გლდანი, ქუთაისი და ორთაჭალა განსაკუთრებულად დახურული ტიპისაა) და წამებას შორის კავშირის დასადგენად. მით უფრო, რომ ქუთაისის და გლდანის მონაცემებში ასეთი მაღალი მაჩვენებელი გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არაადაამიანური მოპყრობის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ.

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ზოგადად პატიმრებს შორის დამკვიდრებული იყო აღქმა, რომ წამება ფართოდაა გავრცელებული. ამას გარდა, დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ისინი თავად იყვნენ წამების მსხვერპლნი ციხის სისტემის შიგნით. ეს მონაცემები სრული უტყუარობით ვერ ადასტურებს, თუ რა ხარისხით იყო წამება ინსტიტუციონალიზებული და რა ხარისხით ზემოდან, კონკრეტული ციხის ადმინისტრაციიდან დაკვეთილი. მონაცემები სარწმუნო მტკიცებულებებს იძლევა იმის სათქმელად, რომ წამება გახდა ქართული საპატიმრო სასჯელის ნაწილი მთელ რიგ დაწესებულებებში.

ხომ არ იყო წამება პოლიტიკური დირექტივა მათი ნების გასატეხად, ვისაც მთავრობა მტრად აღიქვამდა? ან იქნებ ეს იყო პრაგმატული მეთოდი ციხის სამართავად? თუ ეს უბრალოდ, სადო-მაზოხისტური ტკბობა იყო ციხის ადმინისტრაციისთვის -დაუსჯელობის და ზედამხედველობის

არარსებობის პირობებში სრული ძალაუფლების გამოყენების ლოგიკური ფსიქოლოგიური შედეგი? ახლა სწორედ ამ კითხვებს მივუბრუნდებით.

4.4. რა იყო წამების მიზანი?

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ წამება სასჯელაღსრულების პოლიტიკის ნაწილი იყო და ზემოდან იყო ნაბრძანები

ხომ არ იყო ძალადობა საპატიმროების მართვის ფართო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მთავრობისთვის ცნობილი და მის მიერვე იყო სანქცირებული? არსებული მონაცემების საფუძველზე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების აზრით, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ფაქტობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრები აღიქვამენ ორმხრივი პასუხისმგებლობის სისტემას შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის ციხეებში წამების დაკვეთასთან დაკავშირებით. ყველა ეს ორგანო ყველაზე ხშირად სახელდება, როგორც ამაზე პასუხისმგებელი, ხოლო სასჯელაღსრულების სამინისტრო (43%) აღიქმება, როგორც ყველაზე მეტად დამნაშავე. გამოკითხულთა შედარებით ნაკლები რაოდენობა მიიჩნევს, რომ კონკრეტული ციხის ადმინისტრაციაა დამნაშავე. როგორც ჩანს, უმეტესობას მიაჩნია, რომ ბრძანებები „ზემოდან“ მოდიოდა.

გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70%) სრულიად იზიარებს მოსაზრებას, რომ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო მთავრობის სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის მიზანმიმართული ნაწილი და არა ციხის ადმინისტრაციის ან ციხეში მომუშავე ცალკეული პირების ინიციატივა. ამჟამინდელ პატიმართა 77% და ყოფილ პატიმართა 64% იზიარებს აღნიშნულს. გამოკითხულთა მხოლოდ 4.2% აცხადებს, რომ ამ მოსაზრებას ძირითადად ან სავსებით არ იზიარებს. ეს არ ამტკიცებს, რომ მთავრობამ მართლა გასცა ძალადობის სანქცია, როგორც პენიტენციური სისტემის მართვის საშუალება, მაგრამ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი იმ პატიმრების, ვისაც ამის სჯერა, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ძალადობის პრაქტიკას პატიმრები აღიქვამდნენ და განიცდიდნენ, როგორც სისტემურ მოვლენას.

ციხის კონტროლი და დანაშაულის აღიარება მიიჩნევა წამების მთავარ მიზნებად

ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრები მიიჩნევენ, რომ ციხეში წამების მთავარი მიზნები მძლავრი სახელმწიფო უწყებების მაღალჩინოსნების მხრიდან დაკვეთა იყო. რა მიაჩნიათ პატიმრებს წამების სავარაუდო ან ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზად? რესპონდენტებს სთხოვეს, კონკრეტული მოტივის მნიშვნელობა 5-ქულიანი შკალით შეეფასებინათ, სადაც 1 „სრულიად უმნიშვნელო“ ნიშნავს, 5 – „უაღრესად მნიშვნელოვანს“.

ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელიც მოპოვებულ ინფორმაციას აჯამებს. ის დალაგებულია ყველაზე მნიშვნელოვანიდან ყველაზე უმნიშვნელომდე გამოკითხულთა ორი ჯგუფის საშუალო ქულის მიხედვით.

მოტივი	მნიშვნელობა ამჟამინდელი პატიმრების აზრით	მნიშვნელობა ყოფილი პატიმრების აზრით
ციხეში შიშის დანერგვა	4.9	4.8
პიროვნების დამორჩილება/დათრგუნვა	4.9	4.7
პატიმრის ფსიქიკისა და ჯანმრთელობის დაზიანება	4.6	3.8
იმ დანაშაულის აღიარება, რომელიც არ ჩაუდენიათ	4.5	3.9
მწამებელთა ან წამების ორგანიზატორთა მიერ სიამოვნების მიღება	4.5	4.2
ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა	4.3	4.1
დანაშაულის აღიარება	4.4	3.9
პატიმრისთვის აგენტად თანამშრომლობის იძულება	4.4	3.8
ინფორმაციის მიღება	4.1	3.8
სხვა პირის წინააღმდეგ ყალბი ჩვენების მიცემა	4.0	3.7
საერთაშორისო დონეზე განაჩენის გასაჩივრებაზე უარის თქმა	4.2	3.5
საპროცესო გარიგებაზე დათანხმება	3.9	3.6
ფულის ან ქონების გამოძალგა	3.5	3.7
თვითმკვლელობისკენ ბიძგება	4.0	3.0
ადგილობრივ დონეზე განაჩენის გასაჩივრებაზე უარის თქმა	3.8	3.1
პატიმრის ან მისი ოჯახის წევრების პოლიტიკურ შეხედულებებზე ზემოქმედება	3.3	3.4
სიკვდილის გამოწვევა	3.5	2.6
ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატების მომზადება	2.6	2.6
რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფა	2.6	1.9
ეთნიკური კუთვნილების შეურაცხყოფა	2.6	1.7

ცხრილში პასუხების კატეგორიებად დაყოფა გვაფიქრებინებს, რომ პატიმრებმა წამების მამოძრავებელ ძალად რამდენიმე მთავარი მიზანი აღიქვეს. მნიშვნელობის მიხედვით თუ დავალაგებთ, ეს ასე გამოიყურება:

1. ციხის კონტროლი: შიშის ატმოსფეროს შექმნა და ადმინისტრაციისადმი მორჩილება განიხილება წამების ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად. მსგავსად ამისა, ნუსხაში მეექვსე, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა, შეიძლება ამავე კატეგორიას მივაკუთვნოთ.
2. სისხლის სამართლებრივი დევნის მხარდაჭერა: ადამიანების იძულება, აღიარონ დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს ან არ ჩაუდენიათ, ციხეში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მნიშვნელოვან მიზნად აღიქმება. გარდა ამისა, ცრუ ჩვენებების მიცემის იძულება, რაც გავლენას ახდენს საპროცესო გარიგებაზე და საერთაშორისო სასამართლოში განაჩენის გასაჩივრებაზე უარის თქმა, შეიძლება დაემატოს ამ კატეგორიას.
3. უფუნქციო აფექტური იმპულსები: ცხადია, რესპონდენტები გრძნობენ, რომ წამების მნიშვნელოვან ნაწილს არ ჰქონდა რაციონალური მიზანი გარდა იმისა, რომ ჯალათებს სიამოვნებათ ეს და ჰქონდათ სურვილი, ჯანმრთელობისთვის/სიცოცხლისთვის ზიანი მიეყენებინათ.
4. ინფორმაციის მოპოვება: ეს სავსებით შესაძლებელია პირველ კატეგორიას მივაკუთვნოთ. გამოკითხულთა მიერ წამების მნიშვნელოვან მიზნად აღიქმება ადამიანების იძულება, გამხდარიყვნენ აგენტები ან ინფორმატორები ციხის რეჟიმისთვის და, ზოგადად, რომ „მოეპოვებინათ ინფორმაცია“. ინფორმაცია გადამწყვეტია ციხეში კონტროლისა და წესრიგისათვის. წამება და შიში, გამოკითხულთა რწმენით, ინფორმაციის მოპოვების საშუალებად იქცა ქართულ სისტემაში.

აქ კიდევ ორი პუნქტია ხაზგასასმელი. პირველყოვლისა, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ წამება ზემოდან იყო დაკვეთილი, წამების მიზნები არ განიხილება როგორც ცალმხრივად პოლიტიკური. ადამიანების პოლიტიკური შეხედულებების ცვლილებას და ადგილობრივ სასამართლოებისთვის მიმართვას შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს. თუმცა, საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრების აღკვეთა აღქმულია შედარებით მნიშვნელოვნად და ეს დაკავშირებულია საქართველოს საერთაშორისო იმიჯთან. ეს ეხმიანება სახალხო დამცველის განცხადებას, რომ ციხის თანამშრომლები „მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ“ პატიმრებთან, რათა აეძულებინათ, საჩივრები გამოეტანათ შესაბამისი ინსტიტუტებიდან²²⁹.

წამების მიზნები, რესპონდენტთა რწმენით, სულაც არ იყო რელიგიური მრწამსის თუ ეთნიკური იდენტობის შეურაცხყოფა. ეს შეესაბამება იმ მიგნებას, რომ სისტემაში წამების ობიექტი იყო უკლებლივ ყველა და არა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფები. ასევე, ეს ემთხვევა იმ დასკვნას, რომ წამების მთავარი და უპირველესი მიზანი იყო ციხეში ზოგადი კონტროლის დამყარება და

გადატვირთული სასამართლო სისტემის ხელშეწყობა და არა ღია თავდასხმა პოლიტიკურ, ეთნიკურ თუ რელიგიურ იდენტობაზე.

მიიჩნევა, რომ ვიდეო გადაღებას იყენებდნენ დამცირების გასამძაფრებლად და ასევე, როგორც პატიმრების მართვის ბერკეტს

რესპონდენტთა უმრავლესობა – 52 % აცხადებდა, რომ მათ შემთხვევაში ფოტო ან ვიდეო დოკუმენტირება არ წარმოებდა. თუმცა, ამჟამინდელი პატიმრების 11% და ყოფილი პატიმრების 5% დაბეჯითებით აცხადებდა, რომ მათ წამებას ფოტო და ვიდეო ფირებზე აფიქსირებდნენ. ამჟამინდელი პატიმრების 42% და ყოფილი პატიმრების 39% ასევე ამბობდა, რომ მათ „არ იცოდნენ“, რომ მათ წამებას ფოტოაპარატით და ვიდეოაპარატურით იღებდნენ.

რატომ იღებდნენ წამებას ვიდეოფირზე? ამ საკითხზე ერთგვარი ერთსულოვნება შეინიშნება: უმეტესობა, 82%, მიიჩნევს, რომ ფოტო და ვიდეოგადაღების უკან პატიმრის დამცირების და ღირსების შელახვის სურვილი იდგა. კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომელსაც რესპონდენტთა 63% იზიარებს, იყო ის, რომ გადაღებული მასალის გამოყენება პატიმრის ან მისი ოჯახის წინააღმდეგ ბერკეტის სახით შეეძლოთ. პატიმართა ასეთივე პროცენტული რაოდენობა ფიქრობს, რომ ვიდეო ფირების გამოყენება შეეძლოთ პატიმართა კონტროლისა და დათრგუნვისთვის. 55% აცხადებს, რომ წამების ამსახველი ფირები იყო ერთგვარი მექანიზმი, რათა აღეკვეთათ პატიმრების სურვილი, გაემჟღავნებინათ წამება. ასევე, მრავალ მათგანს, კერძოდ რესპონდენტთა 46%-ს სწამს, რომ ვიდეოს გამოყენება შეეძლოთ თანამშრომლების მაკომპრომეტირებელ მასალად. თითქმის იმდენივე, პატიმრების 43% აცხადებს, რომ თანამშრომლები ვიდეოფირებს სავარაუდოდ ინახავდნენ როგორც საბუთს, რომ ნამდვილად აღასრულეს ციხის ადმინისტრაციის უფროსობის დავალება. და კვლავ, რესპონდენტთა უმრავლესობა, 67% მიიჩნევს, რომ ვიდეოგადაღება, უბრალოდ, წამებით მიღებული სიამოვნების ნაწილი იყო და სწორედ ამ მიზნით ხორციელდებოდა.

4.5. რა ფორმა ჰქონდა წამებას?

რესპონდენტები, რომლებიც თავად იყვნენ წამების მსხვერპლნი, აცხადებენ, რომ ყველაზე გავრცელებული ფიზიკური შეურაცხყოფის სახეობა იყო მუშტით ან ხელკეტით ცემა განსაკუთრებით მგრძობიარე არეებში

რესპონდენტთა უმრავლესობა, 75% აცხადებდა, რომ მათ მუშტითა და წიხლებით სცემდნენ. ამას ადასტურებს ამჟამინდელი რესპონდენტების 83%-ი. ყოფილი რესპონდენტების 66%-იც იმავე მეთოდს ასახელებს. რეზინის ან ხის ხელკეტები გამოიყენეს მოქმედ პატიმართა 70% და ყოფილ პატიმართა 56%-ის შემთხვევაში. რესპონდენტების გადმოცემით, შედარებით ნაკლებ, მაგრამ მაინც საგრძნობ რაოდენობას, სცემდნენ საკნის გასაღებებით, რკინის საწოლის რიკულებით და სხვა ლითონის საგნებით – ამას ადასტურებს ამჟამინდელი პატიმრების 50% და ყოფილი პატიმრების 33%. ცემის სამიზნე ხშირად სხეულის ყველაზე მგრძობიარე არე იყო. რესპონდენტთა უმრავლესობა, 62% აცხადებდა, რომ მათ სხეულის ყველაზე მგრძობიარე ადგილებში ურტყამდნენ (მაგალითად, მაჯებზე, ხელის გულებზე, უკვე დაზიანებულ ადგილებში) –

ამას აცხადებს ამჟამინდელი პატიმრების 76% და ყოფილი პატიმრების 50%. ყურებზე ან ყურის სიახლოვეს დარტყმას, როგორც ცემის განსაკუთრებულ სახეობას, პატიმართა მთლიანი რაოდენობის 52% ასახელებს. თვალის დაზიანებას ასახელებს რესპონდენტთა 23%.

ციხეში სპეციალური ძალების სამარცხვინო გამოყენების შესახებ აღნიშვნის ღირსია ის, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, 41% აცხადებს, რომ საგანგებო ძალები, როგორც სადამსჯელო რაზმები (ორგანიზებული, რომლებიც მთელ ციხეს ესხმოდნენ თავს) მათ წინააღმდეგ გამოიყენეს.

გარდა ფიზიკური ცემისა, რესპონდენტებს სხვა მხრივაც ავიწროვებდნენ. ამაში იგულისხმება უარი სასმელ წყალზე – 35% აცხადებს აღნიშნულს; აუტანელ სიცივეში ან სიცხეში გამოკეტვას წამების მიზნით – 51% ; იძულებით პოზაში დგომას, როგორცაა ეგრეთ წოდებული “ფუქსი” ანუ 1 კვადრატულ მეტრიან გალიაში გამოკეტვა – 37% ადასტურებს ამას.

აღბათ, არაა გასაკვირი, რომ ბევრი პატიმრის აზრით, პირობები, რომელშიც ისინი იხდიდნენ საპატიმრო ვადას, წამების ერთგვარი სახეობა იყო – რესპონდენტთა 68% აცხადებს, რომ ისინი მოათავსეს პატიმრებით გადაჭედილ საკნებში. ასეთი სივიწროვე დიდი პრობლემა იყო – ამჟამინდელი პატიმრების 70% და ყოფილი პატიმრების 65% ადასტურებს, რომ ისინი ასეთ გადაჭედილ საკნებში მოათავსეს; პატიმართა 62% აცხადებს, რომ ისინი ნესტიან და წყლით გაჟღენთილ საკნებში მოათავსეს; რესპონდენტთა 74% ამბობს, რომ მათ უარს ეუბნებოდნენ სამედიცინო მომსახურებაზე.

რესპონდენტთა მცირე რაოდენობა ამბობს, რომ მათ წინააღმდეგ გაცილებით უფრო მდიდარი ფანტაზიით შექმნილი წამების ფორმებს იყენებდნენ. მაგალითად, რესპონდენტთა 10% აცხადებს, რომ მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ეგრეთ წოდებული გაგუდვის მეთოდი (თავს წყალში აყოფინებდნენ, თავზე გაზის ნიღაბს ჩამოაცვამდნენ და სხვა); რესპონდენტთა 8% ამბობს, რომ წამების სახით მათ დამწვრობა მიაყენეს (სიგარეტით, გავარვარებული უთოთი და ა.შ.); რესპონდენტთა 11% ამბობს, რომ მათ წინააღმდეგ ელექტრო დენით წამებას იყენებდნენ – ამჟამინდელი პატიმრების 15% და ყოფილი პატიმრების 7% აცხადებს ამას.

საინტერესოა, იმ ვიდეოების სექსუალური ძალადობის ფონზე, რომელმაც თავიდან გაჟონა საზოგადოებაში, ჩვენი რესპონდენტების მხოლოდ 2.3% ახსენებს სექსუალურ ძალადობას, აქედან 4% ამჟამინდელი პატიმრები არიან და 0.8% ყოფილი პატიმრები. ეს ციფრები დიდ სიფრთხილეს მოითხოვს შეფასებისას, რადგან სექსუალურ ძალადობას ხშირად ჩქმალავენ და ბოლომდე არ ამჟღავნებენ ხოლმე, მაგრამ მაინც, ეს მაჩვენებელი ნამდვილად ბადებს ეჭვს, რომ გავრცელებული ვიდეოჩანაწერები გამონაკლისს წარმოადგენდა.

ფსიქოლოგიურ წამებაში იგულისხმება მუქარა, საკანში ცხოვრების გამკაცრება, სადაც ლაპარაკიც კი აკრძალული იყო და პატიმრებისთვის შთაგონება, რომ ციხეში სასტიკი მოპყრობა ჩვეულებრივი მოვლენაა

როგორც მოსალოდნელი იყო, ფსიქოლოგიური წამების ყველაზე გავრცელებული ფორმა, ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრების 85%-ის განცხადებით, სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო.

თუმცა, ამის შემდეგ და სხვა წყაროებთან თანხვედრით, 75% ამტკიცებდა, რომ მათ საკნებში ლაპარაკს უკრძალავდნენ; ამას ამჟამინდელი პატიმრების 77% და ყოფილი პატიმრების 73% აცხადებდა. ამაზე მეტი, რესპონდენტთა 77% ამტკიცებდა, რომ მათ რადიოს მოსმენას ან გაზეთების კითხვასაც უკრძალავდნენ. მეტიც, უმეტესობას მთელი დროის გატარება საკანში უწევდა – 67% აცხადებდა, რომ მათ ეკრძალებოდათ ციხეში სეირნობა. საკნის გარეთ დროის უმეტესობას სავარაუდოდ იზოლირებულ ერთეულებში ატარებდნენ – რესპონდენტთა 45% აცხადებდა, რომ ისინი დაკავებული ჰყავდათ სადამსჯელო საკნებში ხანგრძლივი პერიოდით, განსაკუთრებულ პირობებში (მაგალითად, შიშვლები, უწყლოდ და უტუალეტოდ, ან საწოლის გარეშე).

საკნები უნდობლობის ადგილს წარმოადგენდა რესპონდენტთა 42%-თვის, რომლებიც აცხადებდნენ, რომ საკანში მათზე ზემოქმედებას ახდენდნენ თანასაკნელები, რომლებიც ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდნენ. ძილი შეზღუდული ჰქონდათ; 50% აცხადებდა, რომ ძილს უფრთხობდნენ. რესპონდენტთა 46% აცხადებდა, რომ ძილის დროსაც ეკრძალებოდათ შუქის ჩაქრობა. ეს ციფრები, ფაქტიურად, ერთნაირი იყო როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრების შემთხვევაში.

პატიმრების უმრავლესობა, 57% აცხადებდა, რომ მათ ემუქრებოდნენ ცემით, გაუპატიურებით ან მოკვლით. მეტიც, რესპონდენტთა 39% ამბობდა, რომ მათ ემუქრებოდნენ მათი ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენებით. მუქარები უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, პატიმრებს საჯაროდ აწამებდნენ. რესპონდენტების დიდი უმრავლესობა – 69% აღნიშნავდა, რომ მათ სხვა პატიმრების წამების ხმებს ასმენინებდნენ; ამას ადასტურებს ამჟამინდელი პატიმრების 71% და ყოფილი პატიმრების 67%.

ამას გარდა, რესპონდენტების 47% აცხადებდა, რომ ისინი სხვა პატიმრების წამებას ესწრებოდნენ; ამჟამინდელი პატიმრების 52% და ყოფილი პატიმრების 43% ადასტურებს ამას. და ბოლოს, მცირე მაჩვენებელი, პატიმრების 4% აცხადებს, რომ მათ აიძულებდნენ, ეყურებინათ/მოესმინათ წამების აუდიო-ვიდეო ჩანაწერები; რესპონდენტების 8% აცხადებს, რომ მათ ემუქრებოდნენ მათზე განხორციელებული წამების სხვებისთვის ჩვენებით.

4.6. მიაღწია თუ არა წამებამ მიზანს?

იმის შესაფასებლად, მიღწეული იქნა თუ არა წამების სავარაუდო მიზნები, რესპონდენტებს სხვათა შორის ჰკითხეს, იცნობდნენ თუ არა ადამიანებს, ვინც წამების შედეგად ინფორმაციას აგროვებდა სხვა ადამიანებზე, აბრალებდა დანაშაულის ჩადენას, რომელიც არ ჩაუდენიათ, მონაწილეობდნენ თუ არა სხვების წამებაში, ფარავდნენ თუ არა თავის პოლიტიკურ შეხედულებებს ან იძულებით ხომ არ დაითანხმეს საპროცესო შეთანხმებაზე. რესპონდენტები აღიარებდნენ, რომ იცნობდნენ ან სმენოდათ, რომ სხვა პატიმრები სჩადიოდნენ ასეთ რამეებს, თუმცა აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფს მსგავს საქციელს. ეს ციხის გარემოში დამკვიდრებული ძლიერი სტიგმის და ასეთ ქმედებებთან დაკავშირებული სირცხვილით აიხსნება. მიღებული პასუხები რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფეთ:

- პატიმრების გამოყენება ერთმანეთის წინააღმდეგ

- ინფორმაციის მოგროვება ბრალდებისთვის
- პატიმრების რეჟიმთან თანამშრომლობის მიღწევა

ქვემოთ უფრო თვალსაჩინოდ და ზედმიწევნით გიხვენებთ რესპონდენტთა პასუხებს.

პატიმრების გამოყენება ერთმანეთის წინააღმდეგ: რესპონდენტებს სჯერათ, რომ პატიმრების საკმაოდ დიდი რაოდენობა (40%-ზე მეტი) აგროვებდა ინფორმაციას და აბრალებდა სხვებს დანაშაულის ჩადენას წამების ზემოქმედების შედეგად.

რესპონდენტების დაახლოებით 54% აცხადებდა, რომ ისინი პირადად არ იცნობდნენ არავის, ვინც სხვებზე აგროვებდა ინფორმაციას. 42% აცხადებდა, რომ იცნობდნენ ასეთ ადამიანებს; 4%-ს არ სურდა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. რესპონდენტთა 93% აცხადებდა, რომ მათ სხვა ადამიანებზე ინფორმაცია არ გადაუციათ. მხოლოდ მცირე პროცენტი, 2.4% (ამჟამინდელი პატიმრების 5% და ყოფილი პატიმრების 0.3%) ადასტურებდა ამას.

ზუსტად ასევე, რესპონდენტთა 40% აცხადებდა, რომ იცნობდნენ ვიღაცას, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად სხვას დააბრალა დანაშაულის ჩადენა, რომელიც მას არ ჩაუდენია. რესპონდენტთა უმრავლესობა – 55% აცხადებდა, რომ ისინი არ იცნობდნენ არავის, ვისაც ასეთი რამ ჩაუდენია. მხოლოდ რესპონდენტთა 1.7%-მა თქვა, რომ წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მათ თვითონ დააბრალებს სხვებს დანაშაულის ჩადენა, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ. რესპონდენტების 4.6%-მა არ მოისურვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ამავე დროს, 69% აცხადებდა, რომ არ იცნობდნენ არავის, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მონაწილეობდა სხვა პატიმრების წამებში. იმ რესპონდენტთა პროპორციული თანაფარდობა, ვინც აცხადებდა, რომ იცნობდა ვიღაცას, ვინც მონაწილეობდა სხვა პატიმრების წამებაში, იყო 29%. რაც შეეხება მათ თავად, რესპონდენტთა 7%-მა არ მოისურვა პასუხის გაცემა, მონაწილეობდნენ თუ არა თავად წამებაში. ძალიან მცირე რაოდენობამ, ამჟამინდელი პატიმრების 1.5%-მა და ყოფილი პატიმრების 0.35%-მა თქვა, რომ მათ მიუღიათ მონაწილეობა სხვა პატიმრების წამებაში.


ინფორმაციის მოპოვება ბრალდებისთვის: რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობა აღიარებდა დანაშაულს, თანხმდებოდა საპროცესო შეთანხმებას ან თმობდა ქონებას წამების ზემოქმედების შედეგად

შედარებისთვის, ყოველი მესამე რესპონდენტი აცხადებდა, რომ ისინი იცნობდნენ „ბევრ“ (ეს ნიშნავს 6-ს და მეტს) ადამიანს, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად აღიარა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია; 23%-მა განაცხადა, რომ იცნობდა „რამდენიმეს“ (2-დან 5-მდე) ადამიანს, ვინც ბრალი აღიარა, თუმცა უდანაშაულო იყო. რესპონდენტთა უმრავლესობამ – 77%-მა განაცხადა, რომ მათ პირადად არ უღიარებიათ დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენიათ მაშინ, როცა რესპონდენტთა 19%-მა აღიარა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია.


მსგავსად ამისა, დაახლოებით ყოველი მესამე რესპონდენტი (35%) აცხადებდა, რომ იცნობდნენ „ბევრ“ ადამიანს, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად გადაიხადა ფული ან დათმო ქონება. ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარია ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების შემთხვევაში, შესაბამისა 34% და 36%. რესპონდენტთა 10%-მა კი განაცხადა, რომ მათ თავად ჰქონდათ ჩადენილი ასეთი რამ.

რესპონდენტები უფრო მეტი ხაზგასმით საუბრობდნენ საპროცესო შეთანხმებებზე. თითქმის მათი ნახევარი, რესპონდენტთა 48% აცხადებდა, რომ იცნობდა „ბევრ“ ადამიანს, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დათანხმდა საპროცესო შეთანხმებას. მეტიც, რესპონდენტთა 15%-მა განაცხადა, რომ ისინი პირადად დათანხმდნენ საპროცესო გარიგებას წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად. ეს დაახლოებით ერთნაირი იყო ყველა ჯგუფში: ამჟამინდელი პატიმრების 51%-მა და ყოფილი პატიმრების 44%-მა განაცხადეს, რომ იცნობდნენ „ბევრ“ ადამიანს, ვინც დათანხმდა საპროცესო გარიგებას წამების გამო. ქვემოთ გთავაზობთ დიაგრამას, რომელიც ამ მონაცემებს ასახავს.

პირადად თქვენ, იცნობთ თუ არა ვინმეს, ვისაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დათანხმდა საპროცესო გარიგებას?



თქვენ თავად თუ შეგემთხვათ



თანამშრომლობაზე დაყოლიებული პატიმრები და მიღწეული წესრიგი: პატიმრების აზრით, წამება კრიმინალურ ბანდებზე სრულყოფილ ზემოქმედებას ვერ ახდენდა; თუმცა, ის უბიძგებდა ადამიანებს, ადმინისტრაციის ინტერესებით ემოქმედათ და დაემალათ პოლიტიკური შეხედულებები.

რესპონდენტთა უმრავლესობა – 69% აცხადებდა, რომ არ იცნობდნენ არავის, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დათმო კრიმინალური სამყაროს წევრობა, ეგრეთ წოდებული „ქურდული სამყარო“. თუმცა, ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების 13%-მა აღნიშნეს, რომ იცნობდნენ ბევრ ადამიანს, ვინც ნამდვილად დათმო კრიმინალური სამყაროს წევრობა. მეტიც, ამჟამინდელი პატიმრების 3%-მა განაცხადეს, რომ მათ თავად თქვეს უარი კრიმინალური სამყაროს წევრობაზე.

რესპონდენტების დაახლოებით ნახევარმა, 56%-მა განაცხადეს, რომ ისინი არ იცნობდნენ არავის, ვინც ან ვისი ოჯახის წევრებმაც, წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დამალეს პირადი პოლიტიკური შეხედულებები. რესპონდენტთა 39% იცნობს რამდენიმე ადამიანს, ვინც ან ვისი ოჯახის წევრებმაც დამალეს თავისი პოლიტიკური შეხედულებები. პირადი საუბრისას, ამჟამინდელი პატიმრების 7%-მა და ყოფილი პატიმრების 8%-მა განაცხადეს, რომ მათ, ან მათი ოჯახის წევრებმა დამალეს პოლიტიკური შეხედულებები წამების შედეგად.

შედარებისთვის, როგორც ამჟამინდელი, ისე ყოფილი პატიმრების 38% განაცხადა, რომ ისინი არ იცნობდნენ არავის, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დაიწყო თანამშრომლობა ციხის ადმინისტრაციასთან. ასეთივე რაოდენობამ, ამჟამინდელი პატიმრების 35% და ყოფილი პატიმრების 32% განაცხადეს, რომ იცნობდნენ ბევრ ადამიანს, ვინც ეს ჩაიდინა. ამჟამინდელი პატიმრების 4%-მა თქვა, რომ მათ თავად დაიწყეს ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა წამების და არაადამიანური მოპყრობის ზემოქმედების შედეგად.

4.7. როგორ ახერხებდნენ, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელი იყო, პატიმრები წამებისგან თავის დაცვას?


ძალიან ცოტა პატიმარი ხვდებოდა ადამიანის უფლებათა დამცველებს; მათგან ცოტა თუ იყო მზად, წამების გამოცდილება ელიარებინა თუნდაც კერძო ადვოკატებთან, მოსალოდნელი შედეგების შიშის და უნდობლობის გამო

როდესაც რესპონდენტებს ეკითხებინათ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების თაობაზე, მათი უმრავლესობა აცხადებდა, რომ არასოდეს შეხვედრილან სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს (62% არასოდეს არავის შეხვედრია ამ დაწესებულებიდან), ადგილობრივი ადამიანის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს (75%), საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს (88%), გაერთიანებული ერების, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს (93%), ან საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის

წევრებს (91%). ძალიან მცირე ნაწილმა მათგან, ვინც ადამიანის უფლებადამცველებს შეხვედრია, თქვა, რომ წამების შემთხვევების შესახებ რაღაცა გაუმხილეს ამ ორგანიზაციებს.

რესპონდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ კონსულტაცია გაიარა კერძო იურისტებთან – 74%-მა განაცხადა ეს. 27%-მა განაცხადა, რომ ისინი ხშირად ეკითხებიან რჩევას კერძო ადვოკატს – ასეთია რესპონდენტთა 32%. ვინც დაადასტურა ადვოკატთან კონსულტაციის გავლა, განაცხადეს, რომ ისინი სრულად აწვდიდნენ ადვოკატებს ინფორმაციას წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ. მეორე მხრივ, 45% პროცენტი აღნიშნავდა, რომ ისინი არაფერს ატყობინებდნენ ამის შესახებ ადვოკატებს. ეს ციფრი უფრო დაბალია სახაზინო დამცველის შემთხვევაში: 15% მათგან, ვინც სახაზინო დამცველს ესაუბრა, აცხადებდა, რომ მათ გაუმხილეს წამების ფაქტები.

რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ რატომ არ ამხელდნენ წამების და არაადამიანური მოპყრობის იმ ფაქტებს, რომლებიც მათ და სხვებმაც გადაიტანეს. ამ კითხვაზე რესპონდენტთა 40%-მა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ მდგომარეობის გამოსწორების იმედი; რესპონდენტთა 26%-მა განაცხადა, რომ ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ ან ჰქონდათ უარესის მოლოდინი. თუმცა, იყო კიდევ ერთი ფაქტორიც, არაეფექტურობა; რესპონდენტების 75%-მა, ვინც სრული ინფორმაცია მისცა ადამიანის უფლებადამცველ აქტივისტებს და ორგანიზაციებს წამების და არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, განაცხადეს, რომ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ამ კითხვებზე პასუხს უჩვენებს.



ამას გარდა, პატიმრები საკუთარ ოჯახებშიც ვერ პოულობდნენ შვებას. რესპონდენტთა უმრავლესობა – 62% აცხადებდა, რომ მათი ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ მათ წინააღმდეგ

განხორციელებული წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ. ეს დაადასტურეს ამჟამინდელი პატიმრების 64% და ყოფილი პატიმრების 61%. რესპონდენტთა მხოლოდ 13%-მა განაცხადა, რომ მათი ოჯახის წევრებმა იცოდნენ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შესახებ; რესპონდენტთა 6% უარი თქვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე.

4.8. პატიმრობის შედეგები


პატიმრების დიდი უმეტესობა აცხადებს, რომ თავისუფლების აღკვეთამ სერიოზულად დაუზიანა ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ფსიქიკური ჯანმრთელობა

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა – 84% აცხადებს, რომ პატიმრობამ გაუჩინა პრობლემები (სოციალური, ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური და სხვ.), რაც მანამდე არ ჰქონიათ. ყოველი მესამე რესპონდენტი აცხადებს, რომ პატიმრობაში ყოფნისას განუვითარდათ ქრონიკული დაავადებები, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარება; 72%-მა განაცხადა, რომ პატიმრობის შედეგად განუვითარდათ დაავადებები, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. რესპონდენტთა 48%-მა განაცხადა, რომ შრომისუნარიანობა დაუქვეითდათ ან სრულიად დაკარგეს; 32%-მა განაცხადა, რომ მათ უჭირთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა (მათ შორის, ოჯახის წევრებთან); შესაძლოა, ამის შედეგად, რესპონდენტთა 14% განაცხადა, რომ მათ დაენგრათ ოჯახები. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, რესპონდენტთა 38% ამტკიცებს, რომ პატიმრობის შედეგად მათ ქონება დაკარგეს. ხოლო უფრო ფართო სახის საკითხებს, როგორ იმოქმედა წამებამ უშუალოდ მათზე და მათი აზრით, როგორ იმოქმედა წამებამ სხვა პატიმრებზე, რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა, 49%-მა განაცხადა, რომ ისინი იცნობენ „ბევრ“ სხვა პატიმარს, ვისაც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები გაუჩნდა. პირად საუბარში 31% ამტკიცებს, რომ მათ თავადაც გაუჩნდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად.

მეტიც, რესპონდენტთა უმრავლესობა – 59% აცხადებს, რომ ისინი იცნობენ „ბევრ“ ადამიანს, ვინც წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ფიზიკურად დაზიანდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო: ამას აცხადებდა ამჟამინდელი პატიმრების 71% და ყოფილი პატიმრების 47%. ამას გარდა, რესპონდენტთა 48% ამბობს, რომ ისინი პირადად დაზიანდნენ ფიზიკურად წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად.

რესპონდენტთა მესამედზე მეტი, 35% აცხადებს, რომ ისინი არ იცნობენ არავის, ვინც წამების ან არაადამიანური მოპყრობის შედეგად თავი მოიკლა/ან ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. თუმცა, რესპონდენტთა 10% ამბობს, რომ მათ თავად სცადეს თვითმკვლელობის ჩადენა წამების და არაადამიანური მოპყრობის გამო. რაც შეეხება დაავადებათა კონკრეტულ სახეობებს, ყველაზე გავრცელებული სახეობა, რაც საპატიმროში გატარებული პერიოდის განმავლობაში განუვითარდათ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებია (დეპრესია და ნევროზი); საჭმლის მომწელებელი სისტემის დაზიანების გარდა, ხშირად ასახელებდნენ კუჭის წყლულს, C ჰეპატიტს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. ამ შედეგებს დიაგრამის სახით გთავაზობთ ქვემოთ.

რა ქრონიკული ან ძნელად განკურნებადი დაავადებით დასნეულდით (ფიზიკური ან სულიერი ტრავმის ჩათვლით) სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნისას?



ბევრი რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ არ გაუწიეს სამედიცინო დახმარება წამების შედეგად განვითარებული ჯანმრთელობის დაზიანების სამკურნალოდ და რომ ისინი ხშირად არც უმხელდნენ ამ პრობლემებს ციხის თანამშრომლებს

ცხადია, რომ ციხის არაადამიანურ პირობებში გატარებული დროის შედეგად პატიმრებს სერიოზული ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები გაუჩნდათ. მიუხედავად ამისა, რესპონდენტთა 38% აცხადებს, რომ მათ არასაკმარის (არაკვალიფიციურ) სამედიცინო დახმარებას უწევდნენ პატიმრობის პერიოდში. რესპონდენტთა 36% კი აცხადებს, რომ მათ საერთოდ არ უწევდნენ სამედიცინო დახმარებას. რესპონდენტთა 51% ადასტურებს, რომ ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზი ფორმალურად არ აღურიცხავთ სამედიცინო დოკუმენტაციაში. მეტიც, უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება, კონფიდენციალურად დალაპარაკებოდნენ ექიმებს. მაშინაც კი, როცა მათ ჰქონდათ ამის საშუალება, რესპონდენტთა უმრავლესობა, 59% ამბობს, რომ არ ენდობოდნენ სამედიცინო პერსონალს.

შემაჯამებელი დასკვნა

ამ კვლევის მონაცემები ნაწილობრივ ჰყენს შუქს ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამების გავრცელებას, მასშტაბს, მიზნებს და პრაქტიკას. იმ დროს, როცა ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს მონაცემები სრულიად ობიექტურ სურათს იძლევა, შემთხვევითი წარმომადგენლობითი შერჩევა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა საშუალებას იძლევა, გავიგოთ პატიმრების აზრი წამების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში.

ცხადია, კვლევის თვალსაზრისით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. აუცილებელია, მაგალითად, კვლევა ციხის თანამშრომლებზე და სახელმწიფო მოხელეებზე განხორციელდეს ისევე, როგორც სისხლის სამართლის სისტემის იმდროინდელ შემოქმედებთან. თანამშრომლების, პროფესიონალი სუბკულტურის, ტრენინგების არარსებობის, სამუშაო პირობების და ზეწოლის როლი გადამწყვეტია იმის გასარკვევად, თუ რატომ ხდებოდა წამება და ეს ის კითხვებია, რაზეც ჩვენი კვლევა ვერ გასცემს პასუხს.

თუმცა, არსებული მონაცემებიდან შეიძლება რამდენიმე თვალშისაცემი დასკვნის გამოტანა. აი, ისინიც:

- პატიმრების და ყოფილი პატიმრების ჩვენებებიდან ჩანს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა გავრცელებული იყო სასჯელაღსრულებით სისტემაში. მეტიც, პატიმრების მტკიცე რწმენა, რომ წამებას გავრცელებული სახე ჰქონდა, თავად იყო ფართოდ გავრცელებული.
- ასეთი მოპყრობა არ იყო მხოლოდ რომელიღაც კონკრეტული ციხისთვის დამახასიათებელი, თუმცა ერთ კონკრეტულ ციხეში, განსაკუთრებით გლდანის #8 ციხეში, მას ენდემური ფორმა ჰქონდა. სხვა ციხეებში, როგორცაა ქსნის #2 ციხე და ქსანი #15, ის გავრცელებული იყო.
- ამ მონაცემებზე დაყრდნობით, არ არის ცხადი, იყო წამება სასჯელაღსრულების პოლიტიკის ნაწილი, თუ მხოლოდ რომელიღაც ციხეებში მიიღო მან ფართომასშტაბიანი სახე, თუმცა რესპონდენტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს იყო კორექციის პოლიტიკის სისტემური ნაწილი.
- წამება და არაადამიანური მოპყრობა რესპონდენტებს მნიშვნელოვან იარაღად მიაჩნიათ. მათი აზრით, ის შიშის დანერგვით ეხმარება სასჯელაღსრულების სისტემას წესრიგის დამყარებაში და პროკურატურას უზრუნველყოფს ინფორმაციით.
- წამებამ ხელი შეუწყო აღიარებით ჩვენებებს, საპროცესო შეთანხმებებს და აიძულა პატიმრები, ციხის ადმინისტრაციასთან ეთანამშრომლათ.
- ამის საპირისპიროდ, პატიმრები არ მიიჩნევენ, რომ წამება იდეოლოგიურად მართულია ან რომ მას რაიმე კონკრეტული ეთნიკური ან რელიგიური საფუძველი აქვს.
- წამების ფორმები შეიძლება ათასგვარი იყოს და ის არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი ფორმით. თუმცა, ძალიან იშვითია იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც სექსუალური ხასიათის ძალადობა ახსენა. საკმაოდ მცირე ნაწილმა, დაახლოებით ათ პატიმარში ერთმა აღნიშნა, რომ წამება ფოტო ან ვიდეო ფირზე გადაიღეს.

- წამების მსხვერპლი თვალშისაცემი თავშეკავებით გამოირჩევა წამების შემთხვევების თაობაზე საუბრისას, როგორც გარეშე, ისე პირად ურთიერთობებში (ოჯახთან). ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ მათ არა აქვთ მდგომარეობის გამოსწორების იმედი, ეშინიათ, კიდევ არ დაისაჯონ და ეჭვი ეპარებათ დაცვით მექანიზმებში.
- პატიმრების უმეტესობისთვის წამების შედეგები ტრავმის შემცველი იყო, განსაკუთრებით ფსიქიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით. სერიოზული კითხვები იბადება ზოგადად სამედიცინო სამსახურის ხელმისაწვდომობის კუთხით. გაუგებარია, წამების შედეგად მიყენებული დაზიანებების შემხედვარე, რამდენად აცნობიერებდა სამედიცინო პერსონალი ამის მიზეზებს. მეტიც, კვლევის შედეგებმა წამოჭრა კითხვები სამედიცინო პერსონალის არაადამიანურ მოპყრობაში ფარული თანამშრომლობის და/ან არ გამხელის თაობაზე.

დანართი: წამების მსხვერპლთა ისტორიები

ნუგზარი, 37 წლის

(ისტორიაში ასახულია თბილისის #5, რუსთავის #16, ქსნის #19, გლდანის #18, დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები)

დამაკავეს და გადამიყვანეს გლდანის #8 დაწესებულებაში, რის შემდეგაც არ ვიცი რა დამემართა, შოკი იყო, თუ რა იყო, მე ასეთი წამება არსად მენახა მანამდე... ეს ე.წ. „კარანტინის დაშლა“, ადამიანების არაადამიანური ხმით ყვირილი. თუ თანამშრომლობაზე ხელს არ მოაწერდნენ, სასტიკად ექცეოდნენ საკანში. წრესავით ჰქონდათ გაკეთებული ეს „კარანტინი“ და ყველას იქ უნდა გაევიღო. ყველას სცემდნენ, განსაკუთრებით მკვლელობის და ყაჩაღობის მუხლებით გასამართლებულებს.

კარანტინის გავლის შემდგომ, საკანში აგვიყვანეს, იქაურმა ოფიცერმა გაგვაფროთხილა, რომ ხმის ამოღებაც კი არ შეიძლებოდა, ანუ ჩურჩულიც გვეკრძალებოდა. პატარა ხმაურზეც შემოდიოდნენ, ე.წ. „პალაუნია“ მოჰყავდათ და ცემით და დაშინებებით „ავდებდნენ“ ხალხს ე.წ. „შპონკის“ ქვემოთ. უამრავი დასჯის მეთოდი ჰქონდათ: მუხლებზე დაყენება, საპნის ნაჭრების იძულებით გადაყლაპვა, სპეციალურად ხერხემალში დარტყმა.

ეს ყველაფერი ალბათ იმისთვის ხდებოდა, რომ დაეინვალიდებინათ ეს ხალხი. ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო უმაღლეს დონეზე, არ ვიცი, მე პირადად, ადამიანად არ ვთვლიდი იქ თავს, არაფერი არ ვიყავი და ვერც მომავალში ვხედავდი პერსპექტივას.

თითქმის ყველა იყო ცემაში ჩართული, ხელის დარტყმის უფლება არ ჰქონდა მხოლოდ კონტროლიორს. კონტროლიორი უშუალოდ ალებს და კეტავს საკნის კარს. ჰაერზე გასვლის უფლება არ გვექონდა. გასასეირნებლად გასვლას თუ მოვითხოვდით, ისე გვაგინებდნენ და გვიყვიროდნენ, რომ მეორედ ნამდვილად აღარ სთხოვდი. კვება საშინელი... მე საერთოდ მიჭირს ამის გახსენება... ახლაც, რომ მახსენდება... დიდი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე მეორე პატიმრობისას გლდანის ციხეში... იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში, არ მქონია ეგეთი ზეწოლა და ფსიქოლოგიური ტრავმა, არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური... არ ვიცი, ეხლაც რომ მახსენდება...

ყოველდღიური სტრესი იყო! ყოველ დღე საშინელების მოლოდინში ვიყავით. ხანდახან ცემა გვერჩივნა მათ მიერ მოყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას. გვაგინებდნენ, გვამცირებდნენ. იყო ერთი ასეთი სასჯელიც - დაგაყენებდნენ შუა საკანში და ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში, ჩუმად უნდა მდგარიყავი, არ განძრეულიყავი. ამას, რა თქმა უნდა, ცემა გვერჩივნა.

შიშები და ჰალუცინაციები დამეწყო, სრული უიმედობის შეგრძნება მქონდა, საკუთარ თავს ადამიანად აღარ ვთვლიდი. უძილობა მაწუხებდა, ხოლო ძილში კომმარული სიზმრები მესიზმრებოდა. თვითმკვლელობის მცდელობებიც მქონდა. ვთხოვე ექიმი გამოეძახათ. ალბათ ამიტომაც მომიყვანეს. მართალია, დიდი თხოვნის შემდეგ მაგრამ როგორც იქნა, მოვიდა და

მნახა ფსიქიატრმა. რაღაც წამლები დამინიშნა. ამ წამლებს იშვიათად უნიშნავდნენ პატიმარს. რვა თვის განმავლობაში ვსვამდი და მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა, მაგრამ ზეწოლა ისევ გრძელდებოდა. პირადად მე თუ არ მეხებოდნენ, კამერაში ჩემს თვალწინ მეგობარს რომ სცემდნენ, ესც ჩემთვის წამების ტოლფასი იყო. პრინციპში, სიტუაცია ყველასთვის ერთი და იგივე იყო.

აი, უკვე მეოთხე თვეა რაც გამათავისუფლეს, მაგრამ დღესაც თავს საშინლად ვგრძნობ, ფსიქოლოგიურად განადგურებული ვარ, თავს ვერ ვერევი, გადატანილი მძიმე სტრესის გამო ნერვული სისტემა შემერყა.

უძილობა ისევ მაწუხებს. მედიკამენტებს ვღებულობ, თითქოს მდგომარეობამ ცოტა გამოსწორება დაიწყო. ამას თან ერთვის ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობა, ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტი. უამრავი რამის შიში დამჩემდა, მაგალითად, ქუჩაში თუ დავინახავ ფორმიან ადამიანს, მეშინია არ დამაკავოს და მცემოს. სახლში კარზე კაკუნის ან უცნობი მამაკაცის ხმის გაგონებაზე ცუდის მოლოდინი მაქვს.

გაგა, 36 წლის

(ისტორიაში ასახულია გლდანის მე-8 და მე-18, თბილისის პირველ დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

მე, როგორც იმ რაიონის წარმომადგენელს, საიდანაც ჩვენი ამჟამინდელი პრემიერია [იგულისხმება იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერი, რომელიც შემდგომში პრემიერ მინისტრი გახდა], უდოთი გათავისუფლების და უკეთესი პირობების სანაცვლოდ შემომთავაზებს მიმეცა ცრუ ჩვენება მისი პარტიის წევრების წინააღმდეგ. თითქოს პარტიის აქტივისტები საარჩევნო ხმების სანაცვლოდ, ჩემი ოჯახის წევრებს ჰპირდებოდნენ ჩემი ციხიდან გათავისუფლებას. მე იმდენად დავალებული ვიყავი ამ ადამიანისგან, რომ ჯერ ერთი, ტყუილი რატომ უნდა მეთქვა, მერე მეორე, როცა სკოლაში ვმუშაობდი ხელფასს მიხდიდა, მამაჩემის ოპერაცია დააფინანსა, ჩემი ოპერაცია დააფინანსა, არა იმიტომ, რომ პირადად ვიცნობდი, ან ის მიცნობდა, ან რამეს წარმოვადგენდი, უბრალოდ, როგორც კეთილი ადამიანი გაჭირვებულ ოჯახს დაგვეხმარა. წარმოგიდგენიათ, ახლა მე რამხელა ტვირთი უნდა ამელო ჩემს თავზე, რომ ასეთ ადამიანზე რაღაც ცილისმწამება დამეწერა? როგორ უნდა მეცხოვრა საერთოდ, ჩემი შვილისთვის და ჩემი ახლობლებისთვის როგორ უნდა შემეხედა თვალებში?! ამიტომ კატეგორიული უარი განვაცხადე. უარის განცხადების შემდეგ, რეჟიმის და სოციალური სამსახურის უფროსებმა შემათრეს მორგში, მიმაბეს გვამების გასაკვეთ მაგიდაზე და რაღაც სპეციალური მარწუხებით ფეხის თითები გადამიმტვრიეს, რომლიდანაც რამოდენიმე თითი დიდი წვალებით მე თავად ჩავისვი, ხოლო ფეხის ორი თითი ამჟამადაც ისე ძლიერაა დეფორმირებული, რომ ფეხსაცმლის ჩაცმა და სიარული მიჭირს. ფეხის თითების მოტეხვის გარდა ხელკეტს მირტყამდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ და როცა გონებას ვკარგავდი, ცივ წყალს მასხამდნენ გამოსაფხიზლებლად, შემდეგ ისევ აგრძელებდნენ წამებას. მაინც ყველაფერს გავუძელი.

გენრიხი, 44 წლის

(ისტორიაში ასახულია გლდანის #8 დაწესებულებაში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

გლდანის ციხეში ყველაზე ცუდად ერთი დღე მახსოვს, გაიღო საკნის კარები და შემოვიდა დაახლოებით 6-7 კაცი, ფიზიკურად ძალიან ძლიერები და დაგვიწყეს ყვირილი, თუ რატომ ვხმაურობდით გუშინწინ, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ჩვენ არ ვხმაურობდით და თუ ვხმაურობდით, მაშინ რატომ არავინ არაფერი გვითხრა იმ დღეს და რატომ ამახვილებდნენ ამაზე ყურადღებას დღეს. ამაზე მოეშალა ნერვები ერთ-ერთს, მკითხა გვარი და აბა სუყველა დამწკრივდით და წამოდით აბანოში. ძირითადი ცემა ხდებოდა აბანოში. ერთადერთი ადგილი მთელ ციხეში იყო აბანო, სადაც არ იყო კამერები. ჩვენ შორის იყო ერთი 18 წლის ბიჭი, ჩემი შვილის ასაკის ბავშვი. დაიწყეს ჩვენი სასტიკი ცემა. დაგვყარეს მეტლახზე დასისხლიანებულები. შემდეგ, რომ გავიხედე ამ ბავშვისკენ, კუთხეში ჰყავდა ერთ-ერთს მიმწყვდეული ეს ბავშვი, ხოდა, შეაგინე ქურდებსო, ეუბნებოდა. ეს ბავშვი არ აგინებდა, არც ქურდებს არც არავის. მაშინ, ახლა გააღე პირიო და დაიწყო შარვლის გახსნა. ამ მომენტში, მე ველარ მოვითმინე და საკმაოდ კორექტულად, ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე დავუყვირე, რას შვებით, ბავშვია, არ გრცხვენიათ მეთქი. ამან უფრო გააღიზიანა. სულ ყველას უბრძანეს ჩაცმა იმიტომ, რომ წელს ზემოთ ყველა გახდილები ვიყავით და ყველა საკანში დააბრუნეს, მე დამტოვეს. შემდეგ გაგრძელდა ჩემი ცემა, ნახევრად მკვდარი მიმათრიეს საკანში.

ეს არის სასტიკი ცემა, ანუ არანაირი გარანტია არ აქვთ არც მათ, არც შენ, რომ არ შემოაკვდები. ეს არ არის უბრალოდ ცემა. ცემის დროს, ადამიანი ზომავს რაღაცას აი სად დაარტყას, როგორ დაარტყას. იქ არ არსებობს მსგავსი რაღაცა. წარმოიდგინეთ, ნაცემი რომ ხარ, ძირს აგდებარ, განძრევის საშუალება არ გაქვს და 120 კილოგრამიანი ადამიანი საკმაოდ სიმაღლიდან გახტება მკერდზე, ზურგზე, თავზე... იმდენად „მწვანე შუქი“ ჰქონდათ ანთებული, რომ არც სახეს იფარავდნენ ნიღბებით... ცემე, თუ გინდა, მოკალი, მაგრამ რეჟიმი უნდა იყოს ასეთი, როგორც არის და ამას ეძახდნენ დისციპლინას. ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით გლდანის ციხეში. 5000 პატიმარი სადაც იჯდა, თქვენ იქ გაიგონებდით ბუზის გაფრენას... იყო აბსოლუტური სიჩუმე.

ჩემს გათავისუფლებამდე, დაახლოებით, სამი კვირით ადრე, შემოგვივარდნენ საკანში ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, იმდროინდელი რეჟიმის უფროსის მეთაურობით, სტანდარტული ბრალდებით, რომ თურმე, ვხმაურობთ. ერთ-ერთ ჩემს თანამესაკნეს ეცნენ ყელში და დახრჩობა დაუწყეს. ეს არ იყო უბრალოდ ყელში ხელის მოჭერა, ბიჭი იხრჩობოდა, რეალურად იხრჩობოდა, უკვე გაშავდა, ენა გადმოუვარდა... მე ჯერ სიტყვიერად მივმართე, რომ თავი გაანებეთ მეთქი, შემდეგ რომ დავინახე სხვა გამოსავალი არ იყო, ხელი ვკარი ერთ-ერთს. ამ ჩემი ქმედების, ეტყობა შეეშინდათ და წამებში გაიქცნენ საკნიდან. ზუსტად ხუთ წუთში გაიღო კარები და გამოგვიძახეს - ჯერ ის პიროვნება, რომელსაც ახრჩობდნენ და მერე მე. ჩავვიყვანეს ორივე, ეგრეთწოდებულ, „კარანტინში“, გაგვაშიშვლეს. შემდეგ ის პიროვნება მისმა მეგობარმა იცნო. თურმე, უბნელები ყოფილან და გადაარჩინა. მე ტანზე გახდილი დავრჩი „კარანტინში.“ ბევრი რომ არ გავაგრძელო, ატყდა სასტიკი ცემა. ნუ, ამას მე ცემას უკვე ველარ დავარქმევ იმიტომ, რომ სანამ ფეხზე ვიდექი, ჯერ ხომ მუშტები მირტყეს, თან ძალიან ბევრნი იყვნენ, ვერც

გეტყვი, რამდენი იყვნენ, ველარც ვხვდებოდი უკვე, საიდან მხვდებოდა ხელი. შემდეგ დავეცი და რაც მოვახერხე ერთადერთი ის იყო, რომ ავიფარე სახეზე ხელები, სახეში რომ არ მომხვედროდა. ამაზე რეჟიმის უფროსმა გამაშლევინა ხელები და შემაფურთხა. აღარ მახსოვს, რამდენი ხანი გრძელდებოდა ეს ყველაფერი, რაღაც მომენტში გონება დაკვარვით და გონს რომ მოვედი, უკვე კარანტინის ერთ-ერთ ცარიელ საკანში ვიყავი მიგდებული აბსოლუტურად შიშველი. ჩემი ტანსაცმელი იქვე ეყარა ოღონდ დახეული; სპეციალურად დამიზიანეს ტანსაცმელი. პირველი რეაქცია ის მქონდა, რომ ტანსაცმელი ჩამეცვა, მაგრამ განძრევა ვერ მოვახერხე. წყლისთვისაც ვერ ავდექი. ასე გავატარე დაახლოებით ნახევარი საათი ბეტონის იატაკზე. მერე გაიღო კარები, შემოვიდა ოფიცერი, რომელიც მემგონი ამ ცემაში არ იღებდა მონაწილეობას. ტანზე რატო არ იცმევო მკითხეს, მე ვუთხარი, რომ ვერ ვდგები მეთქი. მაგრამ ჩემი ხმა ვერ გავიგონე. მივხვდი, რომ დაყრუებული ვარ, ფაქტიურად არ მესმის ჩემი ხმა, თან უკვე რაღაც უაზრობებსაც ვლაპარაკობდი, უკვე ველარ ვაკონტროლებდი, რას ვლაპარაკობდი. მთელ ხმაზე ვყვიროდი, თქვენ გესმით ჩემი ხმა, თქვენ გესმით ჩემი ხმა? მერე ბოლოს თავი დამიკრეს, გვესმისო. მოკლედ, რაღაცნაირად ერთმა ამწია, მეორემ დამიწყო რაღაცეების ჩაცმა, ყველაფერი დახეული იყო. მომიკიდეს ხელი და წამათრიეს, რადგან პრაქტიკულად, ვერ დავდიოდი. წამათრიეს სულ სხვა კორპუსში და ჩემთვის უცნობ საკანში შემაგდეს. ტომარას რომ შეაგდებ აი ეგრე და გამომიხურეს კარები. 8 კაციანი საკანი იყო. ის პატიმრებიც ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა, ვინ ვიყავი, რა მჭირდა იმიტომ, რომ ადამიანს აღარ ვგავდი უკვე. რაღაცას მელაპარაკებოდნენ და მე პასუხს ვერ ვცემდი. ეს ყველაფერი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ჩემ აზრზე მოსვლას დაჭირდა 3 კვირა. შემდეგ ძლივს სასამართლოზე მიმიყვანეს, მოსამართლეს სტანდარტული პასუხი გავეცი, რომ კიბეებზე დავვორდი. უფლება არ მქონდა, რომ სხვა რამე მეპასუხა იმიტომ, რომ ამით უფრო გავირთულებდი მდგომარეობას და შეიძლება, გარეთ საერთოდ ველარც გავსულიყავი. ამიტომ, მე ყველაფერი შევასრულე ისე, როგორც იმ მომენტისთვის იყო საჭირო და გირაოთი გამათავისუფლეს.

მიხეილი, 59 წლის

(ისტორიაში ასახულია გლდანის #8, თბილისის #1 და ქსნის #15 დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

პატიმრობაში ამიყვანეს 2010 წლის აგვისტოში. სექტემბერში საკანში ხუთი ადამიანი შემოვარდა და პატიმრები სასტიკად გვცემეს. მე მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, ახალგაზრდობაში თავის ტრავმის გამო თავის ოპერაცია მაქვს გაკეთებული. რის გამოც ხუთი წელი ვმკურნალობდი. საკანში რომ შემოვარდნენ, ერთ-ერთი პიროვნება პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და ორჯერ ძლიერ ჩამარტყა თავში, ნაოპერაციებ ადგილას. მათ შორის უფროსი ვინც იყო იცოდა, რომ ინვალიდი ვიყავი, გამომარიდა და გვერდზე დამსვა. დანარჩენი პატიმრები ჩემ თვალწინ ძლიერ სცემეს, ძირს აგდებდნენ და ფეხებს ურტყამდნენ, თითქოს ფეხბურთს თამაშობდნენ. ცემისთვის მიზეზი არ სჭირდებოდათ, მაგალითად, ორშაბათს ამოირჩევდნენ პირველ სართულზე მეორე და მესამე საკანს, მეორე კვირას – მეორე სართულზე, შემდეგ მესამეზე, შემდეგ ისევ პირველზე და ა.შ. იქ სულ არ იყო საჭირო რაღაცა მიზეზი. მით უმეტეს, საშინელებაა, თუ პირველ სართულზე ხარ. საკანში ჩურჩულით ვლაპარაკობდით, რადიოს ყურმილები ვუსმენდით. პერიოდულად

შემოდინდნენ და აბანოში მივყავდით. საშინელება იყო, გახდილი, თავიდან ბოლომდე ტიტველი დგახარ და ისინი გირტყამენ. ეს იმიტომ კი არაა, რომ რალაც მოხდა ან შენ დაარღვიე რეჟიმი, არა, უბრალოდ ასე სურდათ.

საავადმყოფოში ომბუცმენმა მინახულა და მკითხა თუ რა დამემართა. შეიძლება თქვენ ეხლა არ დაიჯეროთ, მაგრამ მე ვუთხარი დავეცი და თავი დავარტყი, რადგან მე რომ სიმართლე მეთქვა ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. დერეფანში რომ გამოვედი, ომბუცმენის წარმომადგენელმა მითხრა - "ჩვენ ისე ვერ დაგეხმარებით, თუ თქვენ თავად არ თქვით წამების ფაქტის შესახებ". 2010 წელი იყო და მე შიშით მეტს ვერაფრს დავამატებდი. მივახვედრე, რომ ჩვენი საუბრის ფარული ჩაწერა მიმდინარეობდა. ომბუცმენის დასკვნაში მაინც ჩაწერეს, რომ მე დავექვემდებარე არაჰუმანურ მოპყრობას.

დავითი, 42 წლის

(ისტორიაში ასახულია თბილისის #5 (დახურული), თბილისის #1, თბილისის #9 (ნახევრად დახურული), თბილისის #9 (დახურული) დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

რაც შეეხება წამებას, რამოდენიმეჯერ მექონდა მაგის გამოცდილება. ჯერ რომ მიმიყვანეს, მაშინ ძალიან მაგრად მცემეს, ისე მაგრად, რომ შუბლის ძვალი და კბილები ჩამემტვრა. ვერ მივხვდი რა უნდოდათ. თავს ვგრძნობდი აბსოლუტურად უსუსურად. კონფლიქტი, ალბათ ყველას მოსვლია, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ ადამიანის ასე ცემა შეიძლებოდა, როგორც მე გამლახეს. მახსოვს, შუბლი რომ გამიტეხეს, იმხელა ხმა იყო, რომ შეეშინდათ და გაჩერდნენ. მე უკვე აღარაფერზე ვფიქრობდი, ფეხზე ჩამოვეკიდე ერთს და გინება დავუწყე, ჯობია მომკლათ მეთქი. მაშინ მივხვდი, რომ მათთვის ადამიანის მოკვლა არაფერს ნიშნავდა, გაგანადგურებენ ერთ წამში, როგორც ასანთის ღერს, ისე გადაგტეხავენ.

ვცდილობ ვიცხოვრო ამ კომპლექსებით იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრებაა და ვერ წავშლი. აი, წიგნიდან რომ ფურცელი ამოხიო და გააქრო... პატარა რომ ვიყავი, ზღაპრები მიყვარდა ძალიან. ჯერ კიდევ ბაღში, დედამ კითხვა მასწავლა და მაგ პერიოდში რალაც ზღაპარი წავიკითხე, რომელიც ცუდად მთავრდებოდა. იმდენად ვინერვიულე, რომ ამოვიხიე ეს ბოლო ფურცელი, ჩემებური დასასრული დავწერე და შიგნით ჩავამატე. აიამას ცხოვრებას ვერ უზამ. აგერ ჩამტვრეული შუბლი მაქვს, ამას რას ვუზამ? რამდენიც სარკეში ჩავიხედავ, ხომ სულ მახსენდება, როგორ უნდა წავშალო, რითი უნდა შევცვალო?

შოთა, 57 წლის

(ისტორიაში ასახულია გლდანის #8 და ქსნის #15 დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

მე სოდმა დამიჭირა, შემოვიდნენ და მითხრეს - ორი ბიჭი გყავს, ორივეს გვერდში მოგისვამთ, თუ აღიარებას არ გააკეთებო. მჯეროდა, რომ ამას გააკეთებდნენ, რადგან ბევრი მაგალითი მინახავს მსგავსი და დავთანხმდი. საპროცესოს გაგიკეთებთო შემპირდნენ, რა თქმა უნდა, არ გამიკეთეს. 4 წელი მომისაჯეს.

ერთადერთ რამეს განვიცდიდი, ასეთი სისულელის გამო რომ აღმოვჩნდი ციხეში და ოჯახთან მიმართებაში მქონდა დისკომფორტი.

კარი გაიღებოდა და გეტყოდნენ: „რადიოს რატო უსმენ?!“ გლდანბეა საუბარი (იგულისხმება გლდანის #8 დაწესებულება), მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ გქონდა რადიო ჩართული. თუ ეტყოდი, რომ არ გვაქვს ჩართული, თხუთმეტ წუთში შემოლაგდებოდნენ, ძირითადად წყლით სავსე ბოთლებით ხდებოდა ცემა, თუ სერიოზულად ჰქონდათ ჩაფიქრებული ცემა, მაშინ აბანოში გავყავდით და იქ ხდებოდა „დამუშავება“. ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, იმიტომ ხდებოდა, რომ დათრგუნულიყავი, ჩუმად ყოფილიყავი და ხმა არ ამოგელო. მსგავსი შემთხვევები ხშირი იყო.

ექვსი თვის შემდეგ წამიყვანეს ქსანის ძველ ზონაში, როგორც კი მანქანებიდან ჩამოგვიყვანეს, დაგვაყენეს კედელთან და გეუბნებოდნენ, -„აილე ჩესტი და თქვი: ვემსახურები საქართველოს!“ იტყოდი, მსუბუქად მოგხვდებოდა, თუ არ იტყოდი, მერე საერთოდ განგრევდნენ. ქსანის დაწესებულების უფროსის მოადგილე 26 წლის ბავშვი იყო, ასე რამ გააბოროტა და გაამწარა ეს კაცი, ვერ ვხვდებოდი. ხელებით დაკიდება, დუბინკებით ცემა, დასისხლიანება, გადამტვრევა-გადმომტვრევა, საკუთარ თავზეც გამოვცადე მისგან ასეთი მოპყრობა.

ერთხელაც შემომივიდა „დაჩკა“, „დაჩკაში“ ხატაპურიც იყო. ეტყობა ვინმემ მიიტანა ენა და დამიძახეს, ამიყვანეს კაბინეტში - რატომ ატამე სხვას ერთი ნაჭერი ხატაპური, არც შენ გქონდა უფლება, მაგრამ დაგრთეთ ნებაო. ქართულ ოჯახში ვარ გაზრდილი და ვიცი სტუმართან მოქცევის წესი, ერთი ხატაპურის ნაჭერი რა პრობლემა გახდა მეთქი, „შენ კიდე აქეთკენ მელაპარაკებო?! რამდენი წლის ხარო“. ვუთხარი - 56; „აი მე 26 წლის ვარო და შენისთანებს ასე ვუშვები და ისე ვუშვებიო“. ასე რამ გაგაბოროტა, ახალგაზრდა ბიჭი ხარ, ცხოვრება არ გინდა, სულ აქ ხო არ იქნები მეთქი. პატარა ოთახი იყო, ადგა, მოვიდა, მე კედლისკენ ვიყავი მიტრიალებული, დუბინკა თირკმლებში ჩამარყდა, მერე წიხლი ამომარტყა, საოპერაციო გავხდი, მარცხენა სათესლე ჯირკვალი ამომატრეს. თირკმელები ახლაც არ მივარგა, დაწეულია, კბილები აღარ დამრჩა პირში. იქიდან გამიშვეს კარცერში, 5 დღე ვიყავი იქ, მერე კომისია მოვიდა და გამომიშვეს, მითხრეს არ გამოვჩენილიყავი ტერიტორიაზე.

ცემის მერე, დაახლოებით ორი თვე ვიწექი. გამირთულდა, ორი თვე დამჭირდა იმისთვის ბრძოლა, რომ „რეზბალნიცაზე“ გადავეყვანე და ოპერაცია გაეკეთებინათ, სათესლე ჯირკვალი ამომატრეს. იქაც ცხოველები იყვნენ. ოპერაციიდან რომ გამოგიყვანენ, ზარია რომ ექიმს დაურეკო, თუ ტკივილი გაქვს. ექიმს არა აქვს უფლება, შემოვიდეს, თუ ვინმე არ შემოყვა პალატაში. ამ ზარზე მეუბნებოდნენ, ნუ რეკავო. თუ კიდევ დარეკავდი, შეიძლება შემოსულიყვნენ და ეცემე. ოპერაციიდან გამოყვანილი უცემიათ ტკივილები რომ ჰქონდა და ამბობდა მტკივაო.

“პრახოდები” იყო, საიდანაც გამოდიოდა პირველი, მეორე, მესამე “ატრიადი”... იმ “ატრტიადის” კარებს ჩაკეტავდნენ და სამორიგეოს მხრიდან გაყავდათ ადამიანი და იქ “ამუშავებდნენ” არაფრის გულისთვის. ეს ყველაფერი ხდებოდა იმისთვის, რომ შიში დაეთესათ. მარტო ჩემს იქ ყოფნაში ხუთმა კაცმა მოიკლა თავი. ერთმა „პარაშაში“ ჩამოიკიდა თავი, მეორემ ვენები გადაიტრა, მესამემ მუცელზე გადაისვა... ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ, ფსიქიკურადაც აღარ იყვნენ

უკვე ნორმალურები. ჩემმა ფსიქიკამ იმით გაუძლო, რომ ძალიან ბევრს ვკითხულობდი; ვცდილობდი, საერთოდ არ მეფიქრა ამაზე, მეგობრებიც მყავდა. ვინც არ კონტაქტობდა საერთოდ არავისთან, მათ ემართებოდათ ფსიქიკური პრობლემები.

26 წლის ბავშვს(იგულისხმება ქსნის ციხის უფრორის მოადგილე) რა უნდა ჰქონდეს ნანახი და როგორ უნდა იყო ისე გაბოროტებული, რომ ასეთი რაღაცეები აკეთო?! ეტყობა, ბუნებაშიც აქვთ რაღაც, არჩევდნენ სპეციალურად ასეთებს. ძველები ვინც იყვნენ, ნორმალურები იყვნენ, შეგეძლო დალაპარაკებოდი კიდევ. გვეუბნებოდნენ ხოლმე - ბიჭებო, გეხვეწებით, ამას ნუ გააკეთებთ, გვავალეებენ ჩვენც და იძულებულები ვხდებით და პენსიამდე ამდენი დაგვრჩა და.... ცემას ავალეებდნენ, თან ესწრებოდა ვილაცა და უყურებდა, ის გცემდა თუ არა და თუ არ გცემდა, მერე მას სამსახურიდან უშვებდნენ. იცი, რამდენი გაუშვეს სამსახურიდან?! ერთი ბადრაგი იყო, რომ დაინახავდა სიგარეტი არ გქონდა, შეგიყვანდა ისე, რომ არ დაენახათ, სიგარეტს მოგცემდა. ესენი იყვნენ აბსოლუტურად ცხოველები, სისხლში, ხასიათში ეჯდათ სადისტური თვისებები.

მე რამდენჯერ შევსწრებივარ იმას, რომ შემოვიდოდა მოადგილე ბიბლიოთეკაში, ვილაცას დაუძახებდნენ, მე გარეთ მიშვებდნენ, მიიკეტავდნენ კარებს და კაცი გამოდიოდა თვალედალურჯებული და გასისხლიანებული. ეს იყო სისტემატური და სუსტი ფსიქიკის ადამიანი ვერ უძლებდა. რამდენს ინფარქტი მოუვიდა და მოკვდა, ვერ გაუძლო, გასკდა გული, თან ვერც ვერაფერს უშვები, ხელეებს დაგიბამდნენ უკან დაგაგდებდნენ და გირტყამდნენ.

თავი 5. მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

5.1. მიღებული გამოცდილება

საერთაშორისო მხარდაჭერა არ იყო ეფექტიანი წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან საბრძოლველად

საპატიმრო სისტემის საბჭოთა ფესვების ამოსაძირკვად საქართველომ დიდძალი დახმარება მიიღო უცხოეთიდან. ბევრიც დაიხარჯა ეკონომიკური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის პროგრამები კეთილ მიზნებს ისახავდნენ და ხშირად ძალიან საჭირო დახმარებასაც უწევდნენ სახელმწიფოს, წამებასთან და სასჯელალსრულების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ შენარჩუნდა და შესაძლოა, გაუარესდა კიდევ. ამდენად, საქართველოს რეფორმებით მიღებული გაკვეთილები არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ფართო საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც.

ნულოვანი ტოლერანტობა ადამიანის უფლებათა ხელყოფით განხორციელდა არა მარტო საჯარო სივრცეში, არამედ საპატიმროებშიც. ციხის მართვის ძალადობრივმა სტილმა და არაკვალიფიციურმა თანამშრომლებმა ასევე ითამაშეს გარკვეული როლი იმაში, რომ ვერ მოხერხდა პატიმრებთან სათანადო ურთიერთობის და წესრიგის კანონიერი გზით დამყარება.

ახლად მოსული მთავრობისთვის მთავარ პრიორიტეტად კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა იქცა: გამარჯვება ნებისმიერ ფასად, თუნდაც ადამიანის უფლებათა ხარჯზე. მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა სასჯელალსრულების სისტემაში ძალადობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ შედარებით ზედაპირულ დონეზე.

საქართველოში განხორციელებული რეფორმების პირველ წლებშიც კი, კანონდამრღვევთა დასჯადობას და კანონდამრღვევთა წინააღმდეგ ძიების წარმმართველი სახელმწიფო მოხელეების დაუსჯელობას მთავრობა აქებებდა. „გამარჯვება ნებისმიერ ფასად“ - ასეთი აზროვნება წარმართავდა კრიმინალის წინააღმდეგ ომს, რომელშიც თითქოს ნებისმიერი საშუალება ამართლებდა საბოლოო მიზანს.

ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს მთავრობა რეფორმების და სახელმწიფოს მშენებლობის მისიით ამართლებდა. მრავალ შემთხვევაში, უკიდურესი ზომების გამართლებამ, მათ შორის არაკვალიფიციური თანამშრომლების დაქირავებით დაწყებული კრიმინალის დამარცხების მიზნით უკანონო სიცოცხლის მოსპობებით დამთავრებული, მთავრობის უმაღლესი ეშელონებიდან გაჟღერებულმა რიტორიკამ – „ჩვენ და ისინი“ განაპირობა და მოიცვა მთლიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტები, ციხეების ჩათვლით.

ციხის დახურულ სივრცეში ყოველთვის არსებობს ძალადობის საფრთხე. საქართველოს სახელმწიფოს დაუსჯელობის გზავნილმა მისი მოხელეების მისამართით, გააღვივა

სულისკვეთება, რომლის თანახმადაც, წამება და ციხის თანამშრომლების პატიმრებზე ძალადობა ითვლებოდა მისაღებად და წახალისებულ იქნა ციხეში.

პენიტენციური რეფორმა საქართველოში მხოლოდ ფასადური იყო: არათანმიმდევრულობა, კრიტიკის მიუღებლობა და გამჭვირვალობის არარსებობა

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა აისახა პენიტენციურ სისტემაში განვითარებულ პროცესებში: სუბკულტურებთან ბრძოლაში, საკადრო პოლიტიკაში, ციხის არქიტექტურასა და ზედამხედველობის მექანიზმებში. თუ დავუშვებთ, რომ მკაცრი ზედამხედველობის გარეშე ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევები უფრო ადვილად ხორციელდება თავისუფლების შეზღუდვის და აღკვეთის ადგილებში, უბრალო ალბათობის არგუმენტის მოშველიებით შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ რაც უფრო მეტი ადამიანია საპატიმროში, მით მეტი დარღვევაა მოსალოდნელი ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით.

საქართველოს შემთხვევაში არ არსებობდა მკაცრი ზედამხედველობა. მონიტორინგის გარეშე კი, ერთ ძალადობას მეორე მოჰყვება. ხოლო პრევენციული უსაფრთხოების ზომები, როგორცაა წამების საწინააღმდეგო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, ფაქტობრივად, გამოყენებული იყო შეცდომების დასაფარად და არა ნაკლოვანებების გამოსავლენად და გამოსასწორებლად.

არ არსებობდა შესაბამისი საპარლამენტო ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, სახალხო დამცველის ან საერთაშორისო ორგანიზაციათა წლიურ ანგარიშებს არ ითვალისწინებდნენ და არ იდგმებოდა საჭირო ნაბიჯები. არ ჩამოყალიბებულა პარლამენტის საგამოძიებო კომისია სახალხო დამცველის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების შესასწავლად.

გაეროს, ევროსაბჭოს და საერთაშორისო არასამთავრობო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების სხვადასხვა მოხსენებაში დაფიქსირებული ინფორმაცია ადგენს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა საქართველოში და დამკვირვებლები გამუდმებით აღნიშნავდნენ ამას. მოხსენებები ხაზს უსვამდნენ, რომ 2007-2008 წლებში არასათანადო მოპყრობამ და წამებამ პოლიციის წინასწარი პატიმრობის ადგილებიდან საპატიმროებში გადაინაცვლა. 2006 წელს მომხდარი ციხის ამბოხი გამოიკვეთა, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის დროსაც პატიმრების წინააღმდეგ ჩადენილი უკიდურესი ძალადობა დაუსჯელი დარჩა, რამაც შესაძლოა, ნოციერი ნიადაგი შექმნა ძალადობის ფაქტების ფეხის მოსაკიდებლად.

ადამიანის უფლებადამცველი ჯგუფები მინიმალურ ზემოქმედებას ახდენდნენ წამების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ვინაიდან არც პარლამენტმა და არც რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტმა არ მოინდომა ამ მიმართულებით გადაედგა მტკიცე ნაბიჯები. 2006 წლის ციხის ამბოხის შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა მიაკვლიეს ფრაგმენტულ მტკიცებულებებს, რომ არასათანადო მოპყრობა და ძალადობა საქართველოს ციხეებში გაძლიერდა, თუმცა ამის ზუსტი მასშტაბი და ფორმა ბოლომდე ნათელი

არ იყო, რადგან ინფორმაცია, უბრალოდ, არ არსებობდა. 2010 წლისთვის ციხეები რეალურად ჩაკეტილ სისტემებად იქცა. პატიმრებს არ ჰქონდათ მოტივაცია ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სასაუბროდ, ხოლო ციხის სერიოზული და ღრმა ანალიზის გაკეთების საშუალება მხოლოდ რამდენიმე დამკვირვებელს ჰქონდა.

სასამართლომ და პროკურატურამ ვერ შეძლეს არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული როლის თამაში. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ წამება გახდა სისტემური.

სასამართლო სისტემას მომრავლებული სისხლის სამართლის საქმეების გამკლავება უწევდა, რათა ნულოვანი ტოლერანტობის მიზნების მოლოდინები გამართლებულიყო. ეს კი ადამიანის უფლებათა დაცვის და სამართლიანი სასამართლო წარმოების მხრივ სათანადო ყურადღების ნაკლებობის პირობას ქმნიდა. პროკურატურის პოლიტიკურმა დამოკიდებულებამ და სასამართლო სისტემაში არსებულმა შესაძლო ხარვეზებმა -საპროცესო შეთანხმება, გახშირებული დაპატიმრებები და გამოძიების პროცესში უკანონო ხერხების გამოყენება - შექმნა სასამართლო სისტემა, რომელიც ვერ ახდენდა ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას.

5.2. რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და პარლამენტს

- “წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის” რატიფიცირების შემდეგ, საქართველო, ამ ოქმის პირველი მუხლის თანახმად, სამართლებრივად ვალდებულია “უზრუნველყოს დამოუკიდებელი საერთაშორისო და ეროვნული უწყებების რეგულარული მონიტორინგი ადგილებში, სადაც ადამიანებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, რათა მოხდეს წამების და სხვა სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის თუ დასჯის პრევენცია.” მთავრობის განსაკუთრებული ვალდებულებაა, ეროვნული პრევენციული მექანიზმის შესაბამისობა უზრუნველყოს “ფაკულტატური ოქმის” მე-17 და 23-ე მუხლების მოთხოვნებთან.
 - იმის უზრუნველსაყოფად, რომ საჯარო მოხელეთა მიერ წამებასთან და სხვა დამამცირებელ მოპყრობის საქმეებთან დაკავშირებულ განცხადებებზე შინაარსიანი და დამოუკიდებელი გამოძიება წარიმართოს, საქართველომ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, სადაც ასეთ გამოძიებას მხოლოდ ის არსებული საგამოძიებო თუ სასამართლო უწყებები არ განახორციელებენ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის შედეგით, ან მათგან მომდინარეობს ძალადობა. უკანონო ქმედებების, დანაშაულის და ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების გამოძიება უნდა მოხდეს იმ უწყების ან პირთა მიერ, რომლებიც ინსტიტუციონალურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელია იმ პირებისგან, ვისი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების შესწავლაც ხდება.
 - საქართველოს კანონმდებლობა, დამოუკიდებელი მექანიზმის თვალსაზრისით, ზედმიწევნით უნდა აღწერდეს პერსონალურ და საგნობრივ იურისდიქციას, მისი ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ფორმას, ხელმძღვანელი პირის ღია წესით შერჩევას, საჩივართა საჯაროდ წარდგენის მექანიზმს და უსაფრთხოების

სამსახურთა ვალდებულებას, რომ შეატყობინოს შესაძლო ინციდენტების შემთხვევაში ამ უწყებას. ამას გარდა, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ვადებს. ასევე, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა იცავდეს საგამოძიებო ორგანოებს ნებისმიერი გარე ჩარევისგან.

- ნებისმიერი მოდელი, რომელიც საქართველოში დაინერგება, სრულად უნდა დაფინანსდეს და აღიჭურვოს შესაბამისი საშუალებებით, რომლებიც აუცილებელია კრიმინალისტიკური საქმიანობისთვის. აუცილებელი რაოდენობის თანამშრომლებისა და მათი მხარდაჭერის გარეშე, დამოუკიდებლობა ვერ მიიღწევა. თანამშრომლები საზოგადოების სახე უნდა იყონ, შემადგენლობაში კი შედიოდნენ: ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. არასათანადო დაფინანსების და რესურსების შემთხვევაში, გამოძიება არასრულყოფილი იქნება და უწყება დაეყრდნობა სხვა ინსტიტუტებს, რაც მის დამოუკიდებლობას და ეფექტიანობას დააკნინებს.
- საზოგადოებრივი ზედამხედველობა საგამოძიებო მექანიზმის წარმატების გასაღებია და ყველა საუკეთესო მოდელი ამ სფეროში უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გამოძიებაზე, პოლიციის ძალადობის ტენდენციებზე, რეკომენდაციებზე და მათ შესრულებაზე. საგამოძიებო ორგანოები აქტიურად უნდა ცდილობდნენ, მოიპოვონ საზოგადოების ნდობა მათთვის ინფორმაციის მიწოდებით და, ასევე, იმ საპოლიციო დაწესებულებების ნდობა, რომელთა მონიტორინგსაც ისინი ახდენენ.
- საგამოძიებო ორგანოები ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ პარლამენტის წინაშე ყოველწლიურად. ეს მოხსენებები უნდა გამოქვეყნდეს.

- უნდა შემუშავდეს რეგულარული შეფასების მექანიზმი (ბარომეტრი) საპატიმროთა მდგომარეობის შესამოწმებლად, რომელიც, სულ ცოტა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც განხორციელდება, რათა მისი დამოუკიდებლობა ჯეროვნად იქნას უზრუნველყოფილი. შეფასებები უნდა ემყარებოდეს “ევროპული ციხის წესებს”. სხვა მრავალ საკითხთა შორის, მასში უნდა იყოს გათვალისწინებული: ჯანმრთელობის, განათლების, მუშაობის, ძალის გამოყენების, ინფორმაციის, და სხვა საკითხები. მას შეუძლია, ასევე, გამოიყენოს სოციალური კვლევის შედეგები, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში იყენებენ ციხის ისეთი პარამეტრით შესაფასებლად, როგორცაა: პატივისცემა; ადამიანურობა; სამართლიანობა; წესრიგი; უსაფრთხოება; ციხის თანამშრომლების და პატიმრების ურთიერთობა.

- ქმედითი და სათანადო ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე: წარსულში, მთავრობა უბრალოდ უყურადღებოდ ტოვებდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციებს, შეშფოთებას. აუცილებელია განისაზღვროს ომბუდსმენის მოხსენებების იმპლემენტაციის ფორმა, რომელსაც ექნება სავალდებულო ხასიათი. არ კმარა მოხსენებების მხოლოდ ცნობად მიღება. რეკომენდაციების განხორციელების მექანიზმები უნდა დადგინდეს და შესრულდეს.

- უნდა დადგინდეს დამატებითი, ალტერნატიული სამეთვალყურეო მექანიზმები, რომლებიც მოახდენენ პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად პენიტენციალური დაწესებულებების მონიტორინგს.
- უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმი წამების მსხვერპლთა სტატუსის დასადგენად. საქართველოს კანონმდებლობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი წამების მსხვერპლთა უფლება, მიიღონ შესაბამისი რესტიტუცია და მოითხოვონ სამართლიანი და ადეკვატური ანაზღაურება ისევე, როგორც სრული რეაბილიტაცია, როგორც ეს არის დადგენილი გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-14 მუხლით.

სასჯელალსრულების სამინისტროს

- საქართველომ უნდა დაამტკიცოს სასჯელალსრულების სისტემის თანამშრომლების ეთიკის კოდექსი, რომელიც დაეფუძნება ევროპის საბჭოს “პენიტენციალური პერსონალის ეთიკის კოდექსს” (CM/Rec (2012)5 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოთა მიმართ).
- მინიმუმ, უნდა დაინერგოს „ციხის ევროპულ წესებში“ წარმოდგენილი დებულებები თანამშრომელთა შერჩევის პროცესში.
 - უნდა დაინერგოს თანამშრომლების შეფასების ბარომეტრი, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან. მაგალითად, „ციხის ევროპული წესების“ მეხუთე ნაწილთან.
- უნდა გაძლიერდეს სამედიცინო სამსახურის დამოუკიდებლობა პენიტენციალურ სისტემაში ისე, რომ წამების იდენტიფიცირება მოხდეს და მისი მოხსენებები პატიმრების საჩივრების ნაწილი გახდეს. უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ მოხსენებები სრულ შესაბამისობაში იყოს სტამბულის პროტოკოლთან.
- უნდა შეიქმნას ინდივიდუალური მიდგომა პატიმრების მენეჯმენტის საკითხებში. პირველ რიგში, პატიმრები უნდა განვიხილოთ, როგორც პიროვნებები და არა როგორც ჯგუფის წევრები. საპატიმროში მათი პირველადი მიღებისას უნდა მოხდეს ინდივიდუალური შემოწმება, რათა შეფასდეს მისი პირადი სამედიცინო, უშიშროების და სხვა საჭიროებები და ის, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი სამომავლო მენეჯმენტი. მათი განვითარება რეგულარულ მეთვალყურეობას საჭიროებს. ინდივიდუალური მიდგომა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს პიროვნებათა შორისი ძალადობის შესამცირებლად და ანტაგონისტური ჯგუფური ცნობიერების დასამსხვრევად.
- უნდა განვითარდეს ყოვლისმომცველი და საჭიროებებზე დაფუძნებული სტრატეგია ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით

რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უზრუნველყოფისთვის და ამ მიზნით უნდა გამოიყოს შესაბამისი ბიუჯეტი.

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს პენიტენციალური დაწესებულებების შენობების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.
- პენიტენციალური სისტემა უნდა მოქმედებდეს „ციხის ევროპული წესების“ პირველი ცხრა პრინციპის შესაბამისად და უნდა დაინერგოს სარეაბილიტაციო მიდგომა სადამსჯელოსგან განსხვავებით.

საერთაშორისო თანამეგობრობას

- საერთაშორისო დახმარების და, მით უფრო, ფინანსური სახის დახმარების თაობაზე ხელშეკრულების დადებამდე, აუცილებლად საფუძვლიანად უნდა შეფასდეს ადგილობრივი ვითარება და ურთიერთმიმართება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვადასხვა ნაწილს შორის. გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი სამთავრობათაშორისი და რეგიონალური უწყებების, ასევე, დამოუკიდებელი ეროვნული უწყებების მოხსენებები ომბუდსმენის ჩათვლით. აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები და მოხსენებები.
- შეთავაზებული დახმარება უნდა იყოს ადგილობრივი ვითარების შესაბამისი. პრობლემების გადაჭრის შემოთავაზებული მეთოდები თანხმობაში უნდა იყოს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან და დონორი ქვეყნის, ან რეგიონის პრაქტიკას მექანიკურად არ უნდა იმეორებდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი საპატიმრო შენობების მშენებლობის სფეროში.
- უნდა არსებობდეს სრული ანგარიშვალდებულება პირობების შესრულების მხრივ, რაც ნებისმიერი სახის დახმარებასთანაა დაკავშირებული.
- უნდა არსებობდეს საერთაშორისო დახმარების ჯეროვანი კოორდინაცია დუბლირების ან ურთიერთგამომრიცხავი ინიციატივებისგან თავის დასაზღვევად.

¹ ეს რაოდენობა უხეში დაანგარიშებაა და ძირითადად ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტების ვებ-გვერდიდან ამოკრებილ ინფორმაციას ეყრდნობა: <http://www.jp.coe.int/CEAD/JP/Default.asp?TransID=212>

² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, http://coe.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=595&info_id=11311

³ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის “ჰუმან რაიტს ვოჩ”, ბრიფინგის დოკუმენტი, Agenda for Reform: Human Rights Priorities after the Georgian Revolution, 2004 წლის 24 თებერვალი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.hrw.org/legacy/english/docs/2004/02/24/georgi7650_txt.htm

⁴ ინტერვიუ მეთიუ ბრაიზასთან, 2014 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.georgianews.ge/politics/26212-matthew-bryza-nobody-is-above-the-law-including-saakashvili.html>

⁵ ედ კეიპი და ზაზა ნამორაძე, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.opensocietyfoundations.org/reports/effective-criminal-defence-eastern-europe>

⁶ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის “ჰუმან რაიტს ვოჩ”, ბრიფინგის დოკუმენტი, Agenda for Reform: Human Rights Priorities after the Georgian Revolution, 2004 წლის 24 თებერვალი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.hrw.org/legacy/english/docs/2004/02/24/georgi7650_txt.htm

⁷ Civil Georgia, New Leadership Pledges Fundamental Reforms, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=5721&search=>

⁸ მაგალითისთვის იხილეთ: “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო”, “ვის ეკუთვნოდა საქართველო”, ხელმისაწვდომია: http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Who%20Owned%20Georgia%20English.pdf

⁹ თავის არიდება გადასახადისგან, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და თანხების გაფლანგვა

¹⁰ იყო შემთხვევები, როდესაც დაკავებულები იმაზე მეტს იხდიდნენ, რამდენის დამალვაც ბრალდებოდათ. მაგ. ედუარდ შევარდნაძის სიძის, გია ჯოხთაბერიძის შემთხვევა.

¹¹ “საერთაშორისო გამჭვირვალობა, “საპროცესო გარიგება საქართველოში”, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://transparency.ge/sites/default/files/TI%20Georgia%20%20Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20ENG.pdf>

¹² მსოფლიო ბანკი, საქართველოს საჯარო სექტორის რეფორმების ქრონიკა

¹³ ეხლახანს, 2014 წლის 15 ივლისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმეზე “აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ”, სადაც მან დაადგინა, რომ “ქურდული სამყაროს” წევრობის დანაშაულის შემადგენლობის კრიმინალიზაცია ზუსტი და განჭვრეტადი იყო იმის შესაფასებლად, თუ რა სახის ქცევა შეიძლებოდა მიეჩნიათ კრიმინალური სამყაროს წევრობასთან უშუალო კავშირად.

¹⁴ ედ კეიპი და ზაზა ნამორაძე, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.opensocietyfoundations.org/reports/effective-criminal-defence-eastern-europe>

¹⁵ ციტირებულია “ემნესტი ინთერნეშენალის” მოხსენებაში, Georgia: Torture and ill-treatment. Still a concern after the “Rose Revolution” , 2005 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR56/001/2005/en/cbaa5e94-d482-11dd-8743-d305bea2b2c7/eur560012005en.pdf>

¹⁶ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის “ჰუმან რაითს ვოჩ”, ბრიფინგის დოკუმენტი, Agenda for Reform: Human Rights Priorities after the Georgian Revolution, 2004 წლის 24 თებერვალი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.hrw.org/legacy/english/docs/2004/02/24/georgi7650_txt.htm

¹⁷ იხილეთ “ჰუმან რაითს ვოჩის” ბრიფინგის დოკუმენტი, “Georgia: Uncertain Torture Reform”, 2005 წლის 12 აპრილი; “ემნესტი ინთერნეშენალის” მოხსენება “Georgia: Torture and ill-treatment. Still a concern after the “Rose Revolution” , 2005 წლის 23 ნოემბერი; “სპეციალური მომხსენებელი წამებაზე და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ” მანფრედ ნოვაკი, მოხსენება, “მისია საქართველოში,” E/CN.4/2006/6/Add.3, 2005 წლის 23 სექტემბერი, პარ. 29.

¹⁸ საქართველო: “წამება და არაადამიანური მოპყრობა „ვარდების რევოლუციიდან“ ორი წლის შემდეგ” 2005 წლის 23 ნოემბერი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR56/002/2005/en/5c0a78ff-d482-11dd-8743-d305bea2b2c7/eur560022005en.pdf>

¹⁹ “ემნესტი ინთერნეშენალის” მოხსენება,, Georgia: Torture and ill-treatment. Still a concern after the “Rose Revolution” , 2005 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR56/001/2005/en/cbaa5e94-d482-11dd-8743-d305bea2b2c7/eur560012005en.pdf>

²⁰ იხილეთ: ალტერნატიული მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში”, 2006 წლის 24 აპრილი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/docs/ngos/ngo_georgia90.pdf, იხილეთ ასევე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოხსენება “torture and violence in Georgia”, 2005

